ასეთ ვითარებაში, უკანასკნელი ოხი წელია საქაჰთვედოს ეკონომიკა მაღად, ოხინშნა ზხდას არვენებს (2021 წ. - 10.5%, 2022 წ. - 10.1%), ასევე გაუშკობესებულია პაქტიკუდად ყვედა მარვენებელი: ინფლაცია 12-13 %-დან შემციხებულია 9.4%-მდე, გაზხიდილია სავაჭრო ბუნვა და მათ შოხის ექსპოხტი, შემციხებულია უმუშევრობის დონე (20.6%-დან 17.3%-მდე), შემციხებულია მთავრობის ვადის მშპ-სთან თანაფაჰდობის მარვენებელი (2020 წ. - 60.2%, 2021 წ. - 49.7%, 2022 წ. - 39.6%) და ნაეჰთი ბიუჯეტის დეფიციტის მარვენებელი (2020 წ. 9.3%, 2021 წ. - 6.1% , 2022 წ. - 3.1%), მიმდინარე ანგაჰიშის სადდო და ა.შ.

პაჰადელუჰად, საქაჰთვედოს საბანკო სისტემამ შეინარჰუნა მაღადი დიკვიდობა და მდგაჰდობა. 2022 წელს საბანკო სისტემის აქტივები გაიზაჰდა

16%-ით და 70 მლნ ლახს მიაღწია, ფიზიკური და იურიდიული პირის დეპოზიტები გაიზარდა 19%-ით და 44.3 მლნ ლახს გაუტოლდა, კაპიტალიზაცია გაიზარდა 19.5%-ით და 9.2 მლნ ლახი შეადგინა.

ამგვარად, გლობალური ეკონომიკის, ცადკეული ქვეყნების და სახელმწიფოთა ეკონომიკის 2022 წლის შედეგები აჩაეხთგვახოვან სუხათს იძღევა.

ეხთი მხივ, 2022 წელს ძიხითადად თავიდან იქნა აცილებული გლობალური ხეცესია, მეოხე მხივ კი, 2023 წელს იკვეთება ეკონომიკური ზილის გემპის კლების, დანაზოგების და ინვესტიციების შემციხების, შემოსავლების და მოხმახების კლების, სახელმწიფო ხაჯების და ვადის ზილის, ეხოვნული ვალუტების ხყევის, ფინანსური სისტემების და ინსტიტუტების ღიკვიდობის დეფიციტის და გადახდისუნაიხიანობის ხისკის ზილის და ა.შ.ტენდენცია.

მთღიანობაში, მდგომაიეობა საკმაოდ მყიფეა და ეკონომიკური პეისპექტივებს მნიშვნელოვნად განსაზღვხავს გეოპოლიტიკური ხისკები და ხეადობები. ასეთ ვითაიებაში განსაკუთხებული მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკური, მონეტარიული და ფინანსური მდგხადობის უზუნვედყოფას.

საკვანძო სიყვებ: მსოფლიო ეკონომიკა, პოსტსაბჭოთა ეკონომიკა, ეკონომიკური ზილის გემპები, ინფლაცია, დანაზოგები და ინვესტიციები, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, საგადასახდელი ბადანსი.

საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის ფორმირების ნანამძღვრები და განვითარების პერსპექტივები

გულნაზ ერკომაიშვილი

ასოციირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

ღალი ხურცია

ასისტენტი - პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
lali.khurtsia@tsu.ge

სტატიაში განხილულია ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც ევროპის და მათ შორის - საქართველოს ახალი ფუნქციონალური მიმართულება. ხუსეთ-უკრაინის ომმა და ხუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა, დღის წესრიგში მწვავედ დააყენა ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი, ახალი ადგილნატივული გზების ძიება, ხამდენადაც ევროკავშირის ენერგეტიკული დიპლომატიის პრაქტიკაში სურ უფრო ხშირად მწვავედა ენერგოხესუსების გრანზიტის პრობლემები. დღესათვის ევროკავშირმა აქცენტი გააკეთა ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ნაციონალური ჰაბების შექმნაზე მრავალი მიმართულებით, მათ შორის საქართველოზე, როგორც სამხრეთ კავკასიისა და კასპიის რეგიონის შემკვებ ჰაბზე.

კვლევის მიზანია საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პრესპექტივების გაანალიზება და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიება.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე დაყრდნობით, უკავშირდება ქვეყნის სტრატეგიული რეზერვის ფუნქციის გააქტიურებას, ენერგეტიკული დიპლომატიის წახმობებას გადაწყვეტილების მიმღებ ქვეყნებთან და შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებას. საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. ამისათვის, ქვეყანამ გრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერჯის გახდამქმნელი და გრანზიტის ქვეყანა. საქართველოს გრანზიტ-კავსიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებით. ნაშრომში ნაჩვენებია თუ რას მოუტანს ქართული ეკონომიკას, კერძოდ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს ეს პროექტი. კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.

საკვანძო სიგეყები: ენეჰგეტიკუდი ჰაბი, ენეჰგეტიკუდი უსაფრთხოება, ენეჰგეტიკუდი ინგეგჰაცია, საქაჰთვედოს ენეჰგეტიკუდი პოლიტიკა.

შესავალი

გლობალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც მეტწილად ბაზრების დივერსიფიკაციასა და ენერგეტიკული ჰაბების შექმნას გულისხმობს. ამ პროცესის წარმატება დამოკიდებულია ენერგეტიკული დიპლომატიის მოქნილობაზე, რომელიც თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტია.

რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა, დღის წესრიგში მწვავედ დააყენა ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი, ახალი ალტერნატიული გზების ძიება, ენერგეტიკული პრობლემებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების მოგვარებისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავების აუცილებლობა. რუსეთზე დამოკიდებულებას ევროკავშირი უკვე ათ წელზე მეტია უსაფრთხოების გამონვევად აღიქვამს.

ევროკავშირის ენერგეტიკული დიპლომატიის პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად მწვავედება ენერგორესურსების ტრანზიტის პრობლემები. ევროპის ბაზარზე მიწოდებული ენერგორესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი რამდენიმე სახელმწიფო საზღვარს კვეთს. შემთხვევითი არ არის, რომ 2015 წლის ივლისში წყაროების, მომწოდებლებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციისათვის საჭირო მოქმედებების გეგმის შესასრულებლად ევროკავშირის საბჭომ ძირითად პრიორიტეტებად მიუთითა, რომ დიპლომატიური მხარდაჭერა უნდა ჰქონოდა სამხრეთის გაზის დერეფანს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას. ხაზგასმული იყო აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის სტრატეგიული პოტენციალი.

რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ინტერვენციის შედეგად ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა. ჯერ კიდევ ომამდე რუსეთიდან ენერგორესურსების ტრანზიტის საკითხი პრობლემური იყო. რუსეთი ენერგეტიკას იყენებდა, როგორც ევროპაზე ზეგავლენის მოხდენის ინტრუმენტს, რის გამოც არ არსებობდა ერთობა რუსეთთან ენერგეტიკული ურთიერთობის პოლიტიკაში. რუსული ბუნებრივი

აირის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები, კერძოდ, გერმანია და იტალია, დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთთან თანამშრომლობის გაგრძელებით, რაც გამოიხატებოდა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ და „სამხრეთის/თურქეთის ნაკადის“ მიმართ მათი მხარდამჭერი პოზიციით. „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის რეალიზაციის შემთხვევაში გერმანია გაზს პირდაპირ რუსეთიდან, მესამე ქვეყნებისთვის გვერდის ავლით მიიღებდა და ევროპის ბუნებრივი აირის ჰაბიც გახდებოდა. ევროკავშირის სამხრეთ ნაწილში დაგეგმილი გაზსადენის აგებისა და გაშვების შემთხვევაში კი ევროკავშირის სხვა ქვეყნებში დიდი მოცულობის ბუნებრივი აირი იტალიის ტერიტორიიდან გადანაწილდებოდა.

თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ გაზსადენებთან დაკავშირებული პროექტები უკრაინასთან დაწყებული კონფლიქტის საწყის ეტაპზე შეწყდა და აღარ გაგრძელებულა.

ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული ჰაბების შექმნის სფეროში ევროკავშირის საქმიანობა საკმაოდ შედეგიანად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების გზაზე რიგი გამოწვევა მაინც არსებობს, როგორცაა: იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდა; დივერსიფიკაციის საკითხები; ენერგომატარებლებზე ფასების არამდგრადობა; ენერგორესურსებზე მზარდი გლობალური მოთხოვნა; უსაფრთხოების რისკები, რაც მწარმოებელ ქვეყნებს და სატრანზიტო ქვეყნებს შეეხება; კლიმატის ცვლილების მზარდი საფრთხეები; წელი პროგრესი ენერგოეფექტიანობის სფეროში; ენერჯის განახლებადი წყაროების წილის გაზრდასთან დაკავშირებული პრობლემები; ენერგეტიკულ ბაზრებზე გამჭვირვალობის გაზრდის, შემდგომი ინტეგრაციისა და გაერთიანების აუცილებლობა.

დღეისათვის ევროკავშირმა აქცენტი გააკეთა ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ნაციონალური ჰაბების შექმნაზე მრავალი მიმართულებით, მათ შორის საქართველოზე, როგორც სამხრეთ კავკასიისა და კასპიის რეგიონის შემკრებ ჰაბზე, სადაც შესაძლებელია თავი მოიყაროს ამ რეგიონებიდან წამოსულმა ნავთობ/გაზსადენებმა.

ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ეროვნული ენერგეტიკული ჰაბების განვითარების დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფოთა შორის განსხვავებები ენერგეტიკული წყაროების მიხედვით. მაგალითად, ძალიან დიდია ბირთვული ენერჯის მნიშვნელობა საფრანგეთში (ქვეყანაში წარმოებული ენერჯის საერთო მოცულობის 80%), ბელგიასა (75%) და სლოვაკეთში (62%). რიც ქვეყანაში ენერჯის ძი-

რითად წყაროს განახლებადი ენერჯია წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი მა-
ლტაზე, ლატვიაში, პორტუგალიასა და კვიპროსზე წარმოებული ენერჯიის
90%-ზე მეტია. მყარ საწვავს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლონეთისათ-
ვის (78%), ესტონეთისათვის (67%), საბერძნეთისა და ჩეხეთისათვის (59%).
ენერჯიის ძირითად წყაროს ნიდერლანდებში ბუნებრივი აირი (83%) წა-
რმოადგენს. ნედლი ნავთობი წარმოებული ენერჯიის ძირითადი წყაროა
დანიასა (47%) და დიდ ბრიტანეთში (41%) (Energy statistics - an overview
2021).

ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითად მი-
მართულებებს წარმოადგენს ქვეყანაში შეტანილ ენერგორესურსებზე
დამოკიდებულების შემცირება და ასევე ენერჯიის განახლებადი წყაროე-
ბის ხარჯზე ელექტროენერჯიის წარმოების გაზრდა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა ევროპის ახალი ფუნქცი-
ონალური მიმართულება გახდა. ევროკავშირი მოიხმარს მსოფლიოში
წარმოებული ენერჯიის ერთ მეხუთედს, მაგრამ მას შედარებით მცირე
საკუთარი მარაგები გააჩნია. ევროკავშირი მსოფლიოში ენერჯიის უმსხ-
ვილესი იმპორტიორია. მის მიერ მოხმარებული ენერჯიის 54% იმპორტი-
რებულია.

იზრდება ენერჯიის განახლებადი წყაროების წილი და ევროკავში-
რის წარმატება ამ სფეროში უდავოა, მაგრამ მათ ტრადიციული ენერგო-
რესურსების სრულად ჩანაცვლება ჯერ კიდევ არ შეუძლიათ და არატრა-
დიციული ენერგეტიკის პრობლემას სწორედ ეს წარმოადგენს (Nouicer
and Rossetto, 2020).

ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითად მი-
მართულებებს წარმოადგენს ქვეყანაში შეტანილ ენერგორესურსებზე
დამოკიდებულების შემცირება და ასევე ენერჯიის განახლებადი წყაროე-
ბის ხარჯზე ელექტროენერჯიის წარმოების გაზრდა.

ამჟამად გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე ადგილი აქვს ეკონო-
მიკური კონკურენციის ზრდის ტენდენციას, რაც ქვეყნების ეკონომიკური
კურსის მუდმივ რეგულირებას მოითხოვს. ევროკავშირის ქვეყნები ენე-
რჯიის მომწოდებელ რამდენიმე ქვეყანაზეა დამოკიდებული, რაც მიწო-
დების შეფერხების შემთხვევაში, მათ დაუცველს ხდის. ამჟამინდელი
საერთაშორისო სიტუაციიდან ნათელი ხდება, რომ ევროპის მომავალი
კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ზენაციონალური ინსტიტუ-
ტები რამდენად წარმატებით გადაჭრიან ორ ცენტრალურ ენერგეტიკულ
პრობლემას, როგორცაა საიმედო და ხელმისაწვდომი ენერჯიით უზრუნ-
ველყოფა და იმპორტზე დამოკიდებულების დონის შემცირება.

ევროკავშირის ქვეყნებს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ესაჭიროებათ ენერგეტიკული ჰაბების განვითარება, რაც თანხვედრაში იქნება საერთო ზოგადსაკაცობრიო მიზნებთან და რომლებშიც თავს მოიყრის დივერსიფიცირებული წყაროებიდან მოზიდული ენერგომატარებლები, განახლებადი ენერჯების წილის განუხრელი ზრდის პირობით.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მისი, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, ტურისტული და საფინანსო კვანძის (ჰაბის) ჩამოყალიბება, რაც მოგვცემს როგორც ქვეყნის შიდა, ისე რეგიონალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას. ამით ხელი შეეწყობა ქვეყნის სატრანსპორტო-ლოგისტიკური სექტორის ეროვნული წარმოების წარმადობის განვითარებას, იმპორტის ჩანაცვლებას და ექსპორტის ზრდას, მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვასა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვან მონაწილეობას.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს თანამედროვეობის მოთხოვნებთან და შეესაბამებოდეს იმ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც საქართველო ადგას ევროინტეგრაციის გზაზე. ამ პარადიგმაში საქართველოს თანამედროვე ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია, არამხოლოდ ენერგეტიკული ბაზრების დივერსიფიკაცია და კარბონერგეტიკიდან - მწვანე, განახლებად და გარემოსთვის უსაფრთხო ენერჯის წარმოებაზე გადასვლა, არამედ საერთო მიზნების გათვალისწინებაც: - ენერჯის დაზოგვა, ენერგეტიკული ბაზრების გახსნილობა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და კრიზისულ სიტუაციებში დახმარების განწვევის უნარი როგორც ქვეყნის შიდა, ასევე ქვეყნის გარეთ წარმოქმნილ პრობლემებში.

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 20 დეკემბერს მიიღო კანონი „ენერგეტიკის შესახებ“. ენერგეტიკის კანონმა შექმნა სამართლებრივი ჩარჩო საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის შემდეგი სამა-

რთლებრივი აქტების მოთხოვნათა გასათვალისწინებლად და ასამოქმედებლად: ა) 2009 წლის 13 ივლისის N2009/72/EC დირექტივა ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N2003/54/EC; 2) 2009 წლის 13 ივლისის N714/2009(EC) რეგულაცია ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC)N1228/2003; 3) 2006 წლის 18 იანვრის N2005/89/EC დირექტივა ელექტროენერჯის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ; 4) 2009 წლის 13 ივლისის N2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების დაწესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N2003/55/EC; 5) 2009 წლის 13 ივლისის (EC)N715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC) N1775/2005; 6) 2004 წლის 26 აპრილის N2004/67/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

2020 წელს მომზადდა ენერგეტიკული პოლიტიკის კონცეფციის პროექტი, რომელიც აღწერს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში არსებულ სიტუაციას, ხედვას, პრიორიტეტებს და გამოწვევებს, აგრეთვე მათთან გამკლავების გზებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტის თანახმად განახლებადი ენერჯია წარმოადგენს ენერგეტიკული სექტორის განვითარებისთვის ერთერთ წამყვან საკითხს. ამასთანავე, სხვადასხვა სახის განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება და ინტეგრაცია, რომელიც ძირითადად მოიცავს მზის და ქარის ენერჯიას, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის საქმეში. ახალი ენერგეტიკული სტრატეგიის ერთერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს განახლებადი ენერჯის წყაროების ინტეგრაცია და გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ენერგეტიკის კანონის 37-ე მუხლის თანახმად (ელექტროენერჯის წარმოების ხელშეწყობა) განახლებადი ენერჯიების წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოება და მაღალი ეფექტიანობის კოგენერაცია შეიძლება წახალისდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით ან საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების და პირობების შესაბამისად განსაზღვრული წახალისების და მხარდაჭერის მექანიზმებით, განახლებადი ენერჯიების წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოების და/ან ელექტროენერჯისა და სითბოს კომბინირებული წარმოების იმ დონის მისაღწევად, რომელიც შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით საქართველოსთვის არის დადგენილი.

აუცილებელია ევროკავშირის ენერგეტიკის კანონის გათვალისწინება საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი კანონის ჩარჩოს შედგენისას. საქართველოს კანონმდებლობის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შეჯერება, მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნებისთვის.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია,

საქართველოში ორი მიმართულების მნიშვნელოვანი გაზსადენი მიწები გადის. პირველია ჩრდილოეთ-სამხრეთ მილსადენების სისტემა NSCP. 2000-იანი წლების დასაწყისში NSCP-ის მეშვეობით ამარაგებდა რუსეთი საქართველოს და სომხეთს, მაგრამ ბოლო წლების სტატისტიკით, ძირითადად სომხეთის მომარაგებისთვის გამოიყენება. მეორეა სამხრეთ-კავკასიური მილსადენების სისტემა SCP, რომლის ძირითადი ფუნქციაა შაჰ-დენიზის ოფშორული საბადოს ბუნებრივი გაზის მიწოდება აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის და ევროპული ბაზრებისთვის, ანუ კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. საქართველოს დამოკიდებულება რუსულ გაზზე მინიმალურია. საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მთავარ მიმწოდებელს წარმოადგენს აზერბაიჯანი (იხ.ცხრილი 1).

**აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტის წილი
2018-2022 წწ.**

ცხრილი 1

წელი	2018	2019	2020	2021	2022 (იანვარ-სექტემ.)
ბუნებრივი აირის მთლიანი იმპორტი საქართველოში (ათასი დოლარი)	281373.5	315108.4	302404.4	320845.1	279681.9
ბუნებრივი აირის იმპორტი აზერბაიჯანიდან (ათასი დოლარი) %	96,41%	90,46%	86,72%	77,92%	87,78%
ბუნებრივი აირის იმპორტი რუსეთიდან (ათასი დოლარი) %	7867.74	30052.60	36983.78	70835.80	34163.39
	2,8%	9,5%	12,23%	22,08%	12,22%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საგაიეო ვაჭრობა, 2022)

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველო ძირითადად აზერბაიჯანის გაზს მოიხმარდა. მიუხედავად ამისა, არასახარბიელო ტენდენცია შეინიშნება 2021 წლამდე, როდესაც აზერბაიჯანული გაზის წილი შემცირდა, რუსეთის კი გაიზარდა. მაგრამ 2022 წლის 9 თვის მონაცემებით მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

რუსეთიდან 2018 წლის სექტემბერში 17160 დოლარის, 2019 წლის სექტემბერში 1 606 550 დოლარის, 2020 წლის სექტემბერში 1 341 810 დოლარის, 2021 წლის სექტემბერში 671 180 დოლარის, ხოლო 2021 წლის სექტემბერში 453 910 დოლარის ღირებულების ბუნებრივი აირის იმპორტი განხორციელდა. კლების ტენდენცია შესამჩნევია, თუმცა ეს შედეგი შეიძლება განსხვავებული იყოს შემოდგომისა და ზამთრის თვეების შემდეგ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს რუსული ენერგეტიკული რესურსებისგან დამოუკიდებლობის მიღწევა, ამიტომ რუსული იმპორტი ამ მიმართულებით კიდევ უნდა შემცირდეს, ისევე როგორც 2018 წელს.

მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც უკავშირდება საქართველოს დერეფნის გამოყენებას, არის აზერბაიჯანიდან ევროპაში გაზის მიწოდება, რომელსაც საფუძველი გასულ ათწლეულში ჩაეყარა. 2011 წლის 14 სექტემბერს, ქ. ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანის და რუმინეთის პრეზიდენტებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს პროექტის მხარდამჭერ დეკლარაციას. ამავე ღონისძიების ფარგლებში, სამივე ქვეყნის შესაბამისმა კომპანიებმა - SOCAR (აზერბაიჯანი), GOGC (საქართველო) და Romgaz (რუმინეთი) ხელი მოაწერეს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის განმახორციელებელი ერთობლივი კომპანიის - SC AGRI LNG Project Company S.R.L. სადამფუძნებლო ხელშეკრულებას და ურთიერთგაგების მემორანდუმს პროექტის განხორციელების თაობაზე. **AGRI LNG** პროექტი იმით არის განსაკუთრებული, რომ შესაძლებელია არსებული მილსადენებით აზერბაიჯანიდან მოხდეს ბუნებრივი აირის მიწოდება შავ ზღვამდე მილსადენით, ხოლო შემდგომ მოხდეს ბუნებრივი აირისთვის თხევადი ფორმის მიცემა და შავ ზღვაზე ტანკერებით ტრანსპორტირება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის არსებულ სიტუაციაში, მაშინ როდესაც ევროპა გაზის მიწოდებლების ძიებაშია, ხოლო ჩვენ საშუალება გვეძლევა განვავითაროთ ჩვენი სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია (საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია).

სამომავლოდ, საქართველოს დერეფნის გამოყენების ისეთი კონცეფციებიც არის შემუშავებული, როგორებიცაა ტრანსკასპიური მილსადენის კონცეფცია, თეთრი ნაკადის კონცეფცია (შავ ზღვაში მილსადენები საქართველოდან რუმინეთამდე) (გოჩიტაშვილი თ. 2014).

საქართველოს არამხოლოდ ბუნებრივი აირის, არამედ ნავთობის გადაზიდვის გამორჩეული პოტენციალი აქვს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე არსებობს მარშრუტები - ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. საქართველოს არამხოლოდ აზერბაიჯანიდან, არამედ მთლიანი კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებიდან შეუძლია ნავთობის ტრანსპორტირება ევროპისკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოებაზე დაყრდნობით, უკავშირდება საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გააქტიურებას, ენერგეტიკული დიპლომატიის წარმოებას გადაწყვეტილების მიმღებ ქვეყნებთან და შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებას. ეს ყველაფერი პირველ რიგში, ქვეყანას მისცემს რუსეთისგან დამოუკიდებლობის საშუალებას, მეორე მხრივ კი ქვეყანაში გაჩნდება დამატებითი შემოსავლები, სამუშაო ადგილები და ა.შ.

ბოლო წლებში განსაკუთრებულად გაიზარდა საქართველოში ქარისა და მზის ელექტროსადგურების მშენებლობისადმი ინტერესი. აქედან გამომდინარე, საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორმა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ ევროპელი კონსულტანტების DigSILENT, DMCC, R2B კონსორციუმის დახმარებით შეისწავლა ცვალებადი განახლებადი ენერჯის წყაროების საქართველოს ენერგოსისტემაში ინტეგრირების შესაძლებლობები. ქარის ტურბინების და მზის პანელების თვითღირებულება სულ უფრო და უფრო მცირდება, რის გამოც ქარის და მზის ენერჯის ათვისება სულ უფრო მიმზიდველი ხდება. მათი ელექტროსადგურების მშენებლობას ბევრად ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე ჰესებს (კაშხლის და წყლის სადანეო სისტემის არარსებობის გამო). ასევე მინიმალურია მათზე ე.წ. საოპერაციო ხარჯები (დანახარჯები მუშაობის პერიოდში). ჰესების მშენებლობის გაჭიანურების და ქვეყნის ელექტროენერჯის მოხმარების ინტენსიური ზრდის ფონზე, მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება შიდა წყაროების ათვისება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქარისა და მზის ელექტროსადგურებს. თუმცა, მათი ინტეგრაცია არ უნდა მოხდეს ენერგოსისტემის საიმედოობის შემცირე-

ბის ხარჯზე. ქარისა და მზის ელექტროსადგურებს გააჩნია რიგი თავისებურება, რაც აუარესებს ენერგოსისტემის მდგრადობას, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი გენერაციის ცვალებადობა. ეს შედარებით ნაკლებად არის გამოხატული მზის შემთხვევაში, რადგან მისი გენერაცია ძირითადად დამოკიდებულია კალენდარულ ცვალებადობაზე და ნაკლებად - ამინდზე.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია უფრო მეტად შეენწყოს ხელი ქვეყნის გავლით ენერგოდერეფნების განვითარებას, მათ შორის, ევროპულ ენერგობაზრებზე პირდაპირი წვდომის მიმართულებით. აუცილებელია აქტიური მუშაობა საქართველოში გამავალ სატრანსპორტო დერეფანში მეტი საერთაშორისო ტვირთების მოზიდვისთვის, ასევე ახალი სატრანსპორტო დერეფნების შექმნისა და გაფართოებისთვის.

საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კავკასიის (შავი ზღვის აუზის ქვეყნების) რეგიონში დაგეგმილი ენერგეტიკული ინტეგრაციის ამოცანათა გადაჭრაში. რაც გულისხმობს ამ ქვეყნებს შორის ელექტროენერჯის მიმოცვლას და საქართველოს ჰიდროენერგორესურსების ათვისებასა და გამოყენებას. არსებული მდგომარეობით საქართველოს ენერგოსისტემიდან მეზობელ ენერგოსისტემებთან სიმძლავრის მიმოცვლა ხორციელდება 500, 400, 330, 220 კვ ძაბვის სატრანზიტო ელექტროგადამცემი ხაზებით. ელექტროენერჯის მიმოცვლა ხორციელდება: საქართველოდან რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და პირიქით; ასევე რუსეთიდან თურქეთში, აზერბაიჯანიდან თურქეთში. ამ ამოცანათა შესრულებას ემსახურება საქართველოს გადამცემი ქსელის სატრანზიტო ხაზები, თუმცა მათი გამტარუნარიანობა შეზღუდულია ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის დასაშვები რეჟიმული პარამეტრებით.

საქართველოს შიგა წარმოების პოტენციალი აქვს ელექტროენერჯის მიმართულებით. განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, საქართველოს შეუძლია გამოიმუშავოს იმდენი ელექტროენერჯია, რამდენიც საჭიროა ქვეყნის მოხმარების დასაკმაყოფილებლად და გავიდეს ექსპორტზეც. სხვა შემთხვევაში საქართველო ელექტროენერჯის ძირითად იმპორტს ახორციელებს აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან.

ბოლო წლების ტენდენციას, რომელიც უკავშირდება იმპორტირებული ელექტროენერჯის წილის კლებას აზერბაიჯანიდან და წილის მატებას რუსეთიდან, უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, ვინაიდან იქმნება საშიშროება, რომ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთზე გაიზარდოს.

აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი 2018-2021წწ.

ცხრილი 2

წელი	2018	2019	2020	2021	2021 (იან-სექ)
აზერბაიჯანი (კვტ.ს.) %	63446.50 83.7%	55730.70 70,97%	36397.26 56,42%	28931.59 60,37%	9675.03 27,8%
რუსეთი (კვტ.ს.) %	9333.60 12,3%	22797.83 29,03%	14553.20 22,57%	11959.00 24,95%	14834.62 42,68%
ელექტროენერჯის მთლიანი იმპორტი კვტ.ს.	75,774.0	78,528.5	64,514.6	47,924.0	34,745.7

წყარო: გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

საქართველოს აქვს ელექტროენერჯის ექსპორტის პოტენციალიც მეზობელ ქვეყნებში. მისთვის განსაკუთრებით მიზნიდველია თურქეთის ბაზარი, რომელიც უკავშირდება საბერძნეთსაც და, რა თქმა უნდა, სასურველია ევროპული ბაზრის ათვისებაც, რაც შესაძლებელია შავი ზღვის გავლით რუმინეთთან დაკავშირება და ელექტროენერჯის ექსპორტის ევროპულ ბაზარზე გატანა. ექსპერტთა გამოთვლებით, ქვეყანას შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ელექტროენერჯის ევროპულ ბაზარზე ექსპორტის მეშვეობით მილიარდი დოლარის ფინანსური რესურსის აკუმულირება მოახდინოს გადასახადების სახით, ამას, რა თქმა უნდა, ემატება ეკონომიკური აქტივობის ამაღლება და უმუშევრობის შემცირება (BM.GE).

ამგვარად, საქართველოს აქვს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის პოტენციალი, რაც, რა თქმა უნდა, რაციონალური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებითაა შესაძლებელი. თუმცა, განსაკუთრებული საფრთხედ შეგვიძლია განვიხილოთ ის, რომ ქვეყანა ვერ მართავს სტრატეგიულ ობიექტებს, მაგალითად სს. თელასის საკონტროლო აქციების მფლობელი რუსული კომპანია ინტერრაოა, რომლის სათაო ოფისიც მოსკოვში მდებარეობს. ასევე პრობლემაა ის, რომ ხდება სტრატეგიული ობიექტების გასხვისება, მაგალითად, ელექტროსადგურები გაიყიდა დაახლოებით 14 მლნ დოლარად, მაშინ

როცა ელექტროსადგურები წელიწადში დაახლოებით 5 მლნ დოლარის ღირებულების ელექტროენერჯიას აწარმოებს.

საქართველოს, როგორც არასდროს, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. საამისოდ, ქვეყანამ ტრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერჯიის ტრანზიტის ქვეყანა. აზერბაიჯანში არსებული ქარბი ელექტროენერჯია, კერძოდ, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული, ანუ საბაზო ელექტროენერჯია უნდა შემოვიდეს საქართველოში, ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით გარდაიქმნას იმ ტიპის ელექტროენერჯიად, რომელიც ევროპის ბაზარზე შეიძლება გაცილებით ძვირად გაიყიდოს, ანუ პიკის საათების ელექტროენერჯიად. ეს შესაძლებლობები და უპირატესობები მომავალშიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაძლიერდება შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გახდა გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა (მის ნებისმიერ ეტაპზე). ეს ითვალისწინებს ასევე რუსეთის ფედერაციაზე ენერგოდამოკიდებულების ხარისხის შემცირებას, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით. პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ელექტროენერჯიის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით. ის საქართველოსთვის სატრანზიტო შემოსავლის წყაროც იქნება. ამ კაბელს ექნება სხვა დანიშნულებაც. ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ მასში ასევე დამონტაჟდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის /ინტერნეტ არხის/ ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ძნელია შევაფასოთ ეს შანსი, რაც, ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას/ცენტრალურ აზიას შორის.

ექსპერტების მოსაზრებით, ამ მასშტაბის გლობალურ პროექტში მსოფლიო ბანკის ჩართულობა მის ნებისმიერ ეტაპზე, მიუთითებს მის სერიოზულობაზე და პროექტის კარგ პერსპექტივაზე. შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერჯიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის იდეაზე წლების წინაც იყო საუბარი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათ შორის, პროექტის სიძვირიდან გამომდინარეც, მაშინ საქმე არ დაძრულა. ამჯერად კი,

საქართველოსთვის ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია. ის ითვალისწინებს შავი ზღვის ფსკერზე 1200 კმ-მდე სიგრძის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკულ სისტემებს. პროექტის დაფინანსებაში მსოფლიო ბანკთან ერთად ჩაერთვებიან, როგორც მთავრობები, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსხვილი ენერგეტიკული კორპორაციები. რაც საინტერესოა როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე გეოეკონომიკური და ზოგადად გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც. მაგალითად, გეოლოგიური კვლევებისთვის, რომელიც შავ ზღვაში უნდა ჩატარდეს, საქართველო 20 მლნ აშშ დოლარს გამოყოფს.

„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის“ პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობებისა და საუკეთესო გზების დადგენის მიზნით, აქტიური რეჟიმით მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელსაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დაკვეთით, იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI ახორციელებს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა 2023 წლის ბოლოს დასრულდება.

საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის მთავრობებს შორის მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, თბილისში ოთხი ქვეყნის სამთავრობო უწყების მაღალი რანგის შეხვედრა გაიმართა.

განსახილველ საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და „ტრანსელექტრიკა“-ს მეშვეობით განხორციელდება. შედეგად, 1 195 კმ-ის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერჯის ბაზრის საა-თობ-რივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერჯით ვაჭრობა.

ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით, ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების და გეოფიზიკურ/ გეოტექნიკური შავი ზღვის ფსკერის კვლევები. ამის მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები.

ოთხი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობით, მნიშვნელოვნად განვითარდება ენერგეტიკის სექტორი, გაიზრდება მწვანე ენერჯების სატრანზიტო და ვაჭრობის შესაძლებლობები, ევროპული ენერგოსისტემები კი პოტენციურად დაუკავშირდებიან სამხრეთ კავკასიის რეგიონს.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის სავარაუდო მარშრუტისა და ლოკაციის შერჩევის მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI-ს ექსპერტებთან ერთად ანაკლიაში იმყოფებოდნენ. მოინახულეს და განიხილეს ანაკლიის სანაპირო ზოლში ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განთავსების ლოკაციები, გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედების სკრინინგის ანგარიშის დასასრულებლად, ადგილზე განხორციელდა მოკვლევა და დათვალიერება. წარმომადგენლობა ასევე იმყოფებოდა ქვესადგურში „ჭვარი 500“, სადაც შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის საქართველოს ენერგოსისტემასთან მიერთებაა დაგეგმილი. კომისიამ ანაკლიაში ის ლოკაციები დაათვალიერა, სადაც სამომავლოდ იგეგმება ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის ზღვაში განლაგება, ხოლო მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, დაზუსტდება კაბელის მარშრუტი, გარემოს დაცვისა და სოციალური სკრინინგის საკითხები და ა.შ.

დასკვნები და რეკომენდაციები

რას მოუტანს ქართულ ეკონომიკას, კერძოდ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი?

მაღალი ძაბვის ინფრასტრუქტურას დაემატება 1000 მეგავატამდე გამტარუნარიანი 500 კილოვატიანი გადამცემი ქსელი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ენერგოდამოუკიდებლობის, ასევე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. შემცირდება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, რამდენადაც შავი ზღვის კაბელი საქართველოს საშუალებას მისცემს რეგიონის ენერგოსისტემა ევროგაერთიანების სისტემას დააკავშიროს და პირიქით.

ახალი გადამცემი ხაზი, ორივე მხარისთვის, ევროგაერთიანების ენერგოსისტემისა და ჩვენი რეგიონისთვის ერთნაირად საინტერესო იქნება, როგორც ენერჯიის მიღების, ასევე გაცემის თვალსაზრისით. დღეს ყველა ეძებს იაფ და მწვანე ენერჯიას. ეს ტენდენცია უკვე შეუქცევადია. აქედან

გამომდინარე, როგორც ჩვენი პერსპექტივაში განსავითარებელი ჰიდრო-ენერგეტიკისთვის, ასევე აზერბაიჯანის ენერგეტიკისთვის, პრაქტიკულად გარანტირებული ბაზარი იხსნება. საკითხის მეორე მხარეა, როცა ვმსჯელობთ იმპორტის ახალ შესაძლებლობაზე. ცხადია, იმპორტის დივერსიფიკაციაც ჩვენი ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ევროპაც და აზიის ქვეყნებიც დაინტერესებული იქნებიან ახალი მყარი და მოცულობითი ენერგოკავშირების დამყარებით და, ცხადია, ამ საქმეში თავის როლს შეასრულებს და საქმეს გაამარტივებს, თუკი შავ ზღვაში უკვე იქნება მაღალი დაბვის გადამცემი ქსელი. პოტენციაში იგივე ინფრასტრუქტურა უნდა დავინახოთ კასპიის ფსკერზეც. უდავოდ მიმზიდველად გამოიყურება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ენერგოსისტემების კავშირის შესაძლებლობა. საკითხის ამ რაკურსით გაანალიზების შემთხვევაში, ისედაც ძალიან საინტერესო პროექტი კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს მთელი რიგი ენერგომოთამაშეებისთვის. მაგრამ, მანამდე, შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი დაბვის გადამცემი ქსელის პროექტმა უნდა ნახოს დღის სინათლე, მისი დაწყება უნდა გახდეს საქართველოს ენერგოგანვითარების მასტიმულირებელი და მისი მეშვეობით ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეიძინოს ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნის პროექტის - „აბრეშუმის გზის“ მონაწილეა. შესაბამისად, პროექტის - „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ფარგლებში საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. რა თქმა უნდა, როდესაც სატრანზიტო ფუნქციაზე ვმსჯელობთ, აქ არ იგულისხმება მხოლოდ საგზაო ან სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ელექტროენერჯის სატრანზიტო როლის გაზრდაც ამ გლობალური მასშტაბით უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა ლოჯისტიკური მნიშვნელობისა, საქართველო ასევე ენერგეტიკული თვალსაზრისით ჩამოყალიბდება ერთგვარ კარიბჭედ აზიასა და ევროპას შორის.

ლიტერატურა:

- გოჩიტაშვილი თ. (2014). ნავთობისა და გაზის სატრანზიტო მილსადენები (არსებული და პერსპექტიული), თბილისი. <http://weg.ge/sites/default/files/1.-energy-transit-projects.pdf>
- მარგველაშვილი მ. (2014). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და მათი შერბილების მიმართულებები.

- http://weg.ge/sites/default/files/energetikuli_usaprtxoebis_riskebi.pdf
- მიწოდების უსაფრთხოების ანგარიში ელექტროენერგეტიკულ სექტორში https://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/security_of_supply_statement_electricity/security_of_supply_statement_electricity_2021_geo.pdf
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 10 წლიანი გეგმა. <https://drive.google.com/file/d/1wk-pB0wTOFSQYU7c62wOe-RY9W0UcATze/view>ნანახია05.09.2022;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). www.geostat.ge
- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის (2019) თბილისი.
- Energy statistics - an overview. Eurostat - statistics explained. Accessed 05 08, 2023. https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Energy_statistics_-_an_overview#Imports_and_exports.
- Nouicer, Athir, and Nicolò Rossetto. (2020). Renewable Energy in the European Union. Accessed 05 06, 2023. <https://fsr.eui.eu/renewable-energy-in-the-european-union/>.
- <https://for.ge/index.php/view/209711/zurab-noRaideli-saqarTvelos-aqvs-Sansi-energetikuli-habi-gaxdes.html>
- <https://business-partner.ge/energetika/andria-gvidiani-sakartvelo-elektroenergetikuli-habi-unda-gakhdes>
- https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2022-2032_GEO.pdf

References:

- Gochitashvili T. (2014) Navtobisa da Gazis satranzito milsadenebi (Arsebuli da Perspeqtivi), [Oil and gas transit pipelines (existing and future.) in Georgian <http://weg.ge/sites/default/files/1.-energy-transit-projects.pdf>
- Margvelashvili M. (2014). SaqarTvelos energetikuli usaprtxoebis riskebi da mati sherbilebis mimartulebebi. [Georgia's Energy Security Risks and Directions for Mitigation] in Georgian
- http://weg.ge/sites/default/files/energetikuli_usaprtxoebis_riskebi.pdf
- Miwodebis usaprtxoebis angarishi eleqtroenergetikul seqtorshi. [Security of Supply Report in the Electricity Sector] in Georgian
- https://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/security_of_supply_statement_electricity/security_of_supply_statement_electricity_2021_geo.pdf
- Saqartvelos ekonomikisa da mdgradi ganvitarebis saminstros 10 wliani gegma. [10-year plan of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia] in Georgian
- <https://drive.google.com/file/d/1wk-pB0wTOFSQYU7c62wOeRY9W0UcATze/view> nanaxia 05.09.2022;

- Saqartvelos statistikis erovnuli samsaxuri (2023). [National Statistical Service of Georgia (2023)]. in Georgian www.geostat.ge;
- Qveynis ziritadi monacemebi da mimartulebebi 2020-2023 wlebistvis(2019), Tbilisi; [Basic country data and directions for 2020-2023 (2019).] in Georgian
- Energy Statistics - an overview. Eurostat - statistics explained. Accessed 05 08, 2023. https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Energy_statistics_-_an_overview#Imports_and_exports;
- Nouicer, Athir, and Nicolò Rossetto (2020). Renewable Energy in the European Union. Accessed 05 06, 2023. <https://fsr.eui.eu/renewable-energy-in-the-european-union/>.
- <https://for.ge/index.php/view/209711/zurab-noRaideli-saqarTvelos-aqvs-Sansi-energetikuli-habi-gaxdes.html>
- <https://business-partner.ge/energetika/andria-gvidiani-sakartvelo-elektroenergetikuli-habi-unda-gakhdes>
- https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2022-2032_GEO.pdf

Background to the Formation of Energy Hub in Georgia and Development Prospects

Gulnaz Erkomaishvili

Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi
State University
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

Lali Khurtsia

Assistant Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi
State University
lali.khurtsia@tsu.ge

The article introduces energy security policy as a new functional direction of Europe, including Georgia. The Russia-Ukraine war and the sanctions imposed on Russia raise the issue of European energy security and the search for new alternative routes, as the problems of transit of energy resources in the practice of EU energy diplomacy are increasingly aggravated. So far, the European Union has focused on creating energy security and national hubs in many directions, including Georgia as the hub of the South Caucasus and Caspian regions.

The aim of the study is to analyze the prospects of designing and implementing the energy hub policy in Georgia in accordance with the requirements of the European Union and to look for ways for its effective implementation.

The article concludes that Georgia's economic security based on energy security is related to activation of Georgia's transport corridor function, energy diplomacy with decision-making countries and maximum use of opportunities.

Due to its geographical position, Georgia can play an important role in solving the planned energy integration tasks in the Caucasus region (Black Sea Basin). This implies the exchange of electricity between these countries and the use and exploitation of hydropower resources of Georgia. In the current situation, the exchange of electricity from the Georgian power system to the neighboring power systems is carried out through transit power lines with a voltage of 500, 400, 330 and 220 kV. Electricity exchange takes place: from Georgia to Russia, Turkey, Azerbaijan, Armenia and vice versa; Also from Russia to Turkey, from Azerbaijan to Turkey; The transit lines of the transmission system of Georgia serve to fulfill these tasks, but their capacity is limited by the permissible operating parameters of the country's energy system.

Georgia has domestic production potential towards electricity. Especially in the summer months, Georgia can generate as much electricity as is needed for the country's own needs and also export it. Otherwise, Georgia mainly imports electricity from Azerbaijan and Russia.

Today, Georgia has a chance to become an electric power center like never before. Therefore, the country should take advantage of being a transit country. It is to become an electricity converter and transit country. The excess electricity in Azerbaijan, especially the base electricity generated by the thermal power plants, should be brought to Georgia and converted by the regulatory hydroelectric power plants in the country into electricity that can be sold at a much higher price on the European market, i.e. H. electricity at peak times. These opportunities and advantages should be used as extensively as possible in the future.

The functioning of the Transcaucasian power node of Georgia will be significantly strengthened by the implementation of the project of the high-voltage transmission network at the bottom of the Black Sea. In this context, the involvement of the World Bank in the global project (in each of its phases) has become important. This also envisages reducing energy dependency on the Russian Federation, as the Black Sea cable will allow Georgia to connect the region's energy system to the European Union's system and vice versa. The project will be of great importance for exporting electricity generated in Georgia to the EU market. It will also be a source of transit revenue for Georgia. This cable will also have another purpose. The infrastructure allows for the installation of a fiber optic cable, giv-

ing us an additional direct opportunity to set up a telecom/internet channel. It is difficult to overestimate this opportunity, which provides the opportunity to create an additional direct channel of telecommunications traffic between South-east Europe and the South Caucasus/Central Asia.

According to experts, the involvement of the World Bank in a global project of this magnitude at any stage is proof of the seriousness and good prospects of the project. The idea of a high-voltage power transmission grid on the bottom of the Black Sea was discussed years ago, but for certain reasons, including the high cost of the project, it was not started at the time. This time this is the most important project for Georgia. It envisages the construction of a 1,200-kilometer high-voltage transmission network at the bottom of the Black Sea, which will connect the electrical power systems of Georgia and Europe. Together with the World Bank, governments as well as international financial institutions and large energy companies will be involved in financing the project. Which is interesting from a purely economic, geoeconomic and general geopolitical point of view. For example, Georgia is providing US\$20 million for geological research in the Black Sea.

What will this project bring to the Georgian economy and in particular to the electricity sector of Georgia?

The high-voltage infrastructure will be expanded to include a 500-kilowatt transmission grid with a capacity of up to 1,000 megawatts, which represents an important step in terms of both energy independence and energy security. Energy dependency on Russia will be reduced as the Black Sea cable will allow Georgia to connect the region's energy system to the European Union's system and vice versa.

The new transmission line will be equally interesting for both sides, both for the energy system of the European Union and for our region, both in terms of receiving and issuing energy. Nowadays everyone is looking for cheap and green energy. This trend is already irreversible. Therefore, a practically guaranteed market opens up both for our future hydropower and for the future energy of Azerbaijan. The other side of the problem is when we talk about a new import option. Obviously, import diversification is one of the main tasks of our energy policy.

Both Europe and Asian countries will be interested in building new solid and bulky electricity connections, and it will obviously play a role in this and make things easier if there is already a high-voltage transmission grid in the Black Sea. Perhaps we should see the same infrastructure at the bottom of the

Caspian Sea. The possibility of connecting the energy systems of Azerbaijan and Kazakhstan seems undeniably attractive. Analyzing the topic from this point of view, the already very interesting project gains even more interest for a number of energy actors. But before that, the project of the high-voltage transmission network at the bottom of the Black Sea should see the light of day, its launch should become an impetus for the energy development of Georgia, and thereby our country should take on the function of the Transcaucasian electric power center. At the same time, we must not lose sight of the fact that our country is a participant in the "Silk Road- project of the century. Therefore, within the framework of the One Road, One Belt project, Georgia has the most important role from the point of view of the transit function. Of course, when we talk about the transit function, we don't just mean the arrangement of the road or rail infrastructure, but we should also think about increasing the transit role of electricity on this global scale. Therefore, we can say that in addition to the logistical importance, Georgia will also become a kind of gateway between Asia and Europe in terms of energy.

Keywords: Energy hub, energy security, energy integration, energy policy of Georgia.

JEL Codes: P28, P48, Q48

საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

პაატა კოღუაშვილი

პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
paata_koguashvili@hotmail.com

იოსებ აჩვადე

პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი
josepharchvadze@yahoo.com

ნებისმიერი სახელმწიფოს უსაფრთხოების აჩივებულნიკაში სასურსათო უსაფრთხოებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. აღნიშნული პირობემა გამჭორია სახელმწიფოებრიობის მხავად - ვეტიკა-ღუი (მაკოეკონომიკა-შინამეუხნეობა-ადამიანი) და პოიზონტადუი (ხეგონურ-სივცობივი), ინსტიტუციუი, ოხგანიზაციუდ და მენტადუი ასპექტით. უფო მეტიც, ახსებობს მალადი კოხედაცია სახელმწიფო-ებრივი მდგხადობისა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონეთა შოხის. განსაკუთრებით აქტუადუიია ის ინსტიტუციუი აღმშენებლო-ბისა და განვითარების პიოცესში მყოფი საქართველოსათვის, ხომღის მოწყვადობაც უშიშოების მხივი, საფრთხეებითა და გამოწყვევებით, სწოხედ სასურსათო უსაფრთხოების მიმახურღებითაა, განსაკუთრებით მალადი - ეთი მხივი, საქართველოს სოფღის მეუხნეობის განვითარების და ეფექტიანობის შედახებით დაბადი დონის, მეოხე მხივი, კი ქვეყნის მოსახღეობის სუხსათით უზრუნვედყოფაში მალადი იმპოხღეა-მოკიღებღების გამო. ქვეყნის მთავოობა სასურსათო უსაფრთხოების კიზისურ ვითარებას უნდა დაუპიხისპიხღეს უფო მიზანმიმახურღი, ეფექტიანი და გახკვედღიად პოტექციონისტუი აგხაღუი პოღიტი-კით, ხომღის მიზანი იქნება სასურსათო პოღუქტების წაიოების გა-ფაიოება, მაიციღეუღის მოსავღიანობისა და ნათესი ფაიოებების გა-ოიმაგება, მეცხოვეღეობის პოღუქციის ზიდა, უახღესი ტექნოღოგიების დანეიგვა და გადამამუშავებღი მიეწვეღობის მასშტაბების გაფაიოე-ბა, აგხაღუი შომის ავოოიტივის ამალღება, სოფღად სოციადუი-კუღ-ტუიღი მდგომაიოების გაუმტობესება და მოსახღეობის შემოსავღების ზიდა. ამ მიმახურღებით მნიშვნეღვანიია მიწის ხესუსხების იაციონა-ღუიად გამოყენების ეფექტიანობის გაზიდა.

საკვანდო სიცივები: სოფღის მეუხნეობა, სუხსათით უზრუნვედყოფა, აგოსასურსათო პოღუქცია, თვიოუზრუნვედყოფა, იმპოხღე დამო-კიღებღება.

შესავალი

სასურსათო უსაფრთხოება, მისი სრული, ფართო გაგებით, ორკომპონენტია: ცნებაა: ჯერ ერთი, ის წარმოადგენს ცალკეული ქვეყნის (კონკრეტულ შემთხვევაში კი - ამა თუ იმ რეგიონის) მოსახლეობის სიცოცხლისა და ნორმალური ფიზიკური და სოციალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ კვების პროდუქტებთან წვდომის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი - ეს არის ქვეყნის მიერ სასურსათო პროდუქტების ისეთი რაოდენობით წარმოებისა და მათზე წვდომის იმგვარი პოტენციალი, რაც არ გახდის სახელმწიფოს სხვა ქვეყნებზე მეტისმეტად დამოკიდებულს, ამ უკანასკნელთაგან სურსათის მიწოდების პროცესის პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად (ემბარგო, მიწოდების კაბალური პირობები, ფასებით მანიპულაცია და ა.შ.) გადაქცევის გარეშე.

ბუნებრივია, თითოეული შინამეურნეობის დონეზე სასურსათო უსაფრთხოება განისაზღვრება ისეთი სტაბილური შემოსავლით, რაც საკმარისია მის წევრთა ნორმალური ფიზიკური ფუნქციონირებისა და სოციალური აქტიურობისათვის.

მიუხედავად ბოლოდროინდელი გარკვეული სტაბილიზაციის ნიშნებისა, სოფლის მეურნეობა ჯერაც რჩება საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სუსტ რგოლად. ამ სფეროში შრომის მწარმოებლურობა, ეკონომიკის დანარჩენ სექტორებთან შედარებით, 3-4-ჯერ უფრო დაბალია და მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღაურების თანაფარდობა საშუალო ქვეყნისმიერ მაჩვენებელთან გაცილებით აღემატება შრომის მწარმოებლურობით ანალოგიურ მაჩვენებელს (საშუალო ხელფასი სოფლის მეურნეობაში ეკონომიკის დანარჩენი სექტორების 2/3-ის დონეზეა, მაშინ როდესაც შრომის მწარმოებლურობა - 2/5-ზე ნაკლებია), აგრარულ სექტორში საქმიანობის ეკონომიკური და სოციალური მიმზიდველობა, პრესტიჟულობა, ჯერაც საკმაოდ დაბალია. აღნიშნული გარემოება იწვევს ამ სექტორიდან სამუშაო ძალის სისტემატურ გადინებას ეკონომიკის სხვა სექტორებში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სოფლად კი სულ უფრო მეტად შეინიშნება მისი დეფიციტი.

სასურსათო თვითუზრუნველყოფის დონე საქართველოში

Georgia is one of the food importing countries. The share of imported food in the consumer basket is high and is about 80% of consumed food. According to National Statistics Service of Georgia data, (Table N3) in 2020, the self-sufficiency rate for wheat was 15%, for meat in general - 49%, for vegetables - 63%, and for poultry meat - 34%. Due to the high demand for food imports, food prices in Georgia are more sensitive to exchange rate changes and international price fluctuations

The dynamics of the exchange rate: The main reason for the increase in food prices in the last two years was the devaluation of the Georgian lari against the US dollar. In 2020, compared to 2019, the Georgian lari depreciated by 10.3% against the US dollar, when the exchange rate of the Georgian lari against the US dollar increased from 2.82 to 3.11. The devaluation of the Georgian lari affected the prices of imported food and raw materials, including poison chemicals, fertilizer, fuel, and milk powder. The exchange rate of the Georgian lari is already decreasing, in 2022 it was 2.9156 and in April 2023 it is 2.5461, however, the price of most of the food was not reduced in accordance with the rate. It should be noted that the mentioned issue needs more research and study, but one thing is a fact - the mentioned situation shows the need for the development of agriculture and domestic production. The field of agriculture, both throughout the country and in the region, has been in a state of crisis for years, which was caused by inappropriate attitudes towards the field. As a result, agricultural production has turned into an unprofitable sector.

The population's interest in agriculture decreased sharply, and the domestic market of the country was saturated with imported goods. In fact, there has been no introduction of new technologies for years, which would have ensured

the production of competitive products, the result of all this was reflected in the economic and social situation of the population, the labor resource has moved from the countryside to the city and even beyond the borders. In 2011, there were 87,700 cattle in the highland region of Adjara, and in 2019, this indicator decreased to 53,600 (1/3). The reason for this is the outflow of the local population and labor force.

The government's attitude towards agriculture has changed dramatically in recent times, however, the development of this field is quite a difficult and long process. The complex events are planned with the involvement of the Ministry of Agriculture and with the financial and technical support of international donor organizations, but to perfect the processes, it is still necessary to carry out a number of measures and to focus on the right result

The conclusion

An atypical economic crisis has changed the socio-economic order of the world; increased prices and high inflation aggravate the social background of the Georgian population. The crisis has shown that local production and self-sufficiency of the country is a necessary factors, because the level of food security is deteriorating and the demand for food is increasing day by day, and on the other side, the pandemic has shown how importing countries reduce the import of raw materials during the crisis, so the country's dependence on imports leads to difficult consequences. Accordingly, there were programs supporting agriculture, which partially gave the sector a boost to development. Obviously, it does not allow us to calm down while a large share of the grocery basket comes from bakery products and the self-sufficiency rate of wheat is still 22%, but the process has started and it is necessary to support it again and develop the right strategic, targeted plans.

As of today, Georgia has a difficult and challenging period. The world market is attractive with its experiences and high purchasing power but also has quite high standards, which remains a difficult challenge for our country. For years, Georgia did not have appropriate plans, standards, and necessary technical knowledge to increase its production and the competitiveness of its products. Today, several steps have already been taken towards producing more and producing standardized quality products, accordingly, it is necessary to deepen and refine this direction, various projects, awareness-raising training, and more involvement from the state are needed.

With the help of the government and various non-governmental sectors, investments were made in infrastructure and research to support the development of the agriculture sector. This included building new irrigation systems, establishing research institutes, and developing new technologies to improve productivity and sustainability. Despite these efforts, the challenges facing Georgia's agricultural sector remain significant. To deal with those challenges, it will be important for policymakers to take a more holistic approach to agricultural development, which takes into account the complex relationship between economic, social, and environmental factors.

Both the private sector and the state should make equal efforts for the progress of the country and the increase of local production, an entrepreneur as a manufacturer and product creator, the state as a defender of the country's interests, with the right strategic vision and support at the national or international level. When we talk about support from the state for business, we mean:

- co-financing targeted and result-oriented projects;
- Training and sharing the right experience;
- Providing information and raising awareness among farmers;
- Formation of the tax system and adjustment to real possibilities;
- Approaching European standards and supporting organizations in improving these standards;
- Intermediation with the financial sector in terms of "cheap credit";
- And solving other (according to production) specific issues.

The governing and self-governing bodies of the municipalities should timely develop commercial proposals for the rational use of all the possibilities of social and economic benefits of agriculture, for the accelerated development of amateur and innovative industries, carry out structural changes in the determination of investment priorities in important areas, optimal opportunity, adequate development of income and financial resources, rational placement and management of resources.

Modern technologies are fundamentally changing the situation of environmental protection and a healthy environment in terms of room capacities, service, production, management, and marketing. The main requirement is an adequate response to the challenges of producers and consumers, demographic and social changes, and the formation of a stable and safe environment, based on best practices.

In the conditions of an atypical crisis, the inevitable process and opportunities for potential economic transformation presented the problems of the forma-

tion of food farming in a new way. Among them, it is important to use innovative forms of management, continuity of these processes, comply with the advanced standards of local and international businesses, develop legal, organizational, and economic parameters for the regulation of the agrarian industry, and develop adapted and useful programs.

On the other hand, the private sector, should create quality products in compliance with standards and take care of customer satisfaction, taking into account appropriate marketing and social activities.

To sum up, the fate of the country's development depends on the increase in the production of domestic products and its competitiveness. Georgia has the potential to be able to provide the country with the main products that can be found in the agro-food basket and also export quality products outside of the country. Therefore, it is necessary to study, complete and implement appropriate measures for the above-mentioned issues. In my mind, this will be the best way to increase competitiveness and the opportunity to strengthen the country, preserve the national identity and take care of future generations.

References:

- Basiashvili D., Tokmazishvili M. (2020). "Challenges of the local Economy in the Conditions of the Covid-19 pandemic".
- Datunashvili L. (2020). "Agriculture and Economic Challenges in the Conditions of the Pandemic", *Economy XXI Century*, (E ISSN 2587 – 4691).
- Papava V. (2020). "Non-Traditional Economics", Methodology and Methods, Published in Ivane Javakishvili Tbilisi State University.
- Papava V. (2020). "Coronomics, Coronamic Crisis", *Economy and Business*, 2020.
- Papava V. (2018). "The Crisis of Economic Science and the Search for a New Paradigm",
- Djibouti M. (2020). "The Impact of the Covid-19 Pandemic on Municipal Budgets and Revenues in Georgia".
- National Statistical Service of Georgia (2021). "Agriculture of Georgia", statistical publication.
- National Competition Agency of Georgia, (2022). "General Assessment of local fertilizer Industry in Georgia", Tbilisi.
- Anti-crisis plan, care for the village and farmers, <https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan> ;
- COVID-19 in Georgian Agriculture: Challenge, Opportunity or Both?, ISET Research Institute (ISET-PI), 2021.
- Namchavadze B. Natroshvili L. (2020). "Georgia's Agriculture Sector".

- Papava V. Chkuaseli M. (2021). "Coronomics, Financial Support for the Economy and its Zombie-ing (In the Context of the Fifth Factor of Production)".
- Eleanor J. Murray(2020). "Epidemiology's Time of Need: COVID-19 Calls for Epidemic-Related Economics".

მდგრადი სასურსათო მეურნეობის ფორმირების პრობლემები და შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პერიოდში

მანველიძე

პროფესორი

ბათუმის შოთა ჰუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
manvelidze.revaz@bsu.edu.ge

ზანდა მესხიძე

დოქტორი

ბათუმის შოთა ჰუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
zanda.meskhidze@bsu.edu.ge

მსოფლიო ეკონომიკისთვის, სოფლის მეურნეობა - სუხსათის წახმოებისა და მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების დონის გათვალისწინებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ეკონომიკური კრიზისების დროს აღნიშნული სექტორი დიდ ზაზადს განიცდის, ხაც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაზე. ცხადია, კრიზისის ტიპი და გამომწვევი მიზეზების დადგენა მნიშვნელოვანია მისი დროული აღმოფხვრისთვის, თუმცა, ახის შემთხვევები, როდესაც კრიზისი გამოწვეული ახ ახის ეკონომიკური, (ტიპური) ფაქტორებით. ბოლო პერიოდში სწორედ მსგავსი ანუ ატიპური ეკონომიკური კრიზისი ჩაიწეა მსოფლიო ისტორიაში - Covid19 პანდემიის სახელით, როდესაც მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მკვეთრად შეიცვალა და მისი აღდგენა მთლიანად ჯანდაცვის სექტორზე, სახელმწიფოს მხარდამჭერი ღონისძიებებზე იყო დამოკიდებული.

პანდემიამ ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორზე. ეკონომიკური ღღვევა განსაკუთრებით შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში, რომელთაც ხელსუხსუდად ახ შეუძლიათ საკმახისი მხარდამჭერი პოლიტიკის გატახება და ზიანი გაცილებით დიდია, ხადგან მათი ეკონომიკა, აგროსასურსათო წახმოება ახ ახის მზად მსგავს პანდემიური შოკებთან გასამკლავებდად. ეკონომიკური ღეცესია კი მოსახლეობის ერთ სურზე შემოსავლების შემცირებით აისახება, ხაც ამ ტიპის ქვეყნების სოციალური ფონის გაუახლებას იწვევს. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის ანგაჩიშის თანახმად, საშუალოთვიური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სურზე

2019 წელს 336.1 რაიი იყო, 2020 წელს კი 4.3%-ით შემცირდა და 321.4 რაიი შეადგინა. პანდემიით გამოწვეული ინფლაციის და პირველადი ფასების ზღვის პაჩადეღუჩად, შემოსავლების შემცირება, ქვეყნის საერთო ეკონომიკუხ-სოციალუხ ფონს ახუდებს.

საყოვედთაოდ აღიარებუღია, ხომ სოფდის მეუხნეობის პირველციის წა-ხმობის ოხგანიზაცია და მენეჯმენტი, ნებისმიეხი კიზისის ღხოს, თავის აქტუადუხობას ახ კაჩგავს, ხადგან სასუხსათო მეუხნობის გამახთუღი ფუნ-ქციონიხება მუღმივი საზუხნავია, მით უფხო მიმღინახე მსოფდო სასუხსა-თო უსაფხთხობის ღონის გათვადისწინებით. მსოფდო ატიპუხმა კიზისმა და მაღადმა ინფლაციამ გაზახდა ფასები სამომხმახებდო პირველციზზე, ხაც ქვეყნის სოციალუხ ფონს კიდევ უფხო ამძიმებს, შესაბამისად, კიდევ უფხო მნიშვნეღოვანი ხდება სახედმწიფოს მხიღან სხვადასხვა მიზნობივი პო-ექტების განხოხციღება, ადგიღობივი წაჩმობის ზეღზე, საკუთახი ხესუ-სების ხაციონადუხ გამოყენებაზე ოხიენტიხებუღი სტიატეგიის შემუშავება.

თუმცა აღსანიშნავია, ხომ ატიპუხი კიზისის პიხობებში ეკონომიკუხი პოტენციადის ტიანსფოხმაციის გახდაუვადმა პიოცესმა ახდებუჩად წაჩმო-ჩინა სასუხსათო მეუხნეობის ფოხმიხების პიობდემები და შესაძღებდობები. მათ შოხის მნიშვნეღოვანია განხოხციღედეს მახთვის ინოვაციუხი ფოხმე-ბის გამოყენება, ამ პიოცესების უწყვეტობა, ადგიღობივი და საერთაშოხისო ბიზნესებზე მოწინავე სტიანდახტების დაცვა; შემუშავდეს აგიახუღი ინდუსტ-ხიის ხეჯუღიხების სამახთღებივი, ოხგანიზაციულ-ეკონომიკუხი პაჩამეტი-ხები და ადაპტიხებუღი, სახგებღიანი პიოგიამები.

საქაჩთვედო, დღეის მდგომახეობით, იმყოფება საკმაოდ ხთუღი გამო-წვევების წინაშე. მსოფდო ბაზახი, გახდა იმისა, ხომ, მიმზიღვეღია თავი-სი გამოცდიღებით და მაღადი მყიდვეღუნაჩიანობით, ასევე საკმაოდ მაღა-ღი სტიანდახტების მომთხოვნია, ხაც ჩვენი ქვეყნისთვის ხთუღ გამოწვევად ხჩება. ქვეყანას წღების განმავდობაში ახ პქონდა საკუთახი წაჩმობის გა-ზიღისა და პირველციის კონკუხენტუნაჩიანობის ამალღებისთვის შესაბამი-სი გეგმები, სტიანდახტები და საჭიხო ტექნოღოგიუხი ცოღნა. დღეს გადაიღვა უკვე ნაბიჯები, ხომ ვაწაჩმოთ მეტი მაღადნახისხიანი პიოღუქცია, შესა-ბამისად, ამ მიმაჩთუღების გაღმაჯება და დახვეწა აუციღებღია, საჭიხოა სხვადასხვა პიოქტები, ტიენინგები ცნობიეხების ამალღების კუთხით და მეტი ჩაჩთუღობა სახედმწიფოს მხიღან.

სახედმწიფოს და სხვადასხვა აჩასამთავიხობო სექტოხის დანმახებით განხოხციღეღა ინვესტიციები ინფიასტიუქტუხასა და კვდევებში სოფდის მეუხნეობის სექტოხის განვითახების მხაღდასაჭეჩად. ეს მოიცავდა ახადი

სახწყავი სისტემების მშენებლობას, კვლევითი ინსტიტუტების შექმნას და ახალი ტექნოლოგიების განვითარებას პილოტული პროექტებისა და მდგრადობის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამ ძაღისხმევისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის წინაშე ახლებური გამოწვევები კვლავ მნიშვნელოვანი ხდება. ამ გამოწვევების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკის შემქმნელებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების უფრო ჰოლისტიკური მიდგომის გატარება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური, სოციალური და გარემო ფაქტორებს შორის კომპლექსური ურთიერთკავშირს.

საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის განვითარების ბედი შიდა პილოტების წახმობის ზედასა და მის კონკურენტუნარიანობაზე დგას, საქართველოს აქვს პოტენციური შეძლოს ქვეყნის თვითუზუნველყოფა იმ დიდიდადი პილოტებით, ზაც აგოსასახსათო კადატაში გვხვდება და ასევე გაიცანოს ხახისხნიანი პილოტცია საზღვატრატ. აქედან გამომდინარე აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლა, სხუდყოფა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ვფიქრობთ, რომ ეს იქნება საუკეთესო გზა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ქვეყნის გაძლიერების, ეროვნული თვითმყოფადობის შენახრუნების და მომავალ თაობებზე ზრუნვის შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი, ატიპური, პანდემია, სასუხსათო ბადანსი, დატგობიივი სტრუქტურა, ტრანსფორმაცია.

ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი ◊ ტურიზმი
BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ FINANCE and TOURISM

**პროდუქტის განთავსების მარკეტინგული ასპექტები და მისი
განვითარების თანამედროვე ტენდენციები**

ნუგზახ თოდუა

პროფესორი
ივ. ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
nugzar.todua@tsu.ge

გიორგი რობაკიძე

დოქტორი
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.robakidze@tsu.ge

სტატიაში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე ბიზნესში ტრადიციული სახეკვამო ინსტიტუტების ეფექტიანობა ნერ-ნერა კლებულობს, ხალსაც განაპირობებს მომხმარებელთა გათვითცნობიერების დონის ზიდა, მყიდველობითი ჩვევების ცვლილება, ბიზნესში ახალი კომუნიკაციური მიდგომებისა და ვიდეო სტრატეგიის სეხვისების ფაქტორად გავსცელება. მაკეტინგში ახალი ციფრული ტექნოლოგიების დანეხვის შედეგად, პროდუქტის განთავსებიდან მიღებული შემოსავლები საგმნობდად მაცულობს. შესაბამისად, პროდუქტის განთავსების ხოლი მაკეტინგული კომუნიკაციების სისტემაში მნიშვნელოვნად იზიდება. აღნიშნულის გათვადისწინებით, ნაშხომში წახმოგენილია პროდუქტის განთავსების თანამედროვე გაგება და მასთან დაკავშირებული თეოხიული შეხედულებები. აქვე ილუსტრირებულია პროდუქტის განთავსების დადებითი და უახყოფითი მხახეები, აგხეთვე პროდუქტის განთავსების ეთიკური საკითხები. განსაკუთრებული ყუხადლება გამახვილებულია პროდუქტის განთავსების თანამედროვე ტენდენციებზე. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ტექნოლოგიური განვითარების, განსაკუთრებით, ხელოვნური ინტელექტის ფაქტორად გავსცელების პახადეღუხად, პროდუქტის განთავსების პიქტიკაც სწიფი ტემპებით ვითარდება. ამ მიმართულებით უახდეს გხენდს პროდუქტის ვიტუალური განთავსება წახმოგენს, ხომეღიც მაკეტოლოგიებისთვის აქამდე ახახსებულ შესაძლებლობებს წახმოქმნის და სახეკვამო ინდუსტრიის ხელოვნური ინსტიტუტებად ყალიბდება.

საკვანძო სიტყვები: *პროდუქტის განთავსება, პროდუქტის განთავსების თეორიები, მომხმარებელთა ქცევა, პროდუქტის ვიზუალური განთავსება.*

პრობლემის აქტუალურობა და შესწავლის დონე

კომუნიკაცია ადამიანებს შორის ურთიერთობის საფუძველია (Duncan, 2002). მარკეტინგული კომუნიკაციის მიზანია კომპანიების მიერ მომხმარებლების ინფორმირება, დარწმუნება და ნახალისება (Kitchen & Burgmann, 2010). მარკეტინგული კომუნიკაცია საშუალებას აძლევს კომპანიებს, მათ მიერ შეთავაზებული პროდუქტის მატერიალურ ფორმას დამატებითი შინაარსი და ღირებულება შეჰმატონ (Keller, 2001). ამ მიზნის მისაღწევად, მარკეტოლოგებმა კომუნიკაციის არსებული არხების ეფექტიანად ინტეგრაცია უნდა მოახერხონ. ამიტომ, თანამედროვე ბიზნესში ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) გამოყენების აუცილებლობა სულ უფრო იზრდება (Srivastava, 2016).

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის მიდგომის თანახმად, მაქსიმალურად ფართო აუდიტორიაზე წვდომის მიზნით, მარკეტოლოგები სარეკლამო მიმართვებს მრავალ სხვადასხვა მედია საშუალებაში ათავსებენ. შესაფერის IMC არხებში სარეკლამო მიმართვების სწორად განაწილება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მომხმარებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის (Kitchen & Burgmann, 2010). მომხმარებლებთან წვდომის ერთ-ერთი ასეთი გზაა პროდუქტის განთავსება, რომელიც უკვე ფართოდ გამოიყენება მარკეტინგულ კომუნიკაციებში (Chan et al., 2016).

პროდუქტის განთავსების, როგორც საკომუნიკაციო ხერხის, ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო ტრადიციული სარეკლამო მიმართვებით ბაზრის გაჯერებამ და სარეკლამო მიმართვების თავიდან არიდების ტექნოლოგიების დახვეწამ. შესაბამისად, ტრადიციული სარეკლამო მიმართვების ეფექტიანობა ექვევებ დადგა და ბოლო წლებში პროდუქტის განთავსების პრაქტიკის პოპულარობაც საგრძნობლად გაიზარდა (Guo et al., 2019). აღნიშნულიდან გამომდინარე, პროდუქტის განთავსების როლის შესწავლა მარკეტინგის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოში მარკეტინგული კომუნიკაციების მიმართულებით შესრულებულია გარკვეული სამუშაოები, დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი პროდუქტის განთავსების მარკეტინგული ასპექტები (Todua & Jashi, 2015; Todua, 2017; Todua, 2019; Matin et al., 2022).

წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობაა, რომლის მიზანია პროდუქტის განთავსების შესახებ თანამედროვე შეხედულებათა კონცეპტუალიზაცია და შესაბამისი ახლებური მიდგომების შემუშავება.

პროდუქტის განთავსების თანამედროვე გაგება

ტერმინი - „პროდუქტის განთავსება,“ სამეცნიერო და ბიზნესწრეებში 1980-იან წლებამდე არ გამოიყენებოდა. პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებული პირველი კვლევა 1980-იანი წლების ბოლოს განხორციელდა, რომელშიც პროდუქტის განთავსება განმარტეს, როგორც ბრენდირებული პროდუქტის ან სასაქონლო ნიშნების ჩართვა კინოფილმებში, სატელევიზიო შოუებში ან მუსიკალურ ვიდეოკლიპებში (Newell et al., 2006). შემოთავაზებულ განმარტებას მოგვიანებით დაემატა პროდუქტის განთავსების სანაცვლოდ, შესაბამისი თანხის ან ორმხრივი სარგებლის არსებობის აუცილებლობის პირობა (Nebenzahl & Secunda, 1993). ზოგიერთი ავტორი პროდუქტის განთავსებას ჰიბრიდული კომუნიკაციის ფორმად მიიჩნევს, რომელიც აერთიანებს რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ელემენტებს და განმარტავს მას, როგორც პროდუქტთან დაკავშირებულ ფასიან გზავნილს, რათა გავლენა მოახდინოს ფილმის (ან ტელევიზიის) აუდიტორიაზე, ფილმში (ან სატელევიზიო პროგრამაში) პროდუქტის შეუმჩნეველი ჩართვის გზით (Balasubramanian, 1994).

საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებულ ფენომენს უფრო ზუსტად, ტერმინი - „ბრენდის განთავსება“ შეესაბამება, ვინაიდან ამ ტექნიკის გამოყენებით, უმეტესად, ნაწარმოებებში ბრენდები თავსდება (Karrh, 1998). შედარებით ახალი განმარტების მიხედვით, პროდუქტის განთავსებაში იგულისხმება კომერციული კონტენტის მიზანმიმართული განთავსება არაკომერციულ საშუალებებში (Ginosar & Levi-Faur, 2010).

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება პროდუქტის განთავსების უფრო ვრცელ განმარტებას, რომლის თანახმადაც, პროდუქტის განთავსება არის მარკეტინგული ტექნიკა, რომელიც იყენებს შეტყობინებას, ბრენდის ლოგოს ან პროდუქტს ვიზუალურ ან გრაფიკული გამოსახულების ისეთ გასართობ მედიასაშუალებებში ჩართვით, როგორიცაა სატელევიზიო პროგრამები, ფილმები, მუსიკა, ვიდეოთამაშები და სარეკლამო ვიდეოთამაშები (European Commission, 2021).

მარკეტინგის თეორიაში შემოთავაზებულია პროდუქტის განთავსების მრავალი საკლასიფიკაციო მიდგომა, თუმცა, ამ მიმართულებით

საყოველთაოდ აღიარებული, უნივერსალური მოდელი არ არსებობს. შედარებით უფრო გავრცელებულია პროდუქტის განთავსების კლასიფიკაციის სამგანზომილებიანი მოდელი, რომელიც მოიცავს ვიზუალურ, ვერბალურ და ბრენდის შინაარსთან დაკავშირებულ განზომილებებს (Russell, 1998). პროდუქტის განთავსების ვიზუალურ ტიპებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: შემოქმედებითი განთავსება (მაგალითად, ფილმში ბრენდის რეკლამა განთავსებულია ბილბორდზე) ან სცენაში განთავსება (მაგალითად, ბრენდი განთავსებულია რესტორანში განვითარებულ სცენაში). პროდუქტის ვერბალური განთავსება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც დიალოგში ნახსენებია ბრენდის სახელი, მაგრამ ბრენდის სხვა საიდენტიფიკაციო მახასიათებლები ეკრანზე არ ჩანს. შინაარსში პროდუქტის განთავსების დროს ბრენდი სიუჟეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. შინაარსში დაბალი ჩართულობით განთავსებისას, პროდუქტს ზოგადად ახსენებენ და მისი ეკრანზე გამოჩენის ხანგრძლივობაც მცირეა. შინაარსში მაღალი ჩართულობით განთავსებისას კი ბრენდის იდენტიფიკაციისა და პერსონაჟთან კავშირის დონე მაღალია (Russell, 1998).

გუპტასა და ლორდის (Gupta & Lord, 1998) მიერ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, პროდუქტის განთავსების კლასიფიკაცია შესაძლებელია ორ განზომილებაზე დაყრდნობით, როგორცაა პროდუქტის ჩვენების ტიპი და პროდუქტის ხილვადობა (სიცხადე). მკვლევარები გამოყოფენ ჩვენების სამ განსხვავებულ ფორმას: (1) მხოლოდ ვიზუალური, რომელიც გულისხმობს ბრენდის ნებისმიერი მაიდენტიფიცირებლის ჩვენებას ბრენდის ხსენების გარეშე; (2) მხოლოდ ვერბალური, რომელიც გულისხმობს ბრენდის სახელის სიტყვიერ ხსენებას; (3) კომბინირებული აუდიო-ვიზუალური, რომელიც გულისხმობს ბრენდის სახელის ხსენებას და ბრენდის რომელიმე მაიდენტიფიცირებლის გამოჩენას.

ხილვადობის მიხედვით, პროდუქტის განთავსება შეიძლება იყო სიცხადი და ფარული. პროდუქტის აშკარა განთავსებისას, ბრენდი ან მისი მაიდენტიფიცირებელი კომპონენტები ნათლად ჩანს ეკრანზე პროდუქტის ზომიდან ან სცენაში მისი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე. ფარული განთავსებისას, ბრენდი რთულად შესამჩნევია (მაგალითად, მცირეა ზომით, ძირითადი ხედვის ველის გარეთაა, ჩაკარგულია მრავალი პროდუქტის ან ობიექტის მასივში, ჩვენების ხანგრძლივობა მოკლეა) (Gupta & Lord, 1998).

პროდუქტის განთავსების კლასიფიკაციისას ასევე განიხილავენ სამ შემთხვევას: (1) ბრენდი ნაჩვენებია ფონზე და არ გამოიყენება რომელი-

მე პერსონაჟის მიერ; (2) ბრენდი გამოიყენება პერსონაჟის მიერ, მაგრამ სიუჟეტთან მიმართებით მნიშვნელოვან ფუნქციას არ ასრულებს; (3) ბრენდი სიუჟეტში თამაშობს მნიშვნელოვან როლს (Yang & Roskos-Ewoldsen, 2007).

პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებული თეორიები

არ არსებობს კონკრეტული თეორია, რომელიც სრულად განმარტავს პროდუქტის განთავსებისადმი მომხმარებლების აღქმას და დამოკიდებულებას. მკვლევარები პროდუქტის განთავსების მარკეტინგული ეფექტის აღსაწერად ხშირად იყენებენ სხვადასხვა თეორიას. მათ შორის უმნიშვნელოვანესია დარწმუნების შესახებ ცოდნის მოდელი (Persuasion Knowledge Model - PKM), რომლის მიზანია დამარწმუნებელ მიმართვაზე მომხმარებელთა რეაქციის ახსნა (Friestad & Wright, 1994). ამ მოდელის თანახმად, დროთა განმავლობაში, მომხმარებლებს მარკეტოლოგების დამარწმუნებელი ტექნიკის შესახებ ცოდნა უვითარდებათ და მოგვიანებით ამ ცოდნას მათთან ურთიერთობაში იყენებენ. არსებობს მრავალი არხი, საიდანაც მომხმარებლები დარწმუნების შესახებ ცოდნას აგროვებენ. მაგალითად, ინფორმაციის დაგროვების წყარო შეიძლება იყოს პირადი გამოცდილება, ოჯახი, სამეგობრო წრე და სხვადასხვა მედია საშუალება. PKM ამტკიცებს, რომ მომხმარებლები (მიზნობრივი აუდიტორია) აქტიურ როლს ასრულებენ მარკეტოლოგებთან (აგენტებთან) ურთიერთობაში და ამ ურთიერთქმედებით ორივე მხარე საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობს. დარწმუნების ეპიზოდისას (მაგალითად, პროდუქტის განთავსებისას), თითოეულ მხარეს აქვს სამი სახის ცოდნა: (1) დარწმუნების შესახებ ცოდნა, (2) თემის შესახებ ცოდნა, (3) მიზნის შესახებ ცოდნა. მიზნობრივიაუდიტორიის გადმოსახედიდან, დარწმუნების შესახებ ცოდნა გულისხმობს აგენტის მოტივებისა და სტრატეგიების შესახებ წარმოდგენებს. აგენტის ცოდნა მოიცავს მიზნობრივი აუდიტორიის წარმოდგენებს აგენტის თვისებებისა და შესაძლებლობების შესახებ. თემის შესახებ ცოდნა კი შედგება კონკრეტული თემის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენებისგან (ასეთია, მაგალითად, შეხედულება კონკრეტული ბრენდის შესახებ). დარწმუნების ეპიზოდი ყალიბდება აგენტის მიერ დარწმუნების მცდელობასა და მიზნობრივიაუდიტორიის მიერ დარწმუნების კოპირების ქცევას შორის ურთიერთქმედებისას. სხვა მხარის მიერ განხორციელებული ქმედებების საპასუხოდ, მომხმარებლები დაგროვებულ ცოდნას იყენებენ ქმედებების უკან დამალული მოტივების შესაფასებლად.

დარწმუნების მოტივების ამოცნობა კოგნიტურ ძალისხმევას მოითხოვს. შესაბამისად, მომხმარებლები უფრო ხშირად აკეთებენ ასეთ დასკვნებს, როდესაც აგენტის მოტივების შესახებ წვდომა მაღალია და მიზნობრივ აუდიტორიას აქვს საკმარისი კოგნიტური შესაძლებლობები. თუმცა, როდესაც აგენტის მოტივებზე წვდომა დაბალია ან მომხმარებელთა შემცნობითი შესაძლებლობები არასაკმარისია (მაგალითად, გაფანტული ყურადღების პირობებში), მომხმარებლები დარწმუნების მცდელობებს ვეღარ უმკლავდებიან (Campbell & Kirmani, 2000).

პროდუქტის განთავსების ერთ-ერთი გამორჩეული მახასიათებელია ფილმის შინაარსში ინტეგრირება (Van Reijmersdal, 2011). ეს თვისება პროდუქტის განთავსებას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ტრადიციულ სარეკლამო მიმართვასთან შედარებით. ეს აიხსნება იმით, რომ პროდუქტის განთავსების კომერციული მიზანი ნაკლებად აშკარაა და, შესაბამისად, რეკლამის განმთავსებლის მოტივებზე ხელმისაწვდომობა დაბალია. ამრიგად, PKM-ზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროდუქტის განთავსებასთან შეხებისას, მომხმარებლებს დარწმუნების შესახებ ცოდნის გამოყენებისა და ქცევის შეცვლის შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ. ამასთან, განსხვავებული შედეგი შეიძლება დადგეს შემთხვევაში, როდესაც პროდუქტის განთავსება მარტივად შესამჩნევია ან განთავსების სარეკლამო ბუნება წინასწარგაცხადებულია (Boerman, van Reijmersdal & Neijens, 2012). ასეთ პირობებში, პროდუქტის განთავსების დამარწმუნებელი განზრახვა ნათელია და მნახველებმა შეიძლება დამცავი მექანიზმები გაააქტიურონ. შესაბამისად, პროდუქტის აშკარა განთავსება დადებით გავლენას ახდენს მეხსიერებაზე, მაგრამ საზიანოდ მოქმედებს ბრენდის შესახებ დამოკიდებულებაზე (Van Reijmersdal, 2009).

დარწმუნების დამუშავებისალბათობის მოდელი. მომხმარებელთა ქცევის შესახებ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მედიის კონტექსტიდან გამომდინარე, ადამიანები ინფორმაციას განსხვავებულად გადაამუშავებენ (Chaiken & Stangor, 1987). კონტექსტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს რეკლამირებული პროდუქტებისა და ბრენდების შესახებ მაყურებლების შეხედულებებზე (Woodside & Singer, 1994). თუმცა, მომხმარებელს აქვს უნარი და მოტივაცია, დაამუშაოს სარეკლამო გზავნილი, ამ პროცესმა შეიძლება ქცევის სასიკეთო ცვლილებები გამოიწვიოს (Haberland & Dacin, 1992). პროდუქტის განთავსების გაგებისათვის მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, როგორ ამუშავებენ ადამიანები ამ ტექნიკის საშუალებით მიწოდებულ ინფორმაციას.

პეტისა და კაჩიოპოს (Petty & Cacioppo, 1986) მიერ შემოთავაზებული-ადარწმუნების დამუშავების ალბათობის მოდელი (Elaboration Likelihood Model - ELM). ის მომხმარებლების მიერ დამარწმუნებელი მიმართვების დამუშავების პროცესის აღწერის ერთ-ერთი მთავარი თეორიაა. ELM-ის თანახმად, დამარწმუნებელ შეტყობინებას თან ურთიერთობისას, ადამიანები ინფორმაციას ამუშავებენ ორი სხვადასხვა გზით- ცენტრალური ან პერიფერიული მარშრუტებით. ინფორმაციის დამუშავების ცენტრალური მარშრუტი გამოიყენება მაშინ, როდესაც მომხმარებლებს პროდუქტთან ან შეტყობინებასთან მიმართებით მაღალი დონის ჩართულობა აქვთ. ამ დროს ადამიანები მეტ ყურადღებას აქცევენ მიწოდებულ ინფორმაციას და აფასებენ მას დაგროვებული ცოდნის საფუძველზე. ინფორმაციის ცენტრალური მარშრუტით დამუშავების პირობებში, ეფექტიანი სარეკლამო გზავნილის შინაარსში ჩართული უნდა იყოს დამატებითი არგუმენტები (Arens, 2002). თუ არგუმენტები ძლიერი აღმოჩნდება, რეკლამირებული ბრენდის მიმართ ინდივიდების შეხედულებები და დამოკიდებულებები უკეთესობისკენ შეიცვლება (O'Keefe, 2013). ინფორმაციის პერიფერიული მარშრუტით დამუშავებისას, მომხმარებლებს აქვთ დაბალი მოტივაცია და სურვილი, დაამუშაონ მიღებული გზავნილი. შესაბამისად, ამ დროს გამოყენებული ცოდნის მოცულობა შეზღუდულია. ასეთ სიტუაციებში ადამიანები მიდრეკილნი არიან, შეტყობინება შეაფასონ მათ მიერ ჩამოყალიბებული ევრისტიკული მოკლე გზების საფუძველზე, არგუმენტების გულდასმით განხილვის გარეშე (Kim & Benbasat, 2003).

პროდუქტის განთავსება, როგორც წესი, ფილმის/სერიალის ძირითად შინაარსთან მიმართებით მეორეხარისხოვანია, ამიტომ, ამ ხერხით მიღებულ ინფორმაციას მომხმარებლები პერიფერიული მარშრუტის გამოყენებით ამუშავებენ (Gangadharbatla & Daugherty, 2013). შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროდუქტის განთავსებასთან შემხებლობისას, მაყურებლები ხელმისაწვდომ ევრისტიკულ მოკლე გზებს იყენებენ და მიღებულ ინფორმაციას სიღრმისეულად არ განიხილავენ. პერიფერიული მარშრუტით ინფორმაციის დამუშავებისას, მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა პროდუქტის წარმოშობის ქვეყანა, ობიექტის ხელმისაწვდომობა და ბრენდთან ასოცირებული პერსონაჟის მიმართ სიმპათია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს განთავსებული ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე. პეტისა და კაჩიოპო (Petty & Cacioppo, 1984) ერთ-ერთ ასეთ ევრისტიკულ სიგნალად შეტყობინების წყაროს სანდოობას მიიჩნევენ. ამასთან, მომხმარებლები პროდუქტის გა-

ნთავსებას, ტრადიციულ სარეკლამო მიმართვებთან შედარებით, უფრო მეტად ენდობიან, ამიტომ დაბალი ჩართულობის პირობებში, პროდუქტის განთავსება შეიძლება უფრო მეტად ეფექტიანი საშუალება იყოს ბრენდის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებისთვის (Van Reijmersdal, 2011).

ნარატივის ტრანსპორტირების თეორია (Narrative Transportation Theory). ნარატივი ადამიანებს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა (Fisher, 1984). ნარატივი გამოიყენება არამხოლოდ ინფორმაციის გადასაცემად, არამედ ადამიანების დასარწმუნებლადაც (Cho et al., 2014). კვლევებით დადგენილია, რომ ნარატივების გამოყენებით შესაძლებელია ინდივიდის წინააღმდეგობისა და მტკიცედ ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების წარმატებით დაძლევა (Dal Cin et al., 2004; Krosnick & Petty, 1995). ნარატივში ადამიანის ჩართულობის დონე მნიშვნელოვნად მოქმედებს თხრობის დარწმუნების ხარისხზე (Green & Brock, 2000). გრინმა და ბროკმა ამ პროცესს უწოდეს „ტრანსპორტირება“ და განმარტეს, რომ ეს არის კონვერგენტული პროცესი, რომელშიც ყველა ფსიქიკური სისტემა და უნარი ფოკუსირებულია ნარატივში მიმდინარე მოვლენებზე.

ალსანიშნავია, რომ ნარატივი გადაეცემა მედიის სხვადასხვა საშუალებით. ამიტომ დასაშვებია, რომ ტრანსპორტირება მოხდეს არამხოლოდ წერილობით, არამედ ვიდეო ან ვერბალური საშუალებით გადმოცემულ ნარატივებშიც (Carpenter & Green, 2012). მაგალითად, ზოგჯერ საინტერესო და ხარისხიანი ფილმი აიძულებს მაყურებელს, გონებრივი ძალისხმევის უმეტესი ნაწილი ეკრანზე მიმდინარე მოქმედებების დამუშავებას დაუთმოს და და აიგნოროს რეალურ გარემოში მიმდინარე პროცესები. ამ დროს შეიძლება მაყურებლების დამოკიდებულებები და განზრახვები იმგვარად შეიცვალოს, რომ თანხვედრაში მოვიდეს ნარატივის სიუჟეტთან (Green, 2021). მაგალითად, ფილმებში მონწივეს სცენებმა შეიძლება მაყურებლებში თამბაქოს მოხმარების დონე გაზარდოს. ნარატივის ტრანსპორტირების თეორიას ფართოდ იყენებენ რეკლამის შემქმნელები სარეკლამო მიმართვების შემუშავებისას (Brechman & Purvis, 2015). მაგალითად, მონოფილმებში ნაჩვენები ბრენდების გამოყენების შესახებ მომხმარებლებში წარმოდგენის შექმნით, რეკლამის შემქმნელები ცდილობენ, ინდივიდები წარმოსახვით სამყაროში გადაიყვანონ (Chen, 2015). ნარატივის ტრანსპორტირების თეორია კარგი საშუალებაა პროდუქტის განთავსების შედეგად გამოწვეული სხვადასხვა პროცესების ასახსნელად. თხრობასთან ან ზოგიერთ პერსონაჟთან დაკავშირებული პოზიტიური გრძნობები შეიძლება განთავსებულ ბრენდზეც ტრანსპორტირდეს (Escalas, 2004).

პროდუქტის განთავსების დადებითი და უარყოფითი მხარეები

პროდუქტის განთავსების სარეკლამო ინსტრუმენტად გამოყენებით მარკეტოლოგებს მნიშვნელოვანი სარგებლის მიღწევა შეუძლიათ. განვიხილოთ პროდუქტის განთავსების რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა:

- პროდუქტის განთავსებამას შემდეგ ხდება შესამჩნევი, როდესაც ბრენდი ეკრანზე გამოჩნდება. ფუნდამენტური განსხვავება პროდუქტის განთავსებასა და ტრადიციულ რეკლამას შორის ისაა, რომ პირველი სარედაქციო კონტენტის ბუნებრივი/განუყოფელი ნაწილია, ხოლო მეორე კომერციული ქრის შემადგენლობაში შედის (Van Reijmersdal, 2011). ამგვარად, მაყურებლებს გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, თავი აარიდონ პროდუქტის განთავსებას არხის შეცვლით ან ოთახიდან გასვლით, როგორც ამას, ჩვეულებრივ, სარეკლამო ქრის დროს აკეთებენ (Thorson & Zhao, 1997; Danaher, 1995).

- პროდუქტის განთავსების გამოყენებით, დარწმუნების პროცესი მომხმარებლებისთვის შეუმჩნევლად მიმდინარეობს, ვინაიდან ამ გზით მიწოდებული შეტყობინება მაყურებლების დამცავი ველის ბარიერს ლახავს (Cowley & Barron, 2008). ამიტომ, პროდუქტის განთავსებას „რბილი გაყიდვის“ ტექნიკას უწოდებენ, რომლის შეუმჩნეველი ბუნება, ტრადიციულ სარეკლამო მეთოდებთან შედარებით, მას უფრო დამაჯერებელს ხდის (Chanet et al., 2016).

- პოპულარულ ფილმში ან სატელევიზიო პროგრამაში პროდუქტის განთავსების შემდეგ, შოუს ან მისი პერსონაჟის მიმართ მაყურებლის პოზიტიური დამოკიდებულება შეიძლება ბრენდზეც პროექცირდეს (Van Reijmersdal et al., 2010; d’Astous & Chartier, 2000). როდესაც მაყურებლები ეკრანზე ხედავენ საყვარელ მსახიობს, რომელიც კონკრეტულ ბრენდს იყენებს, ეს შეიძლება აღქმულიყოს, როგორც ცნობილი ადამიანის მიერ ბრენდის პირდაპირი მხარდაჭერა (DeLorme & Reid, 1999). მაგალითად, უამრავი თინეიჯერის კერპი, ჯეიმს დინი 1955 წლის ფილმში „Rebels Without a Cause“, თმას Ace-ის სავარცხლით ივარცხნის, რის შედეგადაც ბრენდის გაყიდვები ასტრონომიული სიდიდით გაიზარდა, რადგან იმდროინდელი ახალგაზრდა მამაკაცების უმეტესობა ცდილობდა დინისთვის მიებაძა (Berman, 2010).

- მაყურებლების დამოკიდებულება პროდუქტის განთავსების პრაქტიკის მიმართ, ტრადიციულ სარეკლამო მიმართვებთან შედარებით, უფრო მეტად პოზიტიურია. ეს მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან-

რეკლამირებისადმი ზოგად დამოკიდებულებას შეუძლია გავლენა მოახდინოს კონკრეტული რეკლამის მიმართ შეხედულებებზე, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს რეკლამაში წარმოდგენილი ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე (MacKenzie & Lutz, 1989). ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ სატელევიზიო რეკლამასთან შედარებით, მაყურებლები უფრო მეტად დადებითად არიან განწყობილნი პროდუქტის განთავსების პრაქტიკის მიმართ (Davtyan & Cunningham, 2017; Babin et al., 2021).

- სატელევიზიო რეკლამასთან შედარებით, ფილმებსა და სატელევიზიო შოუებში პროდუქტის განთავსებას შეიძლება უპირატესობა ჰქონდეს სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობის მაჩვენებლითაც, რადგან ფილმები ხშირად მეორე სიცოცხლეს იძენენ DVD ფორმატის გამოყენებით ან განმეორებითი ჩვენებების შედეგად (Karrh, 1998).

- კონკრეტული ბაზრისთვის განსაზღვრული სარეკლამო საჭიროებების შესაბამისად, მარკეტოლოგებს შეუძლიათ პროდუქტის განთავსებაში მოდიფიკაციები შეიტანონ. მაგალითად, ფილმის - „Demolition Man“ ევროპული ბაზრისთვის განკუთვნილ ვერსიაში, Taco Bell შეიცვალა Pizza Hut-ით, რადგან ევროპული აუდიტორიისთვის პირველი ბრენდი ნაკლებად ცნობილი იყო (Segrave, 2004). ამ ცვლილებას ინტერესთა კონფლიქტი არ მოჰყოლია, რადგან კვების ორივე ქსელი ფილმის გამოსვლის მომენტისთვის კომპანია PepsiCo-ს ეკუთვნოდა.

დადებითი მხარეების გათვალისწინებით, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პროდუქტის განთავსების რაოდენობა ზრდას განაგრძობს (Williams et al., 2011). პროდუქტის განთავსების მზარდი პოპულარობის მიუხედავად, ამ პრაქტიკას ნაკლოვანებებიც ახასიათებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

- პროდუქტის განთავსებით მარკეტოლოგები ბრენდებზე კონტროლს ფილმების მწარმოებლებს გადასცემენ, რის შედეგადაც ბრენდები ნაკლებად დაცული ხდება და, წარუმატებელი განთავსების შემთხვევაში, შეიძლება არასასურველი შედეგები დადგეს (Karrh et al., 2003).

- ბევრი მკვლევარი პროდუქტის განთავსების ერთ-ერთ უარყოფით მხარედ მისი ეფექტიანობის შეფასებისთვის საჭირო უნივერსალური საზომების არარსებობას და ფასის დადგენის სირთულეს ასახელებს (Balasubramanian et al., 2006; Lehu, 2007; Yang & Roskos-Ewoldsen, 2007). პროდუქტის განთავსების ეფექტიანობის შესაფასებლად არსებობს სხვადასხვა კომპანიის მიერ შექმნილი რამდენიმე პლატფორმა, მაგრამ არცერთი მათგანი არაა ფართოდ დამკვიდრებული (Plato, 2017; Business Wire, 2021).

პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებული გარიგებების უმეტესობაში ფასი წარსულ გამოცდილებას და სუბიექტურ შეხედულებებს ეფუძნება.

- პროდუქტის განთავსების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმავე მედიაში განთავსებული სხვა ბრენდების რაოდენობაზე. პროდუქტის გადაჭარბებულმა განთავსებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასურებლების გამოცდილებაზე და ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვიოს ფილმისა და განთავსებული ბრენდების მიმართ (Cowley & Barron, 2008; Song et al., 2015).

- მომაბეზრებელი და თვალშისაცემი განთავსებაზოგჯერ უკუშედეგისწვევს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ფილმის სიუჟეტურ ხაზთან კავშირი მცირეა (Cowley & Baron, 2008). პროდუქტის განთავსების ერთ-ერთ ყველაზე ცუდ მაგალითად ითვლება Subway-ის სენდვიჩების განთავსება სერიალში „Hawaii Five-0“. ერთ-ერთ ეპიზოდში, მსახიობები რამდენიმე წუთის განმავლობაში განიხილავენ Subway-ის პროდუქტებსდა მათ სასარგებლო მახასიათებლებს. აღნიშნულმა ეპიზოდმა გაბრაზებული მასურებლების მწვავე რეაქცია გამოიწვია (Hale, 2012).

პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები

სხვადასხვა მარკეტინგული პრაქტიკის ეთიკურობასთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა (Murphy et al. 2005; Spence & van Heekeren 2005). პროდუქტის განთავსების, როგორც მარკეტინგული პრაქტიკის ეთიკურობასთან დაკავშირებით ჩატარებულკვლევებში გამოიყოფაეთიკურ საკითხების ორი ჯგუფი:(1) პროდუქტის განთავსების ეთიკურობასთან დაკავშირებული ზოგადი შეხედულებები; (2) კონკრეტული კატეგორიის პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებული ეთიკური შეხედულებები (Gupta & Gould, 1997; Gould et al. 2000; McKechnie & Zhou 2003).

პროდუქტის განთავსების ეთიკურობასთან დაკავშირებით, ყველაზე მეტად გავრცელებული კრიტიკული შეხედულება დაფუძნებულია ზოგიერთი მომხმარებლის აღქმასთან, რომ პროდუქტის განთავსება გავლენას ახდენს ინდივიდის ქვეცნობიერზე (Gupta & Gould, 1997; Morton & Friedman, 2002). მოსალოდნელია, რომ ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს უამრავ ადამიანზე, რომ მათ არ ჰქონდეთ კონტროლი პროდუქტის განთავსების შეტყობინებების მიღებასა ან უარყოფაზე. პროდუქტის განთავსებისკიდევ ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ზოგიერთი

ადამიანი მას აღიქვამს, როგორც შეცდომაში შემყვან პრაქტიკას, რომელიც უბიძგებს მათმიდველობით ქცევაზე (DeLorme & Reid 1999).

პროდუქტის განთავსების, როგორც შეფარული სარეკლამო ტექნიკის ეთიკურობის მიმართ გამოთქმული ზოგადი შეშფოთების გარდა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობაკონკრეტული კატეგორიის პროდუქტის განთავსების ეთიკურობასთან დაკავშირებითაც. პროდუქტის განთავსების ეთიკურობის განხილვისას, ბავშვები განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფად მიიჩნევა, რადგან მათ ჯერ არ აქვთ განვითარებული მგრძობელობა მსგავსი ფარული სარეკლამო ინსტრუმენტის მიმართ (Avery & Ferraro, 2000). საყოველთაოდ მიღებულია, რომ 10 წლის ასაკამდებავშვები ვერ აცნობიერებენ ტრადიციული რეკლამის კომერციულ მოტივებს, თუმცა, ტელევიზორში ნანახი ბრენდების გახსენება თითქმის მაშინვე შეუძლიათ, როგორც კი ცნობიერებაერთვებათ (Gould et al., 2000; Gunter et al., 2005). ბავშვებზე პროდუქტის განთავსების გავლენის შესახებ შეშფოთების მთავარი აქცენტი კეთდება იმ გავლენაზე, რაც დამარწმუნებელმა კომუნიკაციამ შეიძლება მოახდინოს ბავშვების ქცევაზე (Büttner et al., 2014).

გუპტა და გულდი (Gupta & Gould, 1997) მაღალი ეთიკური მომთხოვნელობის პროდუქტებად მიიჩნევენ ალკოჰოლურ სასმელებს, თამბაქოსა და იარაღებს. შესაბამისად, პროდუქტის განთავსების მიმღებლობის დონე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროდუქტის ტიპის მიხედვით. ყველაზე ხშირად თამბაქოსა და ალკოჰოლური პროდუქტების განთავსება მიიჩნევა მიუღებლად (De Gregorio & Sung, 2010; Kim & McClung, 2010).


განსაკუთრებული შეშფოთება არსებობს თამბაქოსა და ალკოჰოლური პროდუქტების პოტენციური ზემოქმედების შესახებ ისეთ მოწყვლად ჯგუფზე, როგორიცაა ბავშვები (Brown & Moodie, 2009; Freeman & Chapman, 2010; Gordon et al., 2011). შეშფოთების მთავარი წყარო ისეთი სცენებია, სადაც პერსონაჟების მიერ კონკრეტული ბრენდის ან პროდუქტის გამოყენება წარმოჩენილია, როგორც პოზიტიურ, მიზნიდველ ქცევად (Sargent et al. 2001; Auty & Lewis 2004). 2013 წელსამერიკაში ჩატარებულ კვლევაში განიხილეს 1400 ფილმი და დაადგინეს, რომ 1996 წლიდან 2009 წლამდე პერიოდში, აღნიშნულ ფილმებში თამბაქოს 500 და ალკოჰოლური სასმელების 2433 ბრენდი განთავსდა. ფილმების თითქმის 65%-ის ყურება ბავშვებისთვის დასაშვებ კატეგორიაში ხვდებოდა (Bergamini et al. 2013).

პროდუქტის განთავსების თანამედროვე ტენდენციები

პროდუქტის განთავსებასთან დაკავშირებული პირველი წარმატებული გარიგებიდან მალევე, პროდუქტის განთავსების მიმართ სამეცნიერო წრეების ყურადღებაც გაიზარდა. შესაბამისად, პროდუქტის განთავსების თანამედროვე ინდუსტრია სწრაფი ტემპებით იზრდება (იხ. ნახ.1). მიუხედავად იმისა, რომ Covid-19-ის პანდემიის პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით პროდუქტის განთავსების წლიური ზრდის უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა, გასული ორი წლის განმავლობაში ზრდის მაჩვენებელმა ორნიშნა ნიშნულს კვლავ მიაღწია და პანდემიამ დელმდგომარეობას მიუახლოვდა (PQ Media, 2022).

პროდუქტის განთავსების ზრდის ტემპები 2017-2022 წლებში

ნახაზი 1.




წყარო: PQ Media (2022)

აღსანიშნავია, რომ Covid-19-ის პანდემიამ მცირე გავლენა იქონია მსოფლიო მასშტაბით პროდუქტის განთავსების შედეგად მიღებულ შემოსავალზე. მაშინ, როდესაც 2020 წელს პროდუქტის განთავსების ნეგატიური წლიური ზრდა დაფიქსირდა (იხ. ნახ.2), მიღებული შემოსავლები სულ მცირედით ჩამორჩა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და დაახლოებით 21 მლრდ აშშ დოლარი გახდა (PQ Media, 2022), ხოლო 2021 წელს ზრდის მაჩვენებელი 12.3%-ს გაუტოლდა და 22.93 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (Cision PRweb, 2023).

**პროდუქტის განთავსებიდან მიღებული წლიური შემოსავლები მსოფლიოში
(2016-2022წწ.)**

ნახაზი 2.




წყარო: PQ Media (2022)

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს, მსოფლიო მასშტაბით პროდუქტის განთავსების შემოსავლებში სატელევიზიო სივრცეში პროდუქტის განთავსებას კვლავ უდიდესი წილი (70%) უჭირავს, სხვადასხვა არხის მიხედვით ზრდის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ციფრულ მედიასა და მუსიკალურ კლიპებში პროდუქტის განთავსება უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება (იხ. ნახ. 3).

პროდუქტის განთავსების ზრდის ტემპები სხვადასხვა არხის მიხედვით (2021 წ)

ნახაზი 3.



წყარო: PQ Media (2022)

Global Product Placement Forecast 2022-2026-ის თანახმად, სატელევიზიო სივრცეში პროდუქტის განთავსების ღირებულებამ 2021 წელს მსოფლიო მასშტაბით 16.06 მლრდ დოლარს მიაღწია (PQ Media, 2022). ყველაზე პოპულარული სატელევიზიო სერიალები სატელევიზიო სივრცეში პროდუქტის განთავსების ზრდის ტემპის ძირითადი განმსაზღვრელებია. მაგალითად, სერიალ „Stranger Things“-ში განთავსებულია 140 ბრენდი, მათ შორის „Skittles“, „Sony“, „Reebok“ და „Eggo“, რის შედეგადაც ბრენდების გაყიდვების მაჩვენებელი 14%-ით გაიზარდა. ზოგიერთი შეფასებით, „Stranger Things“-ში გამოყენებული პროდუქტის განთავსების საერთო ღირებულება 25 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (Cision PRweb, 2023).

არხებს შორის სიდიდით მეორე პლატფორმამ, ფილმებში პროდუქტის განთავსებამ, 2021 წელს 2.77 მლრდ აშშ დოლარი შემოსავალი მოუტანა ფილმების მწარმოებლებს, 5.9%-იანი ზრდის ტემპით, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით (14%). აღნიშნულის მიზეზები Covid-19-ის პანდემიის შედეგებში უნდა ვეძებოთ, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა კინობიზნესს. მაგალითად, ფილმების ინდუსტრია ჯერ კიდევ ვერ დაენია კინონარმოების პანდემიამდელ დონეს. მაგალითად, 2021 წელს აშშ-ში 438 ფილმი გამოვიდა, მაშინ როდესაც 2019 წელს გამოსული ფილმების რაოდენობა 910-ს უდრიდა (Cision PRweb, 2023).

PQ Media-ს თანახმად, 2021 წელს, მუსიკალურ კლიპებში პროდუქტის განთავსება ყველაზე დაბალშემოსავლიანი არხი იყო, თუმცა, ზრდის მაჩვენებლით (13.9%) - მეორე. მაგალითად, Beyoncé თავისი 2022 წლის სიმღერის ტექსტში, „Birkin“-ის ჩანთას ცვლის „Telfar“-ით. სიმღერის გამოსვლის შემდეგ, ჩანთების ორივე ბრენდის შესახებ ძებნის მაჩვენებელი ასტრონომიული სისწრაფით გაიზარდა (Shoab, 2022).

2021 წელს, პროდუქტის განთავსების ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ციფრულ მედიაში დაფიქსირდა და 16.3% შეადგინა, ხოლო შემოსავლების მოცულობამ 1.97 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რომლის მიზეზადონლაინ ინფლუენსერებს, სოციალურ მედიასა და პროდუქტის ვირტუალური განთავსების გარიგებებს ასახელებენ (Cision PRweb, 2023). ამ ტიპის პროდუქტის განთავსებისადმი დაინტერესების ზრდაზე მეტყველებს Amazon-სა და Peacock-ის მიერ პროდუქტის ვირტუალური განთავსების ტექნოლოგიის დანერგვა, რაც წარმოება დასრულებულ ფილმში ან სერიალში პროდუქტის განთავსების საშუალებას იძლევა (Wilton, 2022).

პროდუქტის ვირტუალური განთავსება

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო პროდუქტის განთავსების ახალი ტიპის - პროდუქტის ვირტუალური განთავსების (Virtual Product Placement – VPP) ჩამოყალიბებას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კინოპროდუქტებს შეუძლიათ, ბრენდები ფილმის სცენებში კინონარმოების დასრულების შემდეგაც დაამატონ (McDonnell, 2010; Bulkley, 2016; Forristal, 2022). ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, პროდუქტის ვირტუალური განთავსება საშუალებას იძლევა, ბრენდი ციფრულ კონტენტში დინამიკურად განთავსდეს პროდუქტის, სარეკლამო ბანერის ან ვიდეოს ფორმით. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ტიპის პროდუქტის განთავსება შესაძლებელია დასრულებული ნაწარმოების შემთხვევაში, მარკეტოლოგებს კონტენტის აუდიტორიისა და არხის მახასიათებლების გათვალისწინებისა და განთავსების მართვის საშუალება ეძლევათ. პროდუქტის ვირტუალური განთავსების მთავარი უპირატესობაა არჩეულ კონტენტში ბრენდის ბუნებრივად ინტეგრირების შესაძლებლობა (Mirriad, 2023). კომპანია Amazon-ის პროდუქტების მარკეტინგის მენეჯერის, ენდრიუ კოულის თანახმად, პროდუქტის ვირტუალური განთავსება გულისხმობს ციფრულად დამუშავებული პროდუქტის, ბილბორდის ან ლოგოს ჩართვას ნარმოება დასრულებულ ფილმში ან სატელევიზიო სერიალში (Cole, 2022).


პროდუქტის ვირტუალური განთავსება სარეკლამო ინდუსტრიის მზარდი ტემპებით ხასიათდება. კომპანია Radicle-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ამერიკის ბაზარზე სრულმეტრაჟიანი ფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში პროდუქტის ვირტუალური განთავსების ღირებულება 2023 წლისთვის 6.6 მლრდ დოლარს მიაწევს (იხ. ნახ.4), რაც ამერიკაში პროდუქტის განთავსების ბაზრის თითქმის 2/3-ს იქნება (Radicle, 2022).

VPP რენტაბელური, მოქნილი და გაზომვადი საშუალებაა, რომლის გამოყენებით ბრენდების შემქმნელებს შესაძლებლობა ეძლევათ მიზნობრივ აუდიტორიასთან წვდომა ბუნებრივად დაამყარონ. ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, პროდუქტის ვირტუალური განთავსება უფრო მეტად ბუნებრივი და დახვეწილი ხდება. ხელოვნური ინტელექტის სრულყოფის შედეგად, VPP-ის გამოყენებით შესაძლებელია კასტომიზაციისა და ტარგეტირების მაღალი დონის მიღწევა. ბრენდებს კონკრეტული დემოგრაფიული და გეოგრაფიული მახასიათებლების მქონე სეგმენტებთან წვდომის მეტი შესაძლებლობა აქვთ, რაც სარეკლამო კამპანიების ეფექტიანობის გაზრდის წინაპირობას ქმნის (Ryff, 2022).

2022 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში სრულად აცრილია 1.28 მლნ პირი (34%), ხოლო ნაწილობრივ აცრილია 378,330 (10%) პირი. მოსახლეობის 44%-მა (1.65 მლნ პირი) მიიღო კოვიდ-19 ვაქცინის 1 დოზა; სამედიცინო დაწესებულებებში მინიმუმ ერთი დოზით აცრილია ექიმების 83%, ექთნების 68% და უმცროსი სამედიცინო პერსონალის 58%, ადმინისტრაციული პერსონალის 70%; 2 დოზით აცრილია ექიმების 81%, ექთნების 64% და უმცროსი სამედიცინო პერსონალის 53%, ადმინისტრაციული პერსონალის 67%. 3 დოზით აცრილია ექიმების 33%, ექთნების 13% და უმცროსი სამედიცინო პერსონალის 10%, ადმინისტრაციული პერსონალის 19% (Mathieu და სხვ., 2020).

ვაქცინაციის პროგრამების მეშვეობით COVID-19 ინფექციის პრევენცია და კონტროლი დამოკიდებულია არამხოლოდ ვაქცინის ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე, არამედ ფართო საზოგადოების მიერ ვაქცინაციის ჩატარების სურვილზე. საზოგადოების მიერ ვაქცინის ჩატარების სურვილზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ექიმების რჩევა (მედიცინის მუშაკები ვაქცინების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა). ამასთან, ისინიმოსახლეობისათვის მისაბაძიმაგალითებიდა აქვთ ძლიერი გავლენა ვაქცინაციის მიმართ საზოგადოების ქცევაზე.

ვაქცინაციის მიმართ მერყევი დამოკიდებულება (აიცრას თუ არა?) განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხე. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინის მუშაკები COVID-19 დაინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე მთლიანი მოსახლეობა, კვლევები ადასტურებს COVID-19 ვაქცინაციის მიმართ მათ მერყეობას და ვაქცინების შესახებ ნეგატიურ დამოკიდებულებას. ისინი გამოხატავენ თავიანთ შემოფოთებას ვაქცინების უსაფრთხოებასთან და ხანგრძლივ გვერდით ეფექტებთან დაკავშირებით. ამრიგად, მედიცინის მუშაკებს შორის ვაქცინაციის მიმართ ყოყმანობას შეიძლება ჰქონდეს ფართომასშტაბიანი ნეგატიური გავლენა ვაქცინაციის მიღებაზე მოსახლეობაზე მთლიანად.

კვლევის მიზანს შეადგენდა ჯანმრთელობის რწმენის მოდელის საფუძველზე ჩვენი ჯანდაცვის მუშაკებში COVID-19 ვაქცინაციის მიმართ და-

მოკიდებულების შეფასება და იმ პოტენციური ფაქტორების გამოვლენა, რაც გავლენას ახდენს ადამიანების ქცევაზე ვაქცინაციის მიმართ.

შედეგები

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იყო რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური კვლევის დიზაინი. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ თბილისის სამი მსხვილი საავადმყოფოს ექიმები და ექთნები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა COVID-19 ვაქცინაციის თანხმობაზე და მასთან დაკავშირებულ ფაქტორებზე - ჯანმრთელობის რწმენის მოდელის გამოყენებით. COVID-19 ვაქცინაციისადმი მზაობის შესახებ კვლევებში ჯანმრთელობის რწმენის მოდელი ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში. ჯანდაცვის მუშაკებში COVID-19 ვაქცინაციის ჩატარების მზაობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ჯანმრთელობის რწმენის მოდელის 5 მიმართულება: COVID-19-ის მიმართ მგრძობელობის აღქმა, სიმძიმის და სერიოზულობის აღქმა, სარგებლების აღქმა, ბარიერების აღქმა და ქმედებებისკენ სიგნალები.

კვლევაში ჩართული 468 მონაწილიდან, 457 სამედიცინო მუშაკმა შეავსო კითხვარი (97.7%). რესპონდენტთა შორის ექიმი იყო 45.5% (n=208) და ექთანი 54.5% (n=249). რესპონდენტები ძირითადად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ (68% n=311). კვლევის მონაწილეთა საშუალო და სტანდარტული გადახრის ასაკი შეადგენდა 34 ± 23.15 , შესაბამისად. რესპონდენტთა უმრავლესობა იყო ქალაქიდან (89%; n=408), დაქორწინებული (70%), მიღებული ჰქონდა მაგისტრის ხარისხი (46%) და თითქმის ნახევრის (44%; n=203) ხელფასი შეადგენდა 1000-1999 ლარს. რესპონდენტთა 81% (n=372) თავისი ცხოვრების პერიოდში მონაწილეობდა იმუნიზაციის ეროვნულ პროგრამაში (ცხრილი 1).

რესპონდენტთა სოციოდემოგრაფიული მახასიათებლები და მათ მიერ COVID-19 ვაქცინაციის მიღება

ცხრილი 1.

დემოგრაფიული მონაცემები	COVID-19 ვაქცინაციის მიღება						
	ყველა		არა		დიახ		
	n	%	n	%	n	%	p
ჯამი	457	100	73	16	384	84	
ასაკი							
20-29	128	28	27	21	101	79	

თენგიზ ვერულავა

30-39	206	45	30	15	176	85	.312
≥45	123	27	12	10	111	90	.093
სქესი							
კაცი	146	32	22	15	124	85	
ქალი	311	68	69	22	238	77	.002
საცხოვრებელი ადგილი							
ქალაქი	408	89	63	15	345	85	
სოფელი	49	11	11	22	38	78	.007
ოჯახური მდგომარეობა							
დაუქორწინებული	119	26	22	18	97	82	
დაქორწინებული	320	70	53	17	267	83	.689
განქორწინებული	14	3	3	20	11	80	.502
ქვრივი	5	1	1	12	4	88	
განათლების დონე							
საშუალო სკოლა	83	18	27	33	56	67	
ბაკალავრის ხარისხი	166	36	35	21	131	79	.036
მაგისტრის ხარისხი	208	46	11	5	197	95	.005
პროფესია							
ექიმი	208	45.5	27	13	181	87	<.001
ექთანი	249	54.5	46	18	203	82	<.001
საშუალოთვიური შემოსავალი							
600 ლარზე ნაკლები	45	10	9	20	36	80	.113
600-999 ლარი	172	38	30	17	142	83	.018
1000-1999	203	44	32	16	171	84	.013
2000-ზე მეტი	37	8	2	5	35	95	.073
იმუნიზაციის ეროვნული პროგრამისადმი დამოკიდებულება							
უარი	85	19	32	38	53	62	
მიღება	372	81	77	21	295	79	<.001

COVID-19 ვაქცინაციის ჩატარებაზე რესპონდენტთა 84%-მა (n=384) განაცხადა თანხმობა, მათ შორის ექიმთა 87%-მა (n=181), ხოლო ექთნების 82%-მა (n=203). ვაქცინაციის სურვილი უფრო მაღალი იყო მამრობითი სქესის მედიცინის მუშაკებში (85%), ვიდრე მათ კოლეგა ქალებში (77%) (p <.01). 45 წელს ზევით ასაკის ადამიანებმა უფრო მეტად გამოხატეს მზადყოფნა ვაქცინაციისთვის (90%), ვიდრე მათზე უმცროსი ასაკის ჯგუფებმა (p<.05). ქალაქებში მცხოვრები, მაგისტრის ხარისხის, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მედიცინის მუშაკებმა გამოხატეს უფრო მაღალი მზადყოფნა COVID-19 ვაქცინაციის მიღებაზე. რესპონდენტებმა, რომლებიც COVID-19 ინფექციის მიმართალიქვამდნენ მეტმგრძობელობას და ჰქონდათ უფრო მეტი ნდობა COVID-19 ვაქცინის მიმართ, უფრო მეტად გამოხატეს თანხმობა COVID-19 ვაქცინის მიღებაზე.

მათ შორის, ვინც უარი განაცხადა COVID-19 ვაქცინაციის მიღებაზე, უმთავრეს მიზეზებად დაასახელეს COVID-19 ვაქცინის მოკლე დროში შექმნა (n=56; 73.7%), გვერდითი მოვლენების შიში (n=49; 64.5%), ეჭვი ვაქცინის მიმართ (n=45; 59.2%), სანდო ინფორმაციის ნაკლებობა COVID-19 ვაქცინაციაზე (n=35; 46.1%), მედიის მიერ გავრცელებული ნეგატიური ინფორმაცია (n=26, 34.2%). (ცხრილი 2)

COVID-19 ვაქცინის მიღება და არმიღების მიზეზები

ცხრილი 2.

ცვლადი	კატეგორია	n	%
COVID-19 ვაქცინის მიღების სურვილი	დიახ	384	84
	არა	73	16
თუ არა, ვაქცინის არ მიღების მიზეზი (მრავალი პასუხი) (n = 457)	ვაქცინის მოკლე დროში შექმნა	56	73.7
	გვერდითი მოვლენების შიში	49	64.5
	ეჭვი ვაქცინის მიმართ	45	59.2
	სანდო ინფორმაციის ნაკლებობა	35	46.1
	მედიის მიერ გავრცელებული ნეგატიური ინფორმაცია	26	34.2
	ეს არის ბიოლოგიური იარაღი	18	23.7
	არაეფექტურია	15	19.7
	ვაქცინა არ არის საჭირო (Covid-19 სიძლიერე გადაჭარბებულია)	12	15.8
	ჯანდაცვის სისტემისადმი უნდობლობა	8	10.5
	ვაქცინაციის მიმართ უარყოფითი გამოცდილება	7	9.2
	ვაქცინაციის ინექციის მიმართ შიში	4	5.3

ჯანდაცვის მუშაკების დამოკიდებულება COVID-19 ვაქცინის მიმართ (n = 457)

ცხრილი 3.

ცვლადი	კატეგორიულად არ ვეთანხმები (%)	არ ვეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)	(ვეთანხმები (%)	სრულიად ვეთანხმები (%)
გჯერათ თუ არა, რომ COVID-19-ის თავიდან აცილება შესაძლებელია ვაქცინაციით?	26	47	113	195	76
როგორ ფიქრობთ, ვაქცინა რამდენად ეფექტურია COVID-19 ინფექციის თავიდან ასაცილებლად?	11	56	78	215	97
გჯერათ, რომ ლიცენზირებული COVID-19 ვაქცინა, საფუძვლიანად იქნა გამოცდილი კლინიკურ კვლევებში?	24	46	115	197	75
ფიქრობთ, რომ COVID-19-ის ვაქცინაცია აუცილებელია ჯანდაცვის მუშაკებისთვის?	6	52	18	176	205
როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეფექტური COVID-19 ვაქცინა?	21	52	131	185	68
ხართ თუ არა დარწმუნებული COVID-19 ვაქცინის უსაფრთხოებაში?	31	42	119	199	66
ენდობით პროფესიონალების რჩევებს ვაქცინის შესახებ?	12	59	115	193	78
ენდობით თუ არა ოფიციალური მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ვაქცინის შესახებ?	45	71	203	102	36

გჯერათ თუ არა, რომ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ COVID-19 ვაქცინაციის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია?	11	39	97	206	104
---	----	----	----	-----	-----

რესპონდენტებს ჰქონდათ COVID-19-ით დაინფიცირების მგრძობელობის თითქმის ერთნაირი აღქმა. გამოკითხულთა უმეტესი ნაწილის (68%) აზრით, პროფესიული საქმიანობის გამო მიდრეკილია COVID-19-ით დაინფიცირებისკენ; 67.8%-ის აზრით, დაინფიცირების შანსი მაღალია მომდევნო რამდენიმე თვეში; 89%-ის აზრით, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ კარგი ჯანმრთელობა, შეიძლება დაინფიცირდნენ COVID-19-ით; ხოლო 94.1%-ის აზრით, თავიანთი ჯანმრთელობის გამო COVID-19-ით დაინფიცირება შესაძლებელია დიდი ალბათობით.

რესპონდენტებს ასევე ერთნაირი წარმოდგენები ჰქონდათ COVID-19 ინფექციის სიმძიმის შესახებ. უმრავლესობა (68%) დაეთანხმა, რომ COVID-19-მა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაავადება და ლეტალური შედეგი; ხოლო 69.2%-მა განაცხადა, COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში შეიძლება დასჭირდეს საავადმყოფოში მკურნალობა.

მონაწილეებს ჰქონდათ მაღალი წარმოდგენა COVID-19 ვაქცინაციის სარგებლობის შესახებ. უმრავლესობა დაეთანხმა, რომ ვაქცინაცია COVID-19-ის პრევენციის კარგი საშუალებაა (75.1%); 84.7%-ის აზრით, საკუთარი ვაქცინაციით მთელი საზოგადოება სარგებლობს, ხოლო 81.2%-ის აზრით, საკუთარი ვაქცინაციით იცავს პაციენტებს, ოჯახს და ნაცნობებს ინფექციისგან; 74.6%-ის აზრით, COVID-19-ის პანდემიის შესაჩერებლად, ვაქცინის მაღალი დაფარვა აუცილებელია მთელ მსოფლიოში.

ასევე დაფიქსირდა COVID-19 ვაქცინაციის ბარიერების მაღალი აღქმა. რესპონდენტთა 49.8% გამოთქვა შეშფოთება ვაქცინაციის შესაძლო გვერდითი ეფექტებით, 51.6%-მა გამოთქვა შეშფოთება COVID-19 ვაქცინის ეფექტურობასთან დაკავშირებით და 46%-მა COVID-19 ვაქცინის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ხოლო 68.9% - მწარმოებლისა და მიწოდების წყაროს სანდოობით.

ქმედებების სიგნალების თვალსაზრისით, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, COVID-19 ვაქცინაციას ხელს უწყობს სანდო ინფორმაციის მიწოდება (71.3%), ჯანდაცვის მუშაკების რეკომენდაცია (63.9%), ჯანდაცვის ორგანოების რეკომენდაცია (73.1%), მედიასაშუალებების რეკომენდაცია (70%), დიდი რაოდენობით ადამიანების მიერ ვაქცინაციის ჩატარება (72.6%)

ჯანმრთელობის რწმენის მოდელის ასპექტები:

ცხრილი 4.

მგრძობელობის, სიმძიმის და სერიოზულობის აღქმა (n = 457)					
ცვლადი	კატეგორიულად არ ვეთანხმები (%)	არ ვეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)	(ვეთანხმები (%)	სრულიად ვეთანხმები (%)
მგრძობელობის აღქმა					
1. ჩემი პროფესიული საქმიანობის გამო მიდრეკილი ვარ დაინფიცირებისკენ	11 (2.4%)	58 (12.7%)	77 (16.8%)	213 (46.6%)	98 (21.4%)
2. COVID-19 დაინფიცირება ძალიან რეალურია	21 (4.6%)	75 (16.4%)	51 (11.2%)	219 (47.9%)	91 (19.9%)
3. ადამიანებს, რომლებსაც აქვთ კარგი ჯანმრთელობა, შეიძლება დაინფიცირდნენ COVID-19-ით	7 (1.5%)	19 (4.2%)	24 (5.3%)	235 (51.4%)	172 (37.6%)
4. ჩემი ჯანმრთელობის გამო COVID-19-ით დაინფიცირება შესაძლებელია დიდი ალბათობით	4 (0.9%)	7 (1.5%)	16 (3.5%)	237 (51.9%)	193 (42.2%)
5. არ მგონია, რომ სხვა პირებზე უკეთ დავიცვა თავი COVID-19-ისგან	6 (1.3%)	13 (2.8%)	61 (13.3%)	235 (51.4%)	142 (31.1%)

ჯანმრთელობის რწმენის მოდელზე დაფუძნებული COVID-19 ვაქცინაციაზე მზაობა
ჯანდაცვის მუშაკებს შორის საქართველოში

სიმძიმის და სერიოზულობის აღქმა					
1. COVID-19-მა ზოგიერთ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაავადება და ლეტალური შედეგი	5 (1.1%)	8 (1.8%)	17 (3.7%)	263 (57.5%)	164 (35.9%)
2. COVID-19 უფრო საშიშია ვიდრე სეზონური გრიპი	43 (9.4%)	71 (15.5%)	47 (10.3%)	155 (33.9%)	141 (30.9%)
3. მე ცუდად ვიქნები, თუ COVID-19-ით დავინფიცირდები.	102 (22.3%)	145 (31.7%)	53 (11.6%)	91 (19.9%)	66 (14.4%)
4. თუ COVID-19-ით დავინფიცირდები, შეიძლება დამჭირდეს საავადმყოფოში მკურნალობა	6 (1.3%)	42 (9.2%)	93 (20.4%)	211 (46.2%)	105 (23.0%)
5. თუ COVID-19-ით დავინფიცირდები, შეიძლება მოვკვდეთ	3 (0.7%)	54 (11.8%)	158 (34.6%)	171 (37.4%)	71 (15.5%)

ცხრილი 5.

სარგებლის აღქმა (n = 457)					
ცვლადი	კატეგორიულად არ ვეთანხმები (%)	არ ვეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)	ვეთანხმები (%)	სრულიად ვეთანხმები (%)
სარგებლის აღქმა					
1. ვაქცინაცია შესანიშნავი საშუალებაა, ამცირებს COVID-19-ით ჩემი დაინფიცირების შიშს.	13 (2.8%)	34 (7.4%)	81 (17.7%)	198 (43.3%)	131 (28.7%)

2. თუ ვაქცინაციას ჩავიტარებ COVID-19 ნაკლებად იმოქმედებს ჩემს ჯანმრთელობაზე.	13 (2.8%)	42 (9.2%)	88 (19.3%)	211 (46.2%)	103 (22.5%)
3. ვაქცინაციით მე ვიცავ ჩემს პაციენტებს, ოჯახს და ნაცნობებს ინფექციისგან.	14 (3.1%)	28 (6.1%)	44 (9.6%)	223 (48.8%)	148 (32.4%)
4. როდესაც მე ვაქცინირებული ვარ, მთელი საზოგადოება სარგებლობს, რადგან ვაქცინაცია COVID-19-ის გავრცელებას ხელს უშლის.	10 (2.2%)	26 (5.7%)	34 (7.4%)	246 (53.8%)	141 (30.9%)
5. COVID-19 ვაქცინა არის პრევენციის ძლიერი ინსტრუმენტი	11 (2.4%)	17 (3.7%)	86 (18.8%)	211 (46.2%)	132 (28.9%)
6. COVID-19-ის პანდემიის შესაჩერებლად, ვაქცინის მაღალი დაფარვა აუცილებელია მთელ მსოფლიოში.	8 (1.8%)	23 (5.0%)	85 (18.6%)	223 (48.8%)	118 (25.8%)

ჯანმრთელობის რწმენის მოდელის ასპექტები: ბარიერების აღქმა (n = 457)

ცხრილი 6.

ცვლადი	კატეგორიულად არ ვეთანხმები (%)	არ ვეთანხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)	(ვეთანხმები (%)	სრულიად ვეთანხმები (%)
ბარიერების აღქმა					
1. შეუფოთებულია COVID-19 ვაქცინის გვერდითი ეფექტებით	89 (19.5%)	76 (16.6%)	67 (14.7%)	119 (26.6%)	106 (23.2%)
2. შეუფოთებულია COVID-19 ვაქცინის ეფექტურობით	89 (19.5)	112 (24.5%)	20 (4.4%)	134 (29.3%)	102 (22.3%)

ჯანმრთელობის რწმენის მოდელზე დაფუძნებული COVID-19 ვაქცინაციაზე მზაობა
ჯანდაცვის მუშაკებს შორის საქართველოში

3. შეშფოთებულია COVID-19 ვაქცინის უსაფრთხოებით	72 (15.8%)	92 (20.1%)	83 (18.2%)	101 (22.1%)	109 (23.9%)
4. განუხებთ COVID-19 ვაქცინის ფასი? (გადახდის სურვილი)	67 (14.7%)	61 (13.3%)	23 (5.0%)	161 (35.2%)	145 (31.7%)
5. შეშფოთებულია ვაქცინის სიახლეებით (ადრე არ გამოიყენებოდა).	53 (11.6%)	69 (15.1%)	82 (17.9%)	152 (33.3%)	101 (22.1%)
6. შეშფოთებულია COVID-19 ვაქცინის ხელმისაწვდომობით	81 (17.7%)	223 (48.8%)	39 (8.5%)	61 (13.3%)	53 (11.6%)
7. შეშფოთებულია COVID-19 ვაქცინაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობით	75 (16.4%)	228 (49.9%)	61 (13.3%)	51 (11.2%)	42 (9.2%)
8. შეშფოთებულია მწარმოებლისა და მინოდების წყაროს სანდოობით	8 (1.8%)	46 (10.1%)	88 (19.3%)	208 (45.5%)	107 (23.4%)
9. შეშფოთებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემით და ვაქცინაციის განაწილების სტრატეგიით	52 (11.4%)	233 (51.0%)	35 (7.7%)	73 (16.0%)	64 (14.0%)
10. შეშფოთებულია ვაქცინაციის ადმინისტრირებით	22 (4.8%)	45 (9.8%)	154 (33.7%)	175 (38.3%)	61 (13.3%)
11. შეშფოთებულია ვაქცინების რაოდენობით (საჭირო დოზების რაოდენობა)	25 (5.5%)	197 (43.1%)	85 (18.6%)	93 (20.4%)	57 (12.5%)
12. შეშფოთებულია ვაქცინაციით იმუნიტეტის ხანგრძლივობით (რამდენი დრო ვიქნები დაცული)	25 (5.5%)	242 (53.0%)	68 (14.9%)	76 (16.6%)	46 (10.1%)

**ჯანმრთელობის რწმენის მოდელის ასპექტები: ქმედებებისკენ სიგნალი
(n = 457)**

ცხრილი 7.

ცვლადი	კატეგორი- ულად არ ვეთან- ხმები (%)	არ ვეთან- ხმები (%)	მიჭირს პასუხის გაცემა (%)	(ვეთან- ხმები (%)	სრულიად ვეთან- ხმები (%)
ქმედებებისკენ სიგნალი					
1. სანდო ინფორმაციის მიწოდება ხელს უწყობს COVID-19 ვაქცინაციას	16 (3.5%)	48 (10.5%)	67 (14.7%)	172 (37.6%)	154 (33.7%)
2. ჯანდაცვის მუშაკების რეკომენდაცია ხელს უწყობს COVID-19 ვაქცინაციას	4 (0.9%)	74 (16.2%)	87 (19%)	195 (42.7%)	97 (21.2%)
3. ჯანდაცვის ორგანოების რეკომენდაცია ხელს უწყობს COVID-19-ის ვაქცინაციას	14 (3.1%)	47 (10.3%)	62 (13.6%)	176 (38.5%)	158 (34.6%)
4. მედიკოსების რეკომენდაცია ხელს უწყობს COVID-19-ის ვაქცინაციას	23 (5%)	56 (12.3%)	58 (12.7%)	172 (37.6%)	148 (32.4%)
5. დიდი რაოდენობით ადამიანების მიერ COVID-19 ვაქცინაციის ჩატარება ხელს უწყობს ვაქცინაციას	13 (2.8%)	48 (10.5%)	64 (14%)	178 (38.9%)	154 (33.7%)

ტექსტში მოყვანილი ყველა ცხრილის წყაროა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

დისკუსია

კვლევის მიზანს შეადგენდა COVID-19 ვაქცინის მიღებასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა, რათა გავლენა მოვახდინოთ COVID-19-ის ვაქცინით მოსახლეობის დაბალ მოცვაზე.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა მედიცინის მუშაკებს შორის COVID-19-ის წინააღმდეგ ვაქცინაციის მიღების მაღალი მაჩვენებელი (84%). მსგავსი შედეგები იქნა მიღებული სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევებიდან (Wang

და სხვ. 2021). აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ პანდემიის დროს მედიცინის მუშაკებს გაზრდილი აქვთ ინფიცირების რისკის აღქმა და მისგან დაცვის საშუალებებზე მოთხოვნა (Nemr და სხვ. 2021).

კვლევამ აჩვენა, რომ COVID-19 ვაქცინაციის მიღება განსხვავდება სოციო-დემოგრაფიული და ქცევითი მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია, განათლების დონე, საშუალოთვიური შემოსავალი და საცხოვრებელი ადგილი. ვაქცინაციის მიღების ყველაზე მაღალი დონე (90%) დადასტურდა 45 წლის და უფროსი ასაკის ჯგუფში, რაც შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ასაკობრივ მატებასთან ერთად იზრდება ინფექციური დაავადებებისადმი მგრძობელობა. ასევე, ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება თანმხლები ქრონიკული დაავადების განვითარების ალბათობა, რომლის რისკი კიდევ უფრო მატულობს პანდემიით ინფიცირების შედეგად. აღნიშნული გავლენას ახდენს მათ სურვილზე, ჩაიტარონ COVID-19 ვაქცინა.

ექიმებთან შედარებით, ექთნებს ჰქონდათ COVID-19 ვაქცინის ჩატარების უფრო ნაკლები სურვილი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ ექთნების უმეტესობა ქალია, რომელთაც უფრო მეტად აწუხებთ ვაქცინის გვერდითი ეფექტები მათ მომავალ ჩვილებზე, შედეგად სიფრთხილით ეკიდებიან ვაქცინაციის გავლენას ორსულობაზე. გასათვალისწინებელია, რომ ექთნები უფრო მეტ დროს ატარებენ პაციენტებთან და შესაბამისად, აქვთ COVID-19 ვირუსით დაინფიცირების მაღალი რისკი. ექთნებს შორის ვაქცინაციის დაბალმა მაჩვენებელმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს იმ პირებზე, რომელთაც ხშირი ურთიერთობა აქვთ ექთნებთან პროფესიულ ან პიროვნულ დონეზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ექთნებისა და ჯანდაცვის მუშაკების მეტი ინფორმირება ვაქცინაციის სარგებლობის შესახებ.

ჯანდაცვის მუშაკებში COVID-19 ვაქცინაციის ჩატარების მზაობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ჯანმრთელობის რწმენის მოდელის 5 ასპექტი: COVID-19-ის მიმართ მგრძობელობის აღქმა, სიმძიმის და სერიოზულობის აღქმა, სარგებლების აღქმა, ბარიერების აღქმა და ქმედებებისკენ სიგნალები. ამ ასპექტებიდან ვაქცინაციის ჩატარების მზაობაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა ქმედებებისკენ მიმართულმა სიგნალებმა. კერძოდ, ვაქცინაციის ჩატარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სანდო ინფორმაციის მიწოდება, ჯანდაცვის მუშაკების, ჯანდაცვის ორგანოების და მედია საშუალებების რეკომენდაციები. კვლევები ადასტურებენ, რომ საზოგადოება ვაქცინაციასთან დაკავშირებულ საკი-

თხეებზე ყველაზე მეტად მედიცინის მუშაკებს ენდობა, რადგან მათ უკეთ შეუძლიათ გაიგონ საზოგადოების დამოკიდებულება ვაქცინაციის მიმართ და მოძებნონ ვაქცინაციის სტიმულირების გზები (Rapisarda და სხვ., 2021; Hossain და სხვ., 2021).

ვაქცინაციის ჩატარების მზაობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და მეცნიერების რეკომენდაციები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ვაქცინის გამოყენებაზე გადანიშნულების მიღება მკვეთრად ზრდიდა ვაქცინირებული ადამიანების რაოდენობას (Lazarus და სხვ., 2023). მეცნიერებისადმი უნდობლობის შემთხვევაში, როდესაც ხდება დეზინფორმაციისა და შეთქმულების თეორიების გავრცელება, ადამიანები ცდილობენ თავი აარიდონ ვაქცინაციას (Mousoulidou და სხვ., 2021). დეზინფორმაციის აღმოფხვრასა და ვაქცინის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი და მისადმი ნდობა. ჩვენმა კვლევამ დაადგინა, რომ რესპონდენტები, რომლებიც ენდობოდნენ ჯანდაცვის ორგანოების მიერ რეკომენდებულ ვაქცინას, უფრო მეტად ღებულობდნენ COVID-19 ვაქცინას.

COVID-19 ვაქცინაციის ჩატარების ყველაზე გავრცელებულ ბარიერს წარმოადგენს არსებული ვაქცინის ეფექტურობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. რესპონდენტებმა გამოხატეს გარკვეული შეშფოთება COVID-19 ვაქცინის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რადგან COVID-19 ვაქცინა სხვა „ძველი“ ვაქცინებისაგან განსხვავებით, შეიქმნა სწრაფად, ეპიდემიის დაწყებიდან მოკლე დროში. აღნიშნულმა შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ვაქცინაციის მაჩვენებელზე. ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიებში მეტი რესურსების ინვესტირება, საზოგადოებისთვის ადეკვატური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ვაქცინაზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების და ექსპერტიზის შესახებ ინფორმაციის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელება (Sulik და სხვ., 2021). სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ სამეცნიერო მტკიცებულებები ხელს უწყობს ვაქცინის მიმართ საზოგადოების ნდობას და შესაბამისად ვაქცინაციის მიღებას (Muğaloğlu და სხვ., 2022). თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ ვაქცინაციის ბარიერების დასაძლევად საჭიროა სხვადასხვა სტრატეგიისა და მიდგომის ინტეგრირება და კომბინირება (Brewer და სხვ., 2021).

დასკვნა

COVID-19 ვაქცინაციის წარმატება დიდწილად ეყრდნობა საზოგადოების სურვილს, ჩაიტაროს ვაქცინაცია. კვლევამ აჩვენა, რომ COVID-19 ვაქცინაციის მიღება განსხვავდება სოციო-დემოგრაფიული და ქცევითი მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია, განათლების დონე, საშუალოთვიური შემოსავალი და საცხოვრებელი ადგილი, სარგებლების და ბარიერების აღქმა და ქმედებებისკენ სიგნალები.

კვლევამ აჩვენა მედიცინის მუშაკებში ვაქცინაციის მიღების მზაობის მაღალი მაჩვენებელი. ჯანმრთელობის რწმენის მოდელის ასპექტებიდან ვაქცინაციის ჩატარების მზაობაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა ქმედებებისკენ მიმართულმა სიგნალებმა. კერძოდ, ვაქცინაციის ჩატარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სანდო ინფორმაციის მიწოდება, ჯანდაცვის მუშაკების, ჯანდაცვის ორგანოების და მედიასაშუალებების რეკომენდაციები.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ვაქცინაციის ბარიერების შემცირება და პროცედურების გამარტივება გაზრდის ვაქცინაციის მიღებას ფართო საზოგადოებაში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის, ეპიდემიის დროს ვაქცინაციის ხელშეწყობის ეფექტური ინტერვენციების შემუშავებაში

ლიტერატურა:

References:

- Brewer NT., Chapman GB., Rothman AJ., et al. Increasing Vaccination: Putting Psychological Science into Action. *Psychol Sci Public Interest* 2017; 18(3): 149-207.
- Hossain MB., Alam MZ., Islam MS., Sultan S, Faysal MM, Rima S, Hossain MA and Mamun AA (2021) Health Belief Model, Theory of Planned Behavior, or Psychological Antecedents: What Predicts COVID-19 Vaccine Hesitancy Better Among the Bangladeshi Adults? *Front. Public Health* 9:711066.
- Lazarus J.V., Wyka K., White T.M. et al. A Survey of COVID-19 Vaccine Acceptance Across 23 Countries in 2022. *Nat Med* 29, 366–375 (2023).
- Mathieu E., Ritchie H., Rodés-Guirao L., Appel C., Giattino C., Hasell J., Macdonald B., Dattani S., Beltekian D., Ortiz-Ospina E., & Roser M. (2020). *Coronavirus Pandemic (COVID-19)*.

- Mousoulidou M., Christodoulou A., Argyrides M., Siakalli M., Constantinou L. Trust in Science and COVID-19. Encyclopedia. 2022; 2(1):602-616. h
- Muğaloğlu E.Z., Kaymaz Z., Mısır M.E. et al. Exploring the Role of Trust in Scientists to Explain Health-Related Behaviors in Response to the COVID-19 Pandemic. Sci & Educ 31, 1281–1309 (2022).
- Randolph HE., Barreiro LB., Herd Immunity: Understanding COVID-19. Immunity. 2020;52(5):737–41. doi:10.1016/j. Immuni.2020.04.012.
- Rapisarda V., Vella F., Ledda C., Barattucci M., Ramaci T. What Prompts Doctors to Recommend COVID-19 Vaccines: Is It a Question of Positive Emotion? Vaccines (Basel). 2021 Jun 1;9(6):578.
- Sulik J., Deryo O., Dezechache G. et al. Facing the Pandemic with Trust in Science. Humanit Soc Sci Commun 8, 301 (2021).
- Nemr N., Kishk RM., Soliman NH., Farghaly RM., Kishk SM., Louis N., “Perception of COVID-19 and Vaccine Acceptance among Healthcare Workers”, International Journal of Microbiology, vol. 2022, Article ID 1607441.
- Wong MCS., Wong ELY., Huang J., Cheung AWL., Law K., Chong MKC., Ng RWY Lai CKC., Boon SS., Lau JTF. Acceptance of the COVID-19 Vaccine Based on the Health Belief Model: A Population-Based Survey in Hong Kong. Vaccine. 2021;39 (7):1148–56.
- World Health Organization. WHO Director-General’s Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 - 11 March 2020.

Readiness for COVID-19 Vaccination Among Healthcare Workers in Georgia Based on the Health Belief Model

Tengiz Verulava

Professor

Caucasus University

tverulava@cu.edu.ge

The aim of the study was to examine factors associated with the uptake of the COVID-19 vaccine to influence the low coverage of the population with the COVID-19 vaccine.

Our study showed a high rate of vaccination against COVID-19 among healthcare workers (84%). Similar results have been obtained from studies conducted in other countries (Wang et al. 2021). This indicates that during the pandemic medical workers have an increased perception of the risk of infection and the demand for means of protection against it (Nemr et al. 2021).

The study found that uptake of the COVID-19 vaccination varies by socio-demographic and behavioral characteristics such as gender, age, marital status, occupation, education level, average monthly income, and place of residence. The highest level of vaccination acceptance (90%) was confirmed in the age group of 45 years and older, which can be explained by the fact that susceptibility to infectious diseases increases with age. Also, with increasing age, the probability of developing a concomitant chronic disease increases, the risk of which increases further as a result of being infected with a pandemic. This affects their willingness to receive the COVID-19 vaccine.

Compared to doctors, nurses had a lower willingness to administer the COVID-19 vaccine. This may be due to the fact that most nurses are women, who are more concerned about the side effects of vaccines on their future babies, and as a result are wary of the effects of vaccination on pregnancy. It should be taken into account that nurses spend more time with patients and therefore have a higher risk of being infected with the COVID-19 virus. Low vaccination rates among nurses may adversely affect individuals who have frequent professional or personal contact with nurses. Therefore, it is important that nurses and health workers are more informed about the benefits of vaccination.

5 aspects of the Health Belief Model were used to assess the readiness of HCWs to receive a COVID-19 vaccination: perceptions of susceptibility to COVID-19, perceptions of severity and seriousness, perceptions of benefits, perceptions of barriers, and cues to action. Among these aspects, the signals directed to actions played a special role in the willingness to carry out vaccination. In particular, the provision of reliable information, recommendations of health workers, health authorities and media have a significant impact on vaccination. Studies show that the public trusts health workers the most on vaccination-related issues because they are better able to understand public attitudes towards vaccination and find ways to promote vaccination (Rapisarda et al., 2021; Hossain et al., 2021).

Recommendations of the World Health Organization and scientists have a significant influence on the willingness to carry out vaccination. The decision to use the vaccine by the World Health Organization dramatically increased the number of people vaccinated (Lazarus et al., 2023). In the case of mistrust of science, when misinformation and conspiracy theories are spread, people try to avoid vaccination (Mousoulidou et al., 2021). In eliminating misinformation and disseminating correct information about the vaccine, the regulatory role of the state and trust in it is important. Our study found that respondents who trusted

the vaccine recommended by health authorities were more likely to receive the COVID-19 vaccine.

The most common barriers to implementing a COVID-19 vaccination are issues related to the efficacy and safety of existing vaccines. Respondents expressed some concern about the safety of the COVID-19 vaccine because the COVID-19 vaccine, unlike other “old” vaccines, was developed quickly, within a short period of time after the outbreak began. This can negatively affect the vaccination rate. In order to solve this problem, it is important to invest more resources in information campaigns, improve access to adequate information for the public, and widely disseminate information about scientific research and expertise on the vaccine to the population (Sulik et al., 2021). Other studies also confirm that scientific evidence contributes to public trust in the vaccine and therefore vaccination acceptance (Muğaloğlu et al., 2022). However, studies confirm that different strategies and approaches need to be integrated and combined to overcome barriers to vaccination (Brewer et al., 2021).

The success of the COVID-19 vaccination relies heavily on the public’s willingness to get vaccinated. Research has shown that uptake of COVID-19 vaccination varies by socio-demographic and behavioral characteristics such as gender, age, marital status, occupation, education level, average monthly income and place of residence, perceptions of benefits and barriers, and cues to action.

The study showed a high rate of willingness to receive vaccination among healthcare workers. Among the aspects of the health belief model, cues to action played a special role in the willingness to undergo vaccination. In particular, the provision of reliable information, recommendations of health workers, health authorities and media have a significant impact on vaccination.

Research results show that reducing vaccination barriers and simplifying procedures will increase vaccination acceptance in the public. The results of the study are important for policy makers and stakeholders in developing effective interventions to promote vaccination during epidemics.

Keywords: COVID-19 vaccination, health belief model, vaccination acceptance, reduction of vaccination barriers, simplification of procedures.

JEL Codes: I10, I11, I18, H51, H75

ფინანსები და საბანკო საქმე ◊ აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი FINANCE and BANKING ◊ ACCAUNTING, AUDITING

საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარების საკითხისათვის

მაია გოგობია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
mayagogokhia@gmail.com

საფონდო ბაზარი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმია. მისი განვითარება, რაც მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება, ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა. საფონდო ბაზარი ხელს უწყობს საინვესტიციო რესურსების გადანაწილებას უფრო შემოსავლიან, პერსპექტიულ სექტორებსა და სანარმოებში. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ინვესტირებას მასობრივ ხასიათს ანიჭებს. მიუხედავად ამისა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯეროვან ადგილს ვერ იკავებს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში. სტატიაში სწორედ ამ მხრივ საქართველოში არსებულ პრობლემებზე შევჩერდებით.

უწინარესად აღვნიშნავთ, რომ საფონდო ბაზრის ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანესია საინვესტიციო ფონდების საქმიანობა. საქართველოში შესაბამისი კანონი მიღებულ იქნა 2020 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ მსოფლიოში საინვესტიციო ფონდები ითვლება დანაზოგების შენახუნებისა და მაგების მოხეხებულ და ქმედით ინსტრუმენტად. ის ათავისუფლებს მეანაბხეს აუცილებლობისაგან - ჰქონდეს ღირსი და ყოვლისმომცველი ცოდნა ფასიანი ქაღალდების პოზიციების მართვის საკითხებზე და ფლობდეს ახლებით საინვესტიციო შესაძლებლობებს. სწორედ საინვესტიციო ფონდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა პირობების მონაწილეების საქმიანობის განხილვაა ჩვენი სტატიის მიზანი.

საკვანძო სიტყვები: ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, კაპიტალიზაცია.

შესავალი

მსოფლიოს ქვეყნებში საინვესტიციო ფონდები სხვადასხვაგვარად იწოდება. მაგ., საფრანგეთში - ურთიერთსაინვესტიციო ფონდები, იტალიაში - ურთიერთფონდები, შვეიცარიაში - განთავსების საერთო ფონდები და ა. შ. საინვესტიციო ფონდების ტიპებია: ღია, ინტერვალური, დახურული. ღია ფონდების პაი მაქსიმალურად ლიკვიდურია, თუმცა - ნაკლებად შემოსავლიანი. ინტერვალური ფონდის მმართველისათვის წინასწარაა ცნობილი პაის დაფარვის ვადა, ამიტომ ის უფრო ეფექტიანად გადაანაწილებს თავის აქტივებს (პორტფელში იქნება არამართო „ცისფერი კოჭები“, არამედ ნაკლებად ლიკვიდური და უფრო მაღალშემოსავლიანი აქციები). თუ ინვესტირების ჰორიზონტი შეადგენს 2-3 წელს, მაშინ გაცილებით ეფექტიანია ინტერვალურ ფონდებში დაბანდება. დახურული საინვესტიციო ფონდები ყალიბდება ძირითადად კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად (უძრავი ქონების მშენებლობა), ისინი ყველაზე შემოსავლიანია.

საინვესტიციო ფონდის არჩევისას, აუცილებელია გავერკვეთ, ვინ არის მისი მმართველი კომპანია (სტაბილური, საიმედო, კარგი რეპუტაციის), ჰყავს თუ არა ინსტიტუციონალური ინვესტორი. გარდა საინვესტიციო ფონდებისა, აქტუალურია ისეთი თვითრეგულირებადი მონაწილეების როლი, როგორცაა საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი.

თვითრეგულირებადი ორგანიზაციები საფონდო ბაზარზე

საფონდო ბირჟის ისტორიული როლი ისაა, რომ ის წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველაზე სრულყოფილ ფორმას. საფონდო ბირჟას არ შეუძლია შეათავსოს თავისი საქმიანობა დეპოზიტარულ საქმიანობასთან.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს ერთადერთი საფონდო ბირჟა.

საფონდო ბირჟა, როგორც აქციონერული საზოგადოება, მიმართულია მოგების ზრდასა და აქციების კურსის ზრდაზე. კომერციული ბირჟების აღმოცენება დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომპიუტერიზაციასთან. ანმყოში ინტერნეტ-ტრეიდინგის ფართოდ გავრცელების პროცესში, ბროკერების კლიენტებს უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გააკეთონ ელექტრონული ქსელით განაცხადი ფასიანი ქაღალ-

ლდების ყიდვა-გაყიდვაზე და განახორციელონ ეს გარიგებები ბირჟაზე. ეს შესაძლებელია ხელშეკრულების არსებობისას კლიენტსა და საბროკერო კომპანიას შორის, თანხის ფარგლებში, რაც კლიენტის ანგარიშზეა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონზომიერმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ დეპოზიტარი ფასეულობათა (ფასიანი ქაღალდების სერტიფიკატების) საცავიდან, გადაიქცა ინსტიტუტად, რომელიც აფიქსირებს და ადასტურებს უფლებებს ელექტრონულ ფასიან ქაღალდებზე. დეპონენტი ყოველთვის როდია ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე.

საინვესტიციო ფონდის ქონების აღრიცხვა და შენახვა წარმოებს სპეციალიზებულ დეპოზიტარში, რომელიც ასრულებს დამატებით, ჩვეულებრივი დეპოზიტარისათვის არადაამახასიათებელ საკონტროლო ფუნქციას: კონტროლს მმართველი კომპანიის მიერ ფონდის საინვესტიციო დეკლარაციის დაცვაზე, ფონდის მინდობილობით მართვის ხელშეკრულების პირობების, საინვესტიციო ფონდის მინდობილობით მართვის წესების შესრულებაზე.

დეპოზიტარი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი, რომელიც ადრე დარეგისტრირებული იყო დეპოზიტარის კლიენტების სახელზე. ხდება ფასიან ქაღალდებზე უფლებათა გადაცემა მათი გადარეგისტრირების გარეშე რეგისტრატორში პირად ანგარიშებზე (რადგან ისინი იქ უკვე არ არის). ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარული აღრიცხვის კიდევ ერთი უპირატესობაა - ფასიანი ქაღალდების მოძრაობის პროცესის სინქრონიზება, რასაც ეწოდება მიწოდება გადახდის პირისპირ.

ამრიგად, ცენტრალური დეპოზიტარი წარმოადგენს ორგანიზებული ბაზრის თანამედროვე სისტემის მნიშვნელოვან ინსტიტუტს (Криничанский, 2021, 162).

საფონდო ბირჟები

ბირჟაზე სავაჭროდ შეიძლება დაშვებულ იქნეს საემისიო ფასიანი ქაღალდები მათი განთავსებისა და მიმოქცევის პროცესში (აქციები და ობლიგაციები), ასევე - საინვესტიციო პაი, მათი გაცემისა და მიმოქცევის პროცესში.

საფონდო ბირჟა უფლებამოსილია შეაჩეროს ვაჭრობა ფასიანი ქაღალდებით ერთი საათით, ემიტენტის მიერ იმ ინფორმაციის გახსნის მომენტიდან, რომელმაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ვაჭრობის მსვლელობაზე. საფონდო ბირჟა ვალდებულია შეაჩეროს ვაჭრობა აქცი-

ებით არანაკლებ ერთი საათისა იმ მომენტიდან, როცა განსაზღვრული გამოშვების აქციების მიმდინარე ფასები გადააჭარბებს ან დაეცემა 10-15%-ით, წინა სავაჭრო დღის დახურვის ფასთან მიმართებით (Михайленко, 2019, 229).

კომერციული ბირჟების აღმოცენება (აქციონერული საზოგადოება) დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომპიუტერიზაციის პროცესთან: ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობის ორგანიზების კომპიუტერული ფორმების შემუშავება წარმოადგენს კომერციული საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობას. კომპიუტერული ბირჟის მფლობელი ყიდის დაშვებას თავის კომპიუტერულ ბაზაზე, რასაც მისთვის მოაქვს მუდმივი მოგება. საბირჟო ვაჭრობის ორგანიზება გადაიქცევა კომერციული საქმიანობის დამოუკიდებელ სახეობად, რომელიც განცალკევებულია კომერციისაგან თავად ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

ტრადიციული საფონდო ბირჟები, როგორც არაკომერციული ორგანიზაციები, სულ უფრო მეტად განიცდიან ფინანსური რესურსების ნაკლებობას საკუთარი სავაჭრო სისტემების სრულყოფისათვის. ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა - მათი გარდაქმნა აქციონერულ საზოგადოებად, აუცილებელი კაპიტალის მიღება შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ, ამავდროულად თავის თავზე ვალდებულების აღება, მიიღონ მოგება და გადაიხადონ დივიდენდები საკუთარ აქციებზე.

ბირჟის მონაწილეები განსხვავდება მისი ორგანიზაციული ფორმებიდან გამომდინარე. თუ ბირჟა არაკომერციული ამხანაგობაა, მაშინ მისი მონაწილეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მისი წევრები, ანუ პირები, რომელმაც ის შექმნეს. თუ ბირჟა აქციონერული საზოგადოებაა, მაშინ ხდება მისი წევრების გაყოფის პროცესი აქციონერებად და მონაწილეებად, ანუ ისინი, ვინც უფლებას იღებს ივაჭროს მოცემულ ბირჟაზე. ბირჟის აქციონერი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნებისმიერი მონაწილე. აქციონერული ბირჟის მონაწილეები მხოლოდ პროფესიონალი ვაჭრები არიან: ბროკერები, დილერები და მმართველები (ფასიანი ქაღალდების). ბირჟაზე ამა თუ იმ კონკრეტული მონაწილის სავაჭროდ დაშვების წესი განისაზღვრება ბირჟის მიერ.

ბირჟის შემოსავლები და ხარჯები. ბირჟა დამოუკიდებლად ადგენს საკუთარი შემოსავლების ამოღების სიდიდესა და წესს და მათი გამოყენების მიმართულებებს.

ბირჟის შემოსავლების ძირითადი სახეობებია:

- მისი მონაწილეების შენატანები,

- ლისტინგის საფასური,
- საფასური ბირჟის სხვადასხვა მომსახურებებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საბირჟო მოსაკრებლები დადებულ გარიგებებზე,
- საბირჟო ინფორმაციის გაყიდვიდან შემოსავალი,
- შენობებისა და მოწყობილობების იჯაროდან შემოსავლები,
- საბირჟო ტექნოლოგიების გაყიდვიდან შემოსავალი,
- შემოსავალი მოცემული ბირჟის საფონდო ინდექსების გამოყენებიდან საბაზრო აქტივების სახით,

- ჯარიმები და ა.შ.

ბირჟის წამყვანი ხარჯვითი მუხლებია (ისევე, როგორც ნებისმიერი საბაზრო ორგანიზაციისა):

- მიმდინარე ხარჯები - დაქირავებული პერსონალის შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა საექსპლუატაციო ხარჯები,

- საამორტიზაციო ანარიცხები,
- საარენდო გადასახდელები შენობებისა და მოწყობილობებისათვის,

- კაპიტალური ხარჯები, დაკავშირებული ახალი სავაჭრო სისტემების დანერგვასთან, ან ახალი მოწყობილობების ამოქმედებასთან, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასთან, საკომუნიკაციო დანახარჯები და სხვ.

ბოლო ათწლეულების მანძილზე საფონდო ბაზრის განვითარება მიმდინარეობს ვაჭრობის ორგანიზების ელექტრონული ფორმების მიმართულებით. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ტრადიციული ფორმა წარმოადგენს საჯარო ვაჭრობას, როდესაც ფასი ბაზრის მონაწილეების უშუალო ურთიერთქმედების შედეგია.

კომპიუტერიზაციის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ფიზიკური ურთიერთქმედების ჩანაცვლება მათი ურთიერთქმედებით ელექტრონული კავშირის მეშვეობით, რაც თავს იყრის ერთიან კომპიუტერულ ცენტრში, სადაც ხდება თვით პროცესი გარიგებათა დადებისა განსაზღვრული საბაზრო წესებით.

ახალი საფონდო ბირჟები ყველა ქვეყანაში თავიდანვე იქმნება, როგორც ელექტრონული ბირჟები.

ამავდროულად, ხდება ევოლუცია არასაბირჟო ბაზრის პროფესიონალი მონაწილეებისა - ორგანიზებული ელექტრონული ბაზრის შექმნის მიმართულებით.

კლიენტების თვალსაზრისით, ვაჭრობის ელექტრონული ფორმების განვითარება შეიძლება ხდებოდეს ორი მიმართულებით: პროფესიონალი ვაჭრების მონაწილეობით და მათ გარეშე.

პირველი მიმართულება ქარბობს შემდეგი მიზეზების გამო:

- ბაზრის ყველა რიგითი მონაწილე არ არის მზად, დამოუკიდებლად იმუშაოს ბაზრზე,
- ყველა შემთხვევაში როდია შესაძლებელი ბაზარზე მათი ვალდებულებების გარანტირების საკითხები გადაწყდეს პროფესიონალი მონაწილის ჩართულობის გარეშე,
- თვით პროფესიონალ ვაჭრებს არ სურთ დაკარგონ თავისი ადგილი ბაზარზე.

მეორე მიმართულების განვითარება ტექნიკურად გადაწყვეტილია თვით ელექტრონული ფორმით ვაჭრობის პროცესის ორგანიზებისას. ბაზრის ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია ელექტრონული ქსელის მეშვეობით წამოაყენოს თავისი განაცხადი ერთიან ელექტრონულ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ყიდვასა ან გაყიდვაზე საკუთარი პირობებით და ის ავტომატურად შესრულდება, როცა მისი პირობები დაემთხვევა ბაზარზე არსებულ პირობებს. პროფესიონალ შუამავალს ამ შემთხვევაში წარმოადგენს თვითონ ელექტრონული ბაზარი და არა პროფესიონალი ვაჭარი ბროკერის ან დილერის სახით.

არასაბირჟო ბაზარი შეიძლება იყოს ორგანიზებული (სადილერო ბაზარი) ან არაორგანიზებული.

საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია

პრაქტიკაში, როდესაც მსჯელობენ კომპანიის კაპიტალიზაციაზე, ყოველთვის მხედველობაში აქვთ მხოლოდ აქციონერული საზოგადოებების კაპიტალიზაცია, ანუ მათ მიერ განთავსებული აქციების ერთობლივი საბაზრო ღირებულება. რაც შეეხება ობლიგაციების ბაზრის კაპიტალიზაციას, როგორც წესი, მნიშვნელოვანია. მოცემული ბაზრის საერთო სიდიდე აქციების ბაზართან შედარებით უფრო მასშტაბურია და იყოფა სახელმწიფო და კორპორაციული ობლიგაციების ბაზრად.

რამდენადაც აქციის საბაზრო ფასი ჩვეულებრივ ბევრად აღემატება მის ნომინალურ ღირებულებას, აქციონერული კაპიტალი, ანუ აქციონერული საზოგადოების კაპიტალიზაცია, მეტია მის სანესდებო კაპიტალზე.

კომპანიის „ყიდვა“ არის მისი მთელი კაპიტალის ყიდვა, როგორც საკუთარი (აქციების ფორმით), ასევე - ნასესხების (უპირველეს ყოვლისა,

ობლიგაციების ფორმით). სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ აქციონერული საზოგადოების „ყიდვისას“ მისი აქციების საბაზრო ფასი იზრდება, იმ საბაზრო დონესთან შედარებით, რაც არსებობდა იმ მომენტამდე, როცა ცნობილი გახდა მისი „ყიდვის“ თაობაზე.

თეორიულად, საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციის ქვედა ზღვარია აქციონერული საზოგადოებების წმინდა საკუთარი კაპიტალის სიდიდე. თუ აქციების საბაზრო ფასი რაიმე მიზეზით დაეცემა მის მიერ წარმოდგენილ წმინდა საკუთარ კაპიტალზე დაბლა, აქციონერებისათვის უფრო მომგებიანი იქნება საზოგადოების ლიკვიდაცია და სალიკვიდაციო ღირებულების სახით ამ საკუთარი კაპიტალის მიღება.

თავისუფალი ფულადი სახსრების მოდინება საფონდო ბაზარზე იწვევს მოთხოვნის ზრდას ფასიან ქალაქებზე და მათი ფასების ზრდას. მაგრამ, დაწყებული რალაც მომენტიდან, შეიძლება ნიშნავდეს შემცირებას წარმოებაში ფუნქციონირებადი კაპიტალის სიდიდისა და შემდგომ შემცირებას მოგების აბსოლუტური სიდიდისა, და შესაბამისად, დივიდენდებისა. ფასიან ქალაქებზე შემოსავლების გადახდის სიდიდის აბსოლუტური შემცირება, ადრე თუ გვიან გამოვლინდება ფასიან ქალაქებზე საბაზრო ფასის შემცირებით და ფულადი კაპიტალი დაიწყებს გადანაცვლებას წარმოებაში, შედეგად, მოგება გაიზრდება, რაც გაზრდის ფასებს აქციებზე და ა.შ.

ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრებზე ფულადი კაპიტალის შედარებითი დეფიციტი თანდათან აისახება მის ეფექტიანობაზე - შემოსავლიანობის კლებით, რაც გამოიწვევს აქციებისა და სხვა საფონდო ფასეულობებზე საბაზრო ფასების მკვეთრ ან თანდათანობით შემცირებას. საფონდო ბაზრის ღირებულებითი სიდიდე შემცირდება, რათა გარკვეული დროის შემდეგ მთელი ციკლი თავიდან განმეორდეს. თუ ადგილი ჰქონდა ფასების ძლიერ დაცემას, მაშინ მსჯელობენ საფონდო კრიზისზე.

კაპიტალიზაციის პროცესით განპირობებული მიზეზები სისტემატურად იწვევს კრიზისებს საფონდო ბაზარზე. სისტემური საფონდო კრიზისები მეორდება ყოველ რამოდენიმე წელს. საფონდო ინდექსების დაცემა არსებითი სიდიდით (მაგ. 10% და მეტი), გაცილებით უფრო იშვიათია (დაახლოებით 10 ან 20 წელიწადში ერთხელ).

მთლიანობაში, თუ თვალს მივადევნებთ საბაზრო ფასების დინამიკას საფონდო ინდექსების მიხედვით, მაშინ გრძელვადიან პერიოდში ადგილი აქვს უდავო ზრდას აქციების ფასებისა და, შესაბამისად, საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციის მოცულობის ზრდას. ამის მიზეზია კაპიტალის ზრდა საზოგადოების განვითარებასთან ერთად და მის მიერ შექმნილი მოგების სიდიდის ზრდა.

ამგვარად, სულ უფრო მზარდ წმინდა შემოსავალს შეესაბამება ფიქტიური კაპიტალის მზარდი სიდიდე აქციების საბაზრო ფასების ერთობლიობის ფორმით. ჩვეულებრივ ზრდის ტენდენცია საფონდო ინდექსების დინამიკაში ამავედროულად შეესაბამება საფონდო ბაზრისა და მთლიანობაში ეკონომიკური კონიუნქტურის კარგ მდგომარეობას.

მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთაგან, მუდმივად მაღალი კორელაცია სუვერენულ საკრედიტო რეიტინგთან აქვს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ✓ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი
- ✓ მშპ-ის ზრდის ტემპი
- ✓ ინფლაციის დონე
- ✓ საგარეო ვალის სიდიდე და დინამიკა
- ✓ ეკონომიკური განვითარების დონე
- ✓ საკრედიტო ისტორია.

რეგრესულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სარეიტინგო ცვლილებების 90% გამოწვეული იყო ამ ფაქტორების, აგრეთვე ბიუჯეტის და მიმდინარე ოპერაციების ბალანსის დეფიციტით (გელაშვილი დ., 2005)

✓ მიზანშეწონილია წარმატებულმა ქართულმა კომპანიებმა, კერძოდ, ბანკებმა, სალიზინგო კომპანიებმა გამოუშვან ობლიგაციები, მათ შორის საკუთრებაში არსებული ქონების გირაოს საფუძველზე

✓ სახელმწიფომ კი, შეიძლება აწარმოოს წამახალისებელი პოლიტიკა ამა თუ იმ სექტორის განვითარებისათვის, ეფექტური კაპიტალის ბაზრის საშუალებით. საქართველოს მთავრობას ძალუძს ინვესტირების პროცესის გააქტიურება, გარანტირებული მიზნობრივი ეროვნული მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროცესების მეშვეობით, მაგ. გაზსადენის რეაბილიტაცია, გზების მშენებლობის პროექტები).

ფასიანი ქაღალდების ბაზარს მასშტაბურობა ახასიათებს, რაც იზიდავს საერთაშორისო ინვესტორებს (კირტავა ი., 2019). მათ გარეშე, მხოლოდ ადგილობრივი ინვესტორების ხარჯზე, საფონდო ბაზარი ვერ განვითარდება, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადეკვატური გეგმის არსებობას, რასაც ეკონომიკური მიმართულების სამინისტროები ყურადღებას მიაქცევენ. საქართველოს საფონდო ბაზრის განვითარებისთვის ფუნდამენტური ფაქტორია საკითხის განხილვა რეგიონული წრილით.

ფინანსური ჰაბის განვითარების კვალობაზე შეიქმნება საფონდო ბირჟა, სადაც ივაჭრებენ რეგიონის ქვეყნების კომპანიების აქციებით, ფიუჩერსებით, კაპიტალი განთავსდება ობლიგაციებსა და ფონდებში (ი. გოგავა, 2020).

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ საფონდო ინდუსტრიის განვითარება ჩვენს ქვეყანაშიც შესაძლებელია (2000-2007 წწ., როდესაც მარეგულირებელი ორგანო იყო ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია). მაგ. 2000-2002წწ. საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო დარბაზში სავაჭროდ დაშვებულ იქნა 282 ქართული სააქციო საზოგადოების აქცია, ხოლო 147 სააქციო საზოგადოება პოტენციურად განიხილავდა აქციების ბირჟაზე დაშვებას. 2007 წლამდე ეს რაოდენობა დიდად არც შეცვლილა (ბარბაქაძე ხ., ასლანიშვილი დ., 2014, 211). მაშინ როდესაც დღეისათვის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მხოლოდ 30-მდე ემიტენტის ფასიანი ქაღალდებია წარმოდგენილი, შემცირდა საბროკერო კომპანიების რაოდენობა (2000 წელს - 42, დღეისათვის - 9), რაც საკანონმდებლო ცვლილებებმა განაპირობა, კერძოდ, კაპიტალის მაღალმა მოთხოვნამ.

2015 წ. დაფუძნდა თბილისის საფონდო ბირჟა, 2021 წ. 31 დეკემბრისათვის მისი აქტივები შეადგენდა 3,038,277 ლარს. საქართველოს საფონდო ბირჟის აქტივები ამავე პერიოდში 3,649,977 ლარს უდრიდა, წმინდა მოგება - 368,092ლ. აქციონერთა სტრუქტურა იდენტურია: გალტ & ტაგარტი, თიბისი კაპიტალი, ჯისი ეფ ჰოლდინგი.

ცენტრალური დეპოზიტარის აქტივები შეადგენს 1,405,414 ლარს, მოხდა აქციების ემისია 2016წ. 304, 499 (თითოეული 1ლ), რომელიც შეიძინა თბილისის საფონდო ბირჟამ, ასევე - 2019წ. 2021წ. ბოლოს აქციონერთა სტრუქტურა შემდეგია: საქართველოს საფონდო ბირჟა - 10,7%, თბილისის საფონდო ბირჟა 83,1%.

დღეის მდგომარეობით საბროკერო კომპანიათა რაოდენობაა 9, 3 რეგისტრატორი, 4 აქტივების მმართველი კომპანია, სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის უფლებამოსილი პირები - თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი (საპენსიო და საინვესტიციო ფონდებთან მიმართებით) (nbg.gov.ge).

სებ-ი 2021 წელს ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მუდმივი წევრი გახდა, რაც ნიშნავს, რომ „პირველი თაობის“ რეფორმის შედეგად, საქართველოში კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩო საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდა. 2020წ. ძალაში შევიდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ განახლებული კანონი, რომელშიც განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილება - 2018 წლიდან არარეგულირებული „ფორექსი“-ის საქმიანობა სებ-ის ზე-

დამხედველობის ქვეშ მოექცა. „ფორექს კომპანიები“ ვალდებულები არიან მოიპოვონ საბროკერო საქმიანობის ლიცენზია. 2019წ დამტკიცდა „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2020წ. - კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, 2021წ. - საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი; საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებისათვის ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსი. შემუშავდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც არეგულირებს იპოთეკით დაცული ობლიგაციების (mortgage covered bonds) გამოშვებას, აგრეთვე „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონის მარეგულირებელი პაკეტის პროექტი. კაპიტალის ბაზრის განვითარებას ქვეყანაში ხელი უნდა შეუწყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებამ.

საფონდო საქმიანობის განვითარებას ხელს შეუწყობს კანონში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ფუნდამენტური ჩანაწერის აღდგენა, რომლის თანახმადაც საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა შესაძლებელია მხოლოდ საფონდო ბირჟაზე (და არა რუხ ბაზარზე), მინორიტარი ინვესტორების ინტერესების დაცვა და სტრუქტურული გარდაქმნები (მაგ., რეგისტრატორების ფუნქციის შეთავსება ცენტრალური დეპოზიტარის მიერ), ასევე, ინფლაციაზე კორექტირებული ფასიანი ქაღალდების ემისია.

ლიტერატურა:

- გელაშვილი დ. (2005). ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაკროეკონომიკური რეგულირება. geoeconomics.ge
- კირტავა ი. (2019). საქართველოს საფონდო ბირჟა რომ განვითარდეს, ფინანსური სერვისების რეგიონულ ქრილში განვითარებაზე უნდა ვიფიქროთ. <https://1tv.ge/news>
- გოგავა ი. (2020). სამი ლერძის სტრატეგია - როგორ გადარჩეს ქართული სახელმწიფო. Kvirispalitra.ge
- ბარბაქაძე ხ., ასლანიშვილი დ. (2014). ფასიანი ქაღალდების ბაზარი. სალექციო კურსი.
- Altman E.I., Khuene B.J. Defaults and Returns in the High-Yield Bond and Distressed Debt Market: Review and Outlook. In: Andersen T.J. (eds) Contemporary Challenges in Risk Management. Palgrave Macmillan, London, 2014.
- Fama E.F., French K.A. A Five-factor asset pricing model. Journal of Financial Economics. 2015. Vol 16. pp 11-22.

- Rioja F., Valev N. Stock Markets, Banks and the Sources of Economic Growth in Low and High Income Countries. *Journal of Economic and Finance*. 2014. Vol.38 (2), pp.302-320.
- Криничанский К.В. (2021), Рынок ценных бумаг. Учебник для магистратуры ; ISBN · 978-5-00172-156-7. <https://www.litres.ru/book/konstantin-vladimirovich-kri/rynok-cennyh-bumag-uchebnik-dlya-magistratury-65081277/>
- Михайленко М.К. (2023). Рынок ценных бумаг, учебник и практикум для вузов, Москва : Издательство Юрайт. URL: <https://urait.ru/bcode/530368>
- nbg.gov.ge

Reference:

- Gelashvili D. (2005). Fasiani kagaldebis bazris macroeconomikuri regulireba. [Macroeconomic Regulation of Securities Market.] geoconomics.ge
- Kirtava I. (2019). Saqartvelos safondo birja rom ganvitardes, finansuri servisebis regionalur tchirilshi ganvitarebaze unda vipikrot. [In Order for the Stock Exchange of Georgia to Develop, We Must Think about the Regional Development of Financial Services.] <https://1tv.ge.news>
- Gogava I. (2020). Sami Gerdzis Strategia – rogor gadarches qartuli Sakhelmtsipo. [Three Axis Strategy - How To Save the Georgian State.] kvispalitra.ge
- Barbaqadze Kh., Aslanishvili D. (2014). Fasiani qagaldebis bazari. [Securities Market. Lecture course.]
- Altman E.I., Khuene B.J. Defaults and Returns in the High-Yield Bond and Distressed Debt Market: Review and Outlook. In: Andersen T.J. (eds) *Contemporary Challenges in Risk Management*. Palgrave Macmillan, London, 2014.
- Fama E.F., French K.A. A Five-factor Asset Pricing Model. *Journal of Financial Economics*. 2015. Vol 16. pp 11-22.
- Rioja F., Valev N. (2014). Stock Markets, Banks and the Sources of Economic Growth in Low and High Income Countries. *Journal of Economic and Finance*. Vol.38 (2), pp.302-320.
- Krinichanski K. (2021). Rinok tsennikh bumag. [Stocks and Bonds Market, Textbook for magistracy; ISBN 978-5-00172-156-7.] in Russian, <https://www.litres.ru/book/konstantin-vladimirovich-kri/rynok-cennyh-bumag-uchebnik-dlya-magistratury-65081277/>
- Mikhailenko M. (2019). Rinok tsennikh bumag. [Stocks and Bonds Market. Textbook and Workshop for Universities, Moscow: Yurayt Publishing House.] in Russian URL: <https://urait.ru/bcode/530368>
- nbg.gov.ge

Stock Market Development in Georgia

Maya Gogokhia

Academic Doctor of Economics
mayagogokhia@gmail.com

The stock market is a mechanism for attracting investment in the country's economy. Thus, its development is important. The article emphasizes the role of investment funds, which makes investing massive. It is noted that at present there is only one functioning stock exchange in Georgia - the Georgian Stock Exchange, although in 2015 the Tbilisi Stock Exchange was also established. The activities of the stock exchange are inextricably linked with the activities of the central depository, which is currently an institution that confirms the rights to electronic securities, but the deponent is not always the owner of the securities. At the same time, a line was drawn between the activities of the central depository and the specialized depository.

It is noted that today the stock exchanges are formed in electronic form as joint stock companies. As for the capitalization of the stock market, in practice, when discussing the capitalization of companies, they always have in mind only the capitalization of joint-stock companies, the total market value of the shares they develop, while the capitalization of the bond market is more important.

The flow of free cash to the stock market leads to an increase in demand for securities, but starting from a certain point, profits and dividends may decline.

Among macroeconomic indicators, the following indicators have a high correlation with the sovereign credit rating: per capita income, GDP growth rates, inflation rate, the size and dynamics of external debt, the level of economic development, credit history, as well as budgetary and current deposits of the operating balance.

It also emphasizes the fact that the securities market loves scale, so the most important factor in the development of the Georgian stock market is to consider the issue from a regional point of view. However, as practice has shown, the development of the stock industry in our country is possible (2000-2007, when the National Securities Commission was the regulatory body).

The National Bank of Georgia became a permanent member of IOSCO in 2021, which means that as a result of the "first generation" reform, the capital

market regulatory framework in Georgia has been brought into line with international standards.

The article gives some recommendations that will contribute to the development of the stock business in the country, namely: restoration in the law of a fundamental provision on the securities market, according to which public securities can only be traded on the stock exchange, protection of minority investors and structural changes (for example, combining the functions of registrars with a central depository), as well as the issuance of inflation-protected securities.

Keywords: *Securities market, stock exchange, central depository, capitalization.*

JEL Codes: *G10, G18, G21*

სიცოცხლის სადაზღვევო პაკეტი დაზღვევაში

ნატო კაკაშვილი

ასისტენტ-პროფესორი
ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
nato.kakashvili@tsu.ge

სიცოცხლის დაზღვევის ფინანსური მხარდაჭეა სახელმწიფოს ერთ-ერთი პირობიერებული და მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან ადამიანის სიცოცხლე ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეული და ღირებული რესურსია. საქართველოში სიცოცხლის დაზღვევა ახაპოპულარული სფეროა, რადგან მცირეა მოსახლეობის დაინტერესება და დაზღვეულთა რაოდენობა. ამდენად, მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის მდგომარეობისა და განვითარების გზების განსაზღვრა, რადგან, საქართველოს მოსახლეობა განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას სიცოცხლის დაზღვევის თვალსაზრისით, საჭიროა მომხმარებელზე ორიენტირებული სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების ფასების ჰეგულირება. მოსახლეობა ყოველთვის საჭიროებდა და საჭიროებს დაცვას ფინანსური რისკებისგან, რამაც ხელი შეუწყო სიცოცხლის დაზღვევის განვითარებას და ჩამოყალიბებას. სიცოცხლის დაზღვევისას სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ, ბენეფიციარის გახდაცვალების ან გაჩვეულ ასაკამდე მიღწევის შემთხვევაში, დაზღვეული ან მოსაჩვენებელი მიიღებს მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას. სიცოცხლის დაზღვევა ნებისმიერი ადამიანისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. სიცოცხლის დაზღვევისას დაზღვეულის გახდაცვალების შემდეგ, თანხა გადაეცემა დასახელებულ სანდო პირებს. სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო ხისკების დაფარვა დამოკიდებულია სადაზღვევო ხელშეკრულებაზე და სადაზღვევო პოლისზე. მსოფლიოში სიცოცხლის დაზღვევა გრძელვადიანია, საქართველოში კი სადაზღვევო კომპანიები ხშირად ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისში ასევე აერთიანებენ სიცოცხლის მოკლევადიან დაზღვევასაც.

საკვანძო სიტყვები: სიცოცხლის დაზღვევა, სიცოცხლის რისკობრივი დაზღვევა, შეხვეული სიცოცხლის დაზღვევა, სიცოცხლის უვალ დაზღვევა, მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა, გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა.

შესავალი

სიცოცხლის დაზღვევის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, სადაზღვევო რისკი კი- დაზღვეულის სიცოცხლის ხანგრძლივობა. სადაზღვევო რისკს მიეკუთვნება: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი ან ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალების ალბათობა; გარკვეულ ასაკამდე მიღწევის ალბათობა. სიცოცხლის ხანგრძლივობა და სიბერეში ცხოვრების ალბათობა მოითხოვს რეგულარულ შემოსავალს შრომითი საქმიანობის გარეშე. აშშ-სა და ევროპის ბევრ ქვეყანაში სიცოცხლის დაზღვევა საკმაოდაა გავრცელებული. სიცოცხლის დაზღვევა ნებისმიერი ადამიანისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. სიცოცხლის დაზღვევისას, დაზღვეულის გარდაცვალების შემდეგ, თანხა გადაეცემა დასახელებულ სანდო პირებს, ასევე ანაზღაურება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეული დაავადდება მძიმე სენით ან უბედური შემთხვევის შედეგად იგი გახდება შრომისუუნარო დროებით ან სამუდამოდ. სადაზღვევო თანხის ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიების მიერ ხდება შემდეგ შემთხვევებში: გარდაცვალება ბუნებრივი სიკვდილით; გარდაცვალება უბედური შემთხვევის შედეგად; კრიტიკული დაავადების შემთხვევის შედეგად, როდესაც დაზღვეული ხდება შრომისუუნარო სამუდამოდ ან დროებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო რისკების დაფარვა დამოკიდებულია სადაზღვევო ხელშეკრულებაზე და სადაზღვევო პოლისზე.

სიცოცხლის დაზღვევის სახეობები

მსოფლიოში სიცოცხლის დაზღვევა გრძელვადიანია. საქართველოში კი სადაზღვევო კომპანიები ხშირად ჭანმრთელობის დაზღვევის პოლისში აერთიანებენ სიცოცხლის მოკლევადიან დაზღვევას. რისკის განსაზღვრის კრიტერიუმების მიხედვით სიცოცხლის დაზღვევის სახეობებია: სიცოცხლის რისკობრივი დაზღვევა, სიცოცხლის დაგროვებითი და შერეული დაზღვევა.

სიცოცხლის რისკობრივი დაზღვევა არის გარკვეული დროის განმავლობაში გარდაცვალების შემთხვევის დაზღვევა. სადაზღვევო პაკეტის მოქმედების პერიოდში, დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია აუნაზღაუროს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

სიცოცხლის დაგროვებადი დაზღვევა არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში გარდაცვალების შემთხვევის დაზღვევა. სადაზღვევო კომპანია ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დროის ნებისმიერ პერიოდში. მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს უვადო და მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა. ხოლო იშვიათად გამოიყენება გრძელვადიანი ანუ საშუალოვადიანი დაზღვევა, ის ძირითადად ფორმდება გრძელვადიანი დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევის სახით. უდროოდ გარდაცვალება არ არის ერთადერთი ფინანსური პრობლემა, ასევე მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს დაოჯახება, სწავლის გადასახადები, დღესასწაულები და სხვა.

შერეული სიცოცხლის დაზღვევა ითვალისწინებს, როგორც გარკვეულ ასაკამდე მიღწევის დაზღვევას, ასევე დაზღვევას გარდაცვალების შემთხვევაში. სადაზღვევო კომპანია ვალდებულია დაზღვეულს გადაუხადოს სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გარდაცვალების შემთხვევაში, თუ იგი გარდაიცვალა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

სიცოცხლის უვადო დაზღვევა მიეკუთვნება დაგროვებითი დაზღვევის კატეგორიას. აღნიშნული პოლისით ადამიანებს შეუძლიათ დაიცვან საკუთარი ოჯახი, მისი გარდაცვალების შემდეგ ან გამონჯეული ეკონომიკური ზარალისაგან. დაზღვევას არ გააჩნია შეზღუდული ვადა, სადაზღვევო კომპანია იღებს ვალდებულებას ოჯახს გადასცეს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა დაზღვეულის გარდაცვალების შემდეგ გარკვეულ ვადებში.

მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა არის დროებითი საშუალება ოჯახის დაცვის თვალსაზრისით, სადაზღვევო პერიოდის გასვლის შემდეგ კვლავ დაუფარავი აღმოჩნდება ოჯახის ფინანსური ზარალი, მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ იგი გარდაიცვალა სადაზღვევო პერიოდის გასვლის შემდეგ. სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა ეფექტურია და იაფი, თუმცა დროის გასვლის და დაზღვეულის ასაკის მატებასთან ერთად, არაეფექტური და შესაბამისად უფრო ძვირი ხდება, რადგან 28-30 წლის ასაკიდან ადამიანის წლოვანების მატებასთან ერთად იზრდება მისი გარდაცვალების ალბათობაც (ერთი წლის განმავლობაში). სადაზღვევო კომპანია კი იძულებულია გაზარდოს სადაზღვევო პრემია, რადგან იგი ფასის დადგენას ახდენს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

სიცოცხლის გრძელვადიან დაზღვევას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მოკლევადიან დაზღვევას. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, წინასწარ დასახელებული ადამიანი, როგორც მისი მემკვირდე, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მიიღებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას. ასევე, მოკლევადიან სიცოცხლის დაზღვევისგან განსხვავებით, გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევა არის უფრო რთული და შინაარსიანი ფინანსური ინსტრუმენტი. სიცოცხლის ვადიანი პოლისის შექმნა შესაძლებელია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. რომლის სადაზღვევო პერიოდი ერთი წელია, აც შეეხება მაქსიმალურ სადაზღვევო პერიოდს, დამოკიდებულია დაზღვეულსა და სადაზღვევო კომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე. დაზღვეულის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 65 წელს, ხოლო თუ მომხმარებელს აქვს შექმნილი 5 წლიანი პოლისი და ამის შემდეგ მას კიდევ სურს დაზღვევის ვადის გაგრძელება, უნდა მოხდეს ახალი პოლისის შექმნა. შექმნილ ახალ პოლისს კი ექნება ახალი პირობები, რადგანაც მისი ასაკი უკვე იქნება გაზრდილი, ვიდრე წინა პოლისის ყიდვისას, ხოლო სადაზღვევო პოლისის პირობების განსაზღვრისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია დაზღვეულის ასაკი. საქართველოში არ არსებობს შემოსავლის დაცვის სქემა, თუმცა სიცოცხლის ვადიანი დაზღვევის პოლისის შექმნისას შესაძლებელია თავის დაზღვევა დაავადებებისგან დამატებითი დაფარვით. დამატებითი დაფარვის დროს დაზღვეული თუ კრიტიკული დავადების გამო დაკარგავს შრომისუნარიანობას დროებით ან სამუდამოდ, იგი აუცილებლად მიიღებს გარკვეულ ანაზღაურებას. სიცოცხლის მოკლევადიან დაზღვევას უწოდებენ „წმინდა რისკობრივ“ დაზღვევას და მას იყენებენ კონკრეტული მიზნებისთვის. ერთ-ერთია ოჯახის დაცვა. სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა იაფი და ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის. ევროპის წამყვან ქვეყნებში ასეთი სადაზღვევო პაკეტი მეტად პოპულარულია ახალგაზრდა ოჯახებისთვის. აღნიშნული სადაზღვევო პაკეტებით ისინი დაბალი გადასახადის მეშვეობით იძენენ გარანტიას, რომ უბედური შემთხვევისას მათი ოჯახები მიიღებენ რამდენიმე წლის შემდეგ ფინანსურ ანაზღაურებას. ასევე ცნობილია სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა. ხშირად ოჯახები, კერძო პირები ან ორგანიზაციები იღებენ სესხს სხვადასხვა მიზეზის გამო, რაც შეიძლება იყოს ბიზნესის დაწყება, მანქანის, სახლის, ავეჯის ან სხვა მნიშვნელოვანი ნივთის შექმნა. სესხის ამღებ ადამიანს ურჩევნია თანხის გადახდა გარკვეული დროის მანძილზე, ყოველთვიურად ან ყოველწლიურად დაფაროს განსაზღვრული სესხი. მოკლევადიან სესხებ-

თან ერთად არსებობს გრძელვადიანი სესხები, რომლის დაფარვის ვადა აღემატება 1 წელს. სესხის ხანგრძლივობის მიუხედავად, არსებობს იმის ალბათობა, რომ სესხის გარკვეული ნაწილი დარჩეს დაუფარავი, რადგან გარდაიცვალოს სესხის ამღები პიროვნება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს მიიღებს როგორც ბანკი და ასევე გარდაცვლილის ოჯახი. ასევე გამოიყენება პიროვნების მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა.

დასაქმებულთა სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა საქართველოში ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ აქვს დიდი პოტენციალი, რომ მყარად მოიკიდოს ფეხი ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე. სამედიცინო დაზღვევა არის მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის გარანტი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს სადაზღვევო პრემიებისა და ფულადი სახსრების აკუმულირების მეშვეობით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების თანხის ანაზღაურება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. საქართველოს ჯანმრთელობის სადაზღვევო ბაზარი, შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დავყოთ - კერძო და სახელმწიფო დაზღვევა. კერძო დაზღვევა ნებაყოფლობითია, რომელიც შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად (კორპორატიული) განხორციელდეს. მიუხედავად ცალკეული სადაზღვევო კომპანიების მცდელობისა, კერძო/ინდივიდუალური დაზღვევა სათანადოდ არაა განვითარებული. უფრო პოპულარულია კორპორატიული დაზღვევა, რომელიც პერსპექტივაში სადაზღვევო კომპანიების მხრიდან, მაქსიმალურად იქნება ათვისებული, შესაბამისად ინდივიდუალური დაზღვევაც განვითარდება.

სადაზღვევო კომპანიების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება, ამდენად, კომპანიების თავისუფალი ფულადი სახსრების წარმოქმნასა და მათ ინვესტირებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა. ამდენად, მიზანშეწონილია სახელმწიფომ სწორად განსაზღვროს ინვესტირების მიმართულებები და წესები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მონოპოლიების წარმოქმნა თავისი უარყოფითი შედეგებით.

სავალდებულო დაზღვევის პროდუქტები სადაზღვევო ინსტრუმენტებია, რაც იცავს მოსახლეობას ფინანსური ზარალისგან, ამდენად, დასაქმების და შემოსავლების დონის ზრდა და სახელმწიფოს მიერ დროებით სავალდებულო დაზღვევის შემოღება, რომელიც სამომავლოდ შეიცვლება დაზღვევის სახეობების ნებაყოფლობითი ფორმით, რაც მოსახლეობის ინტერესს დაზღვევის პროდუქტის მიმართ გაზრდის და ამაღლდება სადაზღვევო ბაზრის განვითარებისთვის საჭირო პარამეტრები.

სავალდებულო დაზღვევის შემოღება გაზრდის ბაზრის ათვისების წილს. მოქალაქეების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფაში არსებული პრობლემებს შორის ერთ-ერთია ბენეფიციართა დაბალი ინფორმირებულობა, დაავადებათა სკრინინგ კვლევების სიმცირე, მედიკამენტების მაღალი ფასი. აგრეთვე სადაზღვევო კომპანიების კონკურენტუნარიანობის არარსებობა, მოსახლეობის დაბალი შემოსავლები, რისკების შეფასების მეთოდების არასრულყოფილი გამოყენება და სადაზღვევო კომპანიების მიერ ვალდებულების არაჯეროვანი და არადროული შესრულება. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის პაკეტის შექმნა შეუძლია როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. სამედიცინო ჯანმრთელობის დაზღვევაში მოზიდული პრემია (2021 წელი - 305,5 მლნ ლარი), აღემატება სხვა სადაზღვევო სახეობებიდან მოზიდულ პრემიებს. ამასთან, წინა წლებთან შედარებით, ზრდა აღინიშნება სამედიცინო ჯანმრთელობის დაზღვევაში მოზიდული პრემიაში. მაგალითად, 2020 წელს მოზიდული პრემია იყო 267,6 მლნ ლარი, რაც 37,9 მლნ ლარით ნაკლებია 2021 წლის მონაცემებთან შედარებით. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 17% სარგებლობდა სამედიცინო დაზღვევით, ასევე, ზრდის ტენდენცია შეინიშნება სამედიცინო ჯანმრთელობის პოლისების რაოდენობაში - 2021 წელს მოქმედი სამედიცინო ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების რაოდენობა შეადგენდა 637 953. სამედიცინო ჯანმრთელობის დაზღვევაში მოზიდული სადაზღვევო პრემიის მიხედვით ლიდერი სადაზღვევო კომპანიებია - ჯიპიაი -84,7 მლნ ლარი; იმედიL- 62,1 მლნ; არდი-47,2 მლნ; ირაო-24 მლნ; პსპ-19,1 მლნ. <http://insurance.gov.ge>.

ლიდერი სადაზღვევო კომპანიები საქართველოში

დაზღვევის სახეობების მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევაში ყველაზე წარმატებულია და მეტი მოზიდული პრემიით, ლიდერობს **სს თიბისი დაზღვევა**, **სს სადაზღვევო კომპანია იმედი L** და **სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი**.

სს თიბისი დაზღვევა არის ერთ- ერთი ლიდერი კომპანია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სიცოცხლის დაზღვევას. მის მიერ მოზიდული პრემია სიცოცხლის დაზღვევაში არის 31.2 მლნ ლარი, რაც მთლიანის 52%ია. ერთ-ერთი პაკეტი, რომელსაც თიბისი მომხმარებელს სთავაზობს, არის სესხზე მიბმული სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევა. მაქსიმალური სადაზღვევო თანხის ანაზღაურება მსესხებლისთვის არის 500 000 აშშ დოლარი, მისი ეკვივალენტი ლარში ან ევროში. მზღვეველი არ ანა-

ზღაურებს მაქსიმალურზე მეტ თანხას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, მიუხედავად დარჩენილი საკრედიტო დავალიანებისა. კრიტიკული დაავადების დაზღვევის დროს “თიბისი” პოლისის შექმნიდან 90 დღის შემდეგ დაავადების აღმოჩენისა, იღებს ვალდებულებას გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა. სადაზღვევო პოლისის ღირებულება დამოკიდებულია სადაზღვევო ლიმიტსა და ადამიანის წლოვანებაზე (18-61წლამდე). (<https://tbcinsurance-website-fies.s3.eu-west1.amazonaws.com/wordings/TR-001-21.pdf>)

სს სადაზღვევო კომპანია ალდაგს სიცოცხლის დაზღვევაში თიბისის შემდეგ ყველაზე მეტი მოზიდული პრემია აქვს - 17,4 მლნ ლარი, რაც მთლიანის 29%-ია. ალდაგი საცალო და კორპორაციულ მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან და ინოვაციურ მომსახურებას სიცოცხლისა და ქონების დაზღვევის სფეროში. ალდაგის სიცოცხლის დაზღვევა გულისხმობს ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას და სადაზღვევო ლიმიტის სრულად გადაცემას. რაც უფრო მაღალია ადამიანის წლოვანება, მით უფრო ნაკლებია სადაზღვევო პერიოდი და სადაზღვევო ლიმიტი. მაგალითად, თუ 18 წლის ახალგაზრდისთვის სადაზღვევო პერიოდი 3-10 წლამდეა და სადაზღვევო ლიმიტი იყო 25 000-100 000 ლ., ეს მონაცემი განსხვავებულია 61 წლის ადამიანისთვის, ამ შემთხვევაში სადაზღვევო პერიოდი არის მხოლოდ 3 წელი და სადაზღვევო ლიმიტი კი - 25 000 და 50 000 ლარია. (www.aldagibci.ge).

სს სადაზღვევო კომპანია იმედი L - ინდივიდუალურ და კორპორატიულ მომხმარებელს სთავაზობს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევას უბედური შემთხვევისაგან. სადაზღვევო პოლისის შექმნა შესაძლებელია თვეში 12 ლარად. ოჯახი ფულად კომპენსაციას მიიღებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ფულადი თანხა კი განისაზღვრება სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად. 2021 წელთან შედარებით 2022 წელს გაზრდილია სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემია, რამაც სადაზღვევო კომპანიების მიხედვით შეადგინა - თიბისი -31,2 მლნ ლარი, ალდაგი-17,4 მლნ ლარი, იმედი L- 5,3 მლნ ლარი, ჭიპიაი ჰოლდინგი -2,7 მლნ ლარი, არდი- 1 მლნ ლარი (www.gpih.ge).

2020 წლიდან კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელებამ შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, ამავე დროს ბევრი ადამიანი დასნეულდა და მიიღო ფსიქოლოგიური თუ მორალური ზიანი ეკონომიკურ ზიანთან ერთად. საქართველოს მთავრობამ დროულად მიიღო შესაბამისი ზომები, რათა ვირუსის გავრცელების შანსები მინიმუმამდე დაეყვანა. შეიმუ-

შავა ანტიკრიზისული გეგმა, რომლის მეშვეობით თითქმის ყველა სფერო მიიღებდა ეკონომიკურ დახმარებას. COVID-19-ის გამო ყველაზე მეტი დატვირთვა მიიღო ჯანდაცვის სფერომ. მაქსიმალური დატვირთვით მუშაობდა ჰოსპიტლები, კლინიკები, სავადმყოფოები. მთავრობამ სრულად მოახდინა ჯანდაცვის სფეროს დახმარება, იმის მიუხედავად, რომ უამრავ ადამიანს ჰქონდა კერძო თუ საყოველთაო სადაზღვევო პაკეტი. მთავრობის დადგენილებით COVID-19-ით დაზარალებული ადამიანები სრულიად უფასოდ იღებდნენ გამოჯანმრთელებისთვის შესაბამის პროცედურებსა და ასევე უფასოდ მოხდა ადამიანების ვაქცინაცია, რამაც დიდი როლი შეასრულა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაში. პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, სადაზღვევო სექტორს არ მიუღია განსაკუთრებული ზიანი. პირიქით, მოზიდული პრემია გაიზარდა სიცოცხლის დაზღვევის სახეობაში - 2019 წლის მონაცემებთან შედარებით. 2020 წელს მოზიდული პრემია სიცოცხლის დაზღვევაში იყო 50,42 მლნ ლარი, ხოლო 2019 წელს 45,70 მლნ ლარი, რაც 4,72 მლნ ლარით ნაკლებია 2020 წელთან შედარებით. 2022 წლის ცხრა თვის მიხედვით, სადაზღვევო ბაზარზე სიცოცხლის დაზღვევას უჭირავს 7.82%. ბოლო პერიოდში, სიცოცხლის დაზღვევა მკვეთრად გაუმჯობესდა და ამავე წლის მონაცემებით, მოზიდული პრემიის ჯამურმა რაოდენობამ 55 100 000 ლარი შეადგინა. საქართველოში გაყიდული პოლისების 0.9%-ს იკავებს სიცოცხლის დაზღვევა, გერმანიაში კი ეს მაჩვენებელი 46%-ს უტოლდება, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოში ეს ბაზარი არ არის ათვისებული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად: არასატაბილური ეკონომიკა, არცთუ ისე დიდი სადაზღვევო კულტურა, საინვესტიციო ბაზრის განვითარების დაბალი დონე, ინფორმაციის ნაკლებობა, უნდობლობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2022).

დასკვნა

სტაბილური და სრულყოფილი სადაზღვევო სისტემა მნიშვნელოვანია ეკონომიკის აღორძინების, კაპიტალის დაბანდებისა და ინვესტიციების მოზიდვაში. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე აღინიშნება მოზიდული სადაზღვევო პრემიის ზრდა - ავტოდაზღვევაში, ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევაში. მზარდი მოზიდული სადაზღვევო პრემიის მიუხედავად, სიცოცხლის დაზღვევაში აუთვისებელი ნაწილი ძალიან დიდია. ამასთან, სიცოცხლის დაზღვევის დარგის განვითარებაში

შეინიშნება პრობლემები, როგორცაა: სადაზღვევო კომპანიების მიმართ მოსახლეობის უნდობლობა; მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირება სიცოცხლის დაზღვევის სფეროში; სადაზღვევო პაკეტების სიმწირე; მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა; სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონე და სხვა. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად მიზანშეწონილია მოსახლეობის ინფორმირება სიცოცხლის დაზღვევის სფეროში მიმდინარე სადაზღვევო პაკეტების შესახებ, შემოთავაზებული პროგრამები უნდა იყოს მარტივად აღქმადი; აუცილებელია, ასევე მოსახლეობამ გაითავისოს სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

- კაკაშვილი ნ., ბარბაქაძე ბ. (2021). სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ახალი ეკონომისტი, # 3-4 (62-63) ტ.16 გამომცემლობა „ლოი“. გვ. 33-41, HYPERLINK "https://l.facebook.com/l.php?u=http%3A%2F%2Fneweconomist.com.ge%2Fmedia%2Fdocuments%2F03-04-2021_-06.02.2022.pdf%3Ffbclid%3DIwAR2wrHePx9MBbWDF0pfeH-7jKQ89k-oUvnn4LaPmVoC7GeD-io3ZEq21_Cjo&h=AT2DXyl4X8heSKJh4TkPCy5aXv45ftQgme9EB6g_c6mATkhBNSS8-ELmADsV4iPW2NVwl_DmANsHAtLeVPkF7g1-NcSo-JHt23UVk67FoQzVO-xvKcTY1WfB9t74jmTXWM28d" \t "_blank" <http://neweconomist.com.ge/media/documents/03-04->
- კაკაშვილი ნ., კახნიაშვილი ნ. (2019). ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“, სამეცნიერო მასალების კრებული გვ.134-140. გამომცემლობა ბაქო, აზერბაიჯანი, 2019. eco.fin.geo@gmail.com <https://www.linkdein.com/in/davit-chaxvashvili/>
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური <http://insurance.gov.ge>. (ბოლო ნახვა 2023 წლის 4 აპრილი).
- კაკაშვილი ნ., შათირიშვილი ჯ. (2012). სადაზღვევო საქმე. სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ინოვაცია“, გვ. 436, თბილისი.
- www.aldagibci.ge. (ბოლო ნახვა 2023 წლის 4 აპრილი).
- www.gpih.ge. (ბოლო ნახვა 2023 წლის 4 აპრილი).
- საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, თბ., 1997.
- www.iraog.ge. (ბოლო ნახვა 2023 წლის 4 აპრილი).

References:

- Kakashvili N., Barbakadze K. (2021). *sitsotskhilis dazghvevis bazris ganvitarebis perspektivebi sakartveloshi* [Perspectives of the Development of Life Insurance in

Georgia. The New Economist, # 3-4 (62-63),T.16, publishing house „Loy“.] in Georgian <http://neweconomist.com.ge/media/documents/03-04->

- Kakashvili N., Kakhniashvili N. (2019). sadazghvevo produktების გაკიდვის inovatsiuri metodebi. [Innovative Insurance Products Selling Methods. International scientific conference “Science for practice and development”, collection of scientific materials p. 134-140. Baku Publishing House, Azerbaijan.] in Georgian
- sakhelmtsipo dazghvevis zedamkhedvelobis samsakhuri. [State Insurance Supervision Service. <http://insurance.gov.ge>. (last seen 4 April, 2023).] in Georgian
- Kakashvili N., Shatirishvili J. (2012). sadazghvevo sakme [Insurance Case. Handbook, publishing house “Innovation” , p. 436, Tbilisi .] in Georgian
- www.aldagibci.ge. (last seen 4 April, 2023). in Georgian
- www.gpih.ge. (last seen 4 April, 2023.) in Georgian
- sakartvelos kanoni dazghvevis shesakheb, [Law of Georgia on Insurance (1997).Tbilisi.] in Georgian
- www.iraog.ge. (last seen 4 April, 2023.) in Georgian

Insurance Packages in life Insurance

Nato Kakashvili

Assistant Professor

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

nato.kakashvili@tsu.ge

Financial support of life insurance is one of the priority and important tasks of the state, as human life is the most significant and valuable asset of the country's economy. In Georgia, life insurance is an unpopular field, because the interest of the population and the number of insured persons are small. Therefore, it is important to determine the state of the life insurance market and the ways of its development, as the population of Georgia suffers from a lack of information in terms of life insurance, thus it is necessary to regulate the prices of consumer-oriented life insurance services. The population has always needed and needs protection from financial losses, which contributed to the development and establishment of life insurance. During life insurance, in exchange for the payment of the insurance premium, in the case of the death of the beneficiary or reaching a certain age, the insured or the beneficiary will receive the sum determined by the contract by the insurer. In the case of life insurance, after the death of the insured, the amount is transferred to the named trustees, and compensation is

also provided in the case when the insured becomes seriously ill or is temporarily or permanently incapacitated as a result of an accident. Insurance companies reimburse the insurance amount in the following cases: death by natural causes; death as a result of an accident; As a result of an incident of critical illness, when the insured becomes permanently or temporarily incapacitated. Coverage of insurance risks by insurance companies depends on the insurance contract and the insurance policy.

The types of life insurance in the world are long-term. In Georgia, insurance companies often include short-term life insurance in their health insurance policies. According to the risk determination criteria, types of life insurance are distinguished, such as: life risk insurance; life accumulation and mixed life insurance. Each of them is characterized by the appropriate features. Life insurance and short-term life insurance are quite popular among the population. While long-term or medium-term insurance is rarely used, it is mainly sold in the form of long-term accumulative life insurance. Untimely death is not the only financial problem, marriage, tuition fees, celebrations, also require significant costs as well. Short-term life insurance is effective and cheap, however, with the passage of time and the increase of the insured's age, it becomes ineffective and therefore more expensive, because the probability of death (within one year) increases from the age of 28-30. The insurance company is forced to increase the insurance premium because it determines the price based on statistical data.

Short-term life insurance for employees is less common in Georgia, but it has a great potential to gain a firm foothold in the Georgian insurance market. A life credit insurance policy also protects the family from financial obligations, especially since most of the population of Georgia has a loan taken from a bank. If person dies before the expiration of the insurance period, he will receive a certain compensation. In developed countries, the minimum and maximum term of the insurance package is different, which is defined as 5-50 years. In Georgia, the term of the insurance package depends on the contract concluded between the insurance company and insured. In the insurance market of Georgia, there is an increase in the collected insurance premium - in auto insurance, property, health and life insurance. In the recent period, life insurance has improved dramatically, and according to the data of the same year, the total amount of collected premiums amounted to 55,100,000 GEL. Life insurance accounts for 0.9% of policies sold in Georgia, which is an indicator that this market is not utilized in Georgia. The reason for this can be, for example: unstable economy, not so great insurance

culture, low level of development of the investment market, lack of information, mistrust towards insurance companies. Despite the increasing insurance premiums collected, the unexploited portion in life insurance is very large. In addition, there are problems in the development of the life insurance industry, such as: distrust of the population towards insurance companies; less informed population in the field of life insurance; scarcity of insurance packages; economic situation of the population; high level of poverty and unemployment and others. In order to solve the mentioned problems, it is advisable to inform the population about the current insurance packages in the field of life insurance, the proposed programs should be easy to understand; It is also necessary for the population to understand the importance of life insurance in human life.

Keywords: *accumulative life insurance; life risk insurance; mixed life insurance; whole life insurance; short-term life insurance; long term life insurance; medical insurance.*

JEL Codes: *G20, G22, G28, G29*

შიდა აუდიტის განვითარების აქტუალური საკითხები

რუსუდან სხესელი

დოქტორი
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
rusamate@gmail.com

მზახდი კომპანიების სტაბილურობა და გიძვედადიანი განვითარება წახმორუდგენელია, თუ მახთვის სისტემაში, თუნდაც ახაფრომადრუხ დრონებუ, სათანადო ადგილს ახ იკავებუ ხისკის მახთვის. ეს დიდი ხანია ასახულია მხავადი ქვეყნის კოხპოხაციუდ სამახთადში, კოხპოხაციუდი მმახთვედობის კოდექსსა და კონკხეგუდი საქმიანობის სფეხოს (მაგადიოთად, საბანკო საქმიანობა, საჯახო სექტოხი) საფეხთაშოხისო და ეხოვნუდ მახეგუდიხებედ დოკუმენტებში.

ხისკის მახთვის კომპანიის სტრატეგიუდი ინსტრუმენტის მიმახთინტეხეხის განსაკუთხებით გაიზახდა ბოლო პეხიოდის კოხპოხაციუდი სკანდალების ფონზე, ხაც XX საუკუნის ბოლოს დანიწყო და წახმოარინა, ხა შედუდი შეიძლება მოჰყვეს ხისკის ახადექვატუხ მახთვისას.

ხისკის მახთვის, ხოგოხც ეხთ-ეხთი მთავახი ხგოდი, შიდა აუდიტის განვითარების საწყის ეტაპზე ჩამოყადიბდა და განვითარდა მენექტმენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებად. წახმატებუდი შიდა აუდიტოხებისათვის კომპანიის მენექტმენტის მიზნები წახმოადგენს მათი რპეხაციუდი საქმიანობისა და მისი დაგეგმვის რეხინტეხის. აუდიტის მიზნები ისე უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მენექტმენტის მიზნებთან, ხომ აუდიტოხებს შეეძლოთ შექმნან დამატებითი სახებუდი მენექტმენტის მიეხ მნიშვნელოვნად მიჩნუდ სფეხოების წახმატებისთვის.

ბოლო პეხიოდში, შიდა აუდიტის სფეხოში დასაქმებუდი სპეციალისტები კოხპოხაციუდი სკანდალების და Covid 19-ის პანდემიით გამოწვეუდ სიხთუდებებს წაწყედნენ. მათ მოუწიათ, გადაეხედათ აქამდე შემუშავებუდი პრეტეკონსათვის და ახად გახემოში ადაპტაციისთვის უფრო მოქნილები გამხდაიყვენ.

ზემოთ აღნიშნუდიდან გამომდინახე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ სტრატეგის მიზანი და რბიექტი ყოფიდიყო შიდა აუდიტის წინაშე მდგახი გამომწვევები და მათი გადაჭხის გზების ანადიზი.

საკვანძო სიგყვები: შიდა აუდიტი, ხისკის კონტოდი, კოვიდ 19, დინანსუხი და რპეხაციუდი ხისკი, კიზისის მახთვის ხისკი.

შესავალი

შიდა აუდიტორის პროფესია, მმართველობით მეცნიერებათა განვითარებასთან ერთად, ჯერ კიდევ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარდება. ეს გამომწვეული იყო ბიზნესის ქაოტური განვითარებით, კომპანიების გამსხვილებით და მათი საოპერაციო საქმიანობის დეცენტრალიზებით (სრესელი, 2017, 4).

შიდა აუდიტმა განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. მისი თავდაპირველი ფუნქცია იყო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება და ანალიზი, რაც თანდათან რისკ-მენეჯმენტის მექანიზმად გარდაიქმნა, რითაც უზრუნველყოფა რისკის შემცირება და მათ გარკვეულ ფარგლებში მოქცევა. ჩამოყალიბდა შეფასების ახალი ობიექტი - კორპორატიული მმართველობისა და რისკის მართვის სისტემების სახით. შიდა აუდიტის ფუნქციების, მიზნებისა და ამოცანების გაფართოებასთან ერთად გაიზარდა მფლობელების, აქციონერებისა და მენეჯერების მოთხოვნები და ინტერესი მის მიმართ.

შიდა აუდიტორული შემოწმების თეორია არსებითად ჩამოყალიბდა ლოურენს სოიერმა (1911-2002) და, სწორედ ამიტომ, მას ხშირად თანამედროვე შიდა აუდიტის და მისი ფილოსოფიის მამად მოიხსენიებენ.

შიდა აუდიტორთა ინსტიტუტს, რომელიც 1941 წელს ჩამოყალიბდა, ერთი მეტად თავისებური პრაქტიკა აქვს. დაარსების მომენტიდან ინსტიტუტი შეიმუშავებს და აქვეყნებს შიდა აუდიტის დეფინიციის საკუთარ, ოფიციალურ ვერსიას. ამით ინსტიტუტი ცდილობს, ხელი შეუწყოს შიდა აუდიტის პროფესიის აღქმას, რომელიც დელეგირებული მანდატის ფარგლებში თავის მთავარ `კლიენტებს- საჭირო დროს აწვდის საჭირო ინფორმაციას და ეხმარება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.. შიდა აუდიტის დეფინიციის შემუშავების ბოლო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიოში `გაბნეულ- შიდა აუდიტორთა მოწინავე პრაქტიკის ანალიზს, ინსტიტუტმა 1997 წელს დაიწყო. 1999 წლის ივლისში სპეციალურმა სამუშაო-ჯგუფმა წარმოადგინა ახალი (დღემდე მოქმედი) შიდა აუდიტის დეფინიცია. 2000 წლის დეკემბერში, აღნიშნული დეფინიციის საფუძველზე, ინსტიტუტმა დაამტკიცა შიდა აუდიტის პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტები, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პრაქტიკული მითითებების საფუძველს. ამ დოკუმენტების გათვალისწინება სავალდებულოა ინსტიტუტის წევრი შიდა აუდიტორებისთვის.

1947 წლიდან თითქმის უცვლელი სახით არსებული დეფინიციის მიხედვით, შიდა აუდიტი წარმოადგენდა დამოუკიდებელ შემფასებელ საქმიანობას (appraisal activity), რომელიც რისკის მართვას რაიმე განსაკუთრებულ როლს და ადგილს არც შიდა აუდიტის და არც კომპანიის საქმიანობაში არ ანიჭებდა. ახალი დეფინიციის მიხედვით კი - შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი, ობიექტური მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა. მისი დანიშნულებაა შექმნას დამატებითი ღირებულება და გააუმჯობესოს ორგანიზაციის ოპერაციული საქმიანობა. შიდა აუდიტი ეხმარება ორგანიზაციას მიაღწიოს დასახულ მიზნებს იმის საშუალებით, რომ იყენებს სისტემატურ, მონესრიგებულ მიდგომას და აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, შიდა კონტროლის და მმართველობის პროცესების ეფექტურობას (<https://www.theiia.org/en/standards/what-are-the-standards/definition-of-internal-audit/>).

ახალ დეფინიციაში, შიდა აუდიტის ფუნქციას, მარწმუნებელ მანდატთან ერთად, მიენიჭა საკონსულტაციო მანდატი, ხოლო რისკის მართვის პროცესები (ისევე, როგორც შიდა კონტროლი და მმართველობით სისტემა) შიდა აუდიტისთვის გახდა საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, სადაც მისი ძალისხმევა დამატებითი სარგებლის მომტანი იქნება. ამდენად, ახალ დეფინიციაში, ფაქტობრივად, საყოველთაოდ გაცხადდა, რომ შიდა აუდიტის განვითარების მიმდინარე ეტაპზე მის საქმიანობაში რისკზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება ყველაზე ოპტიმალური სტრატეგიაა.

შიდა აუდიტორის პროფესია უფრო გავლენიანი და დაფასებული ამერიკის შეერთებულ შტატებში სარბენის-ოქსლის (SOX) 2002 წლის აქტის ამოქმედების შემდგომ გახდა. სარბენის-ოქსლის აქტის განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შიდა აუდიტის სფეროს წარმატებისთვის, რამდენადაც არაერთი შიდა აუდიტორი ფლობდა კომერციული საწარმოებისთვის საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებაში დახმარების აუცილებელ უნარებს (sreseli n, 2017). მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით საჭარო კომპანიების ფოკუსირება სარბენ-ოქსლის აქტის მიმართ ფინანსურ პრობლემებსა და პროცედურებთან დაკავშირებით წარუმატებელი აღმოჩნდა. 2010 წლიდან, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტმა კვლავ დაიწყო თავისი შეხედულების პოპულარიზაცია კორპორაციულ გარემოში შიდა აუდიტორების უფრო აქტიური როლის შესახებ.

შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც შიდა აუდიტის გავლენა გაიზარდა, იყო 2019 წელს გავრცელებული კოვიდ 19-ის პანდემია. პანდე-

მიის გამო განვითარებული გარკვეული შეფერხებები, ერთი მხრივ, დამბრკოლებელ ფაქტორად იქცა შიდა აუდიტის ჩასატარებლად, მეორე მხრივ, შიდა აუდიტორებს საშუალება მისცა გადაეხედათ აქამდე არსებული პრაქტიკისთვის (საბაური, 2021, 306). პანდემიამ გამოავლინა, რომ კომპანიის მენეჯმენტი პანდემიის ნეგატიური შედეგების შესამსუბუქებლად, ხოლო შიდა აუდიტორები პანდემიით გამოწვეული შეფერხების პირობებში აუდიტორული პროცედურების ჩასატარებლად არ იყვნენ მზად.

მენეჯერები პანდემიას, ე.ი. გარე ფაქტორს, ადანაშაულებდნენ იმაში, რომ თავიანთი მოვალეობები ვერ შეასრულეს, თუმცა პანდემიამ გამოავლინა მენეჯმენტის არასაკმარისი მომზადების დონე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ემპირიულად არ არის დადასტურებული.

Covid 19-ის პანდემიამ გამოავლინა მენეჯმენტის სისუსტე ფინანსური და ოპერაციული რისკის მართვასა და თავისი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების დროს. პანდემიის პერიოდში შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ გარკვეული ცვლილებები სამუშაო პრაქტიკაში. კერძოდ, ქვემოთ აღწერილია კომპანიის რისკი პანდემიის პირობებში და ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაზეც შიდა აუდიტორმა უნდა გაამახვილოს ყურადღება.

ფინანსური რისკი - ეპიდემიამ არაერთი კომპანია დააყენა სერიოზული ფინანსური სირთულეების წინაშე. ფულადი ნაკადები და დაფინანსების ხელმისაწვდომობა სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა. პროდუქციის რეალიზაციამ და შემოსავლებმა გლობალურ დონეზე დაიკლო და სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკამ სერიოზული კრიზისი განიცადა, შესაბამისად, ბევრი კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას შეექმნა სერიოზული პრობლემები.

ამ პირობებში შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ, რამდენად ეფექტურად უმკლავდება კომპანიის მენეჯმენტი ფინანსურ რისკებს. შეფასების ობიექტი შეიძლება იყოს კომპანიის საინვესტიციო პორტფელი, შიდა კონტროლის და ფინანსური ანგარიშგების პროცესები და ლიკვიდურობის რისკის მართვა (ვილი 2021). მნიშვნელოვანია, რომ შიდა აუდიტის პროგრამა და პროცესები ამ რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით იყოს განახლებული.

ოპერაციული რისკი - მიწოდების ჯაჭვის შეფერხება - სამუშაო საათების ცვლა სოციალური იზოლაციის გამო და რეგულაციების შეცვლასთან დაკავშირებული სირთულეები, შეფერხებები გამოწვეული სამუშაო

პროცესის, თანამშრომლების ან სისტემის არაეფექტურობის/ ხარვეზის გამო - ეს ყველაფერი პანდემიის კონტექსტით არის კომპანიის ოპერაციების განხორციელების პოტენციური დაბრკოლებების მაგალითი.

ოპერაციული რისკის აღმოფხვრის ფარგლებში, შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის დონე. ამის გათვალისწინებით, შიდა აუდიტორებმა უნდა მიმოიხილონ რისკის მართვის პროცესების ეფექტურობა, ხარისხის უზრუნველყოფის დონე, ბიზნესპროცესები და მომხმარებელთა კმაყოფილება, რის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებით დაეხმარებიან მენეჯმენტს მსგავსი პრობლემების თავიდან აცილებაში.

კიბერუსაფრთხოების რისკი - თანამშრომლების გაზრდილმა დამოკიდებულებამ ციფრულ ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციებზე Covid 19-ის პანდემიის დროს, გაზარდა კომპანიის კიბერუსაფრთხოების რისკი. ამრიგად, კიბერდამინაშავეებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ კომპანიის კომპიუტერული დაცვის სუსტი სისტემით.

შიდა აუდიტორებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული კომპანიის წინაშე მდგარი კიბერ საფრთხეები. ეს შეიძლება მოიცავდეს კომპანიის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების, მონაცემთა დაცვის ზომების და IT ინფრასტრუქტურის მიმოხილვას.

კრიზისის მართვის რისკი - თანამშრომლების, მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანიებს უნდა ჰქონდეს შემუშავებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები. Covid 19-ის პანდემიის შემთხვევაში ასევე საჭირო გახდა რისკის შერბილებისა და გადაუდებელი ღონისძიებების გეგმების შემუშავება შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ კომპანიის კრიზისების მართვისა და რეაგირების პროცედურების ეფექტურობა. ეს პროცესი შეიძლება მოიცავდეს შიდა კონტროლის მიმოხილვას, რისკის მართვის სახელმძღვანელოს, კომუნიკაციის გეგმებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცედურებს.

მიწოდების ჯაჭვის რისკი - პროდუქციის მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული რისკი პანდემიის გამო გაიზარდა. ასეთი შესაძლო შეფერხებების მაგალითებია: არასაკმარისი მარაგი, დაგვიანებული მიწოდება, პროდუქტის ფასების ცვალებადობა, პარტნიორებისა და მომწოდებლების ბიზნესარასტაბილურობა. მიწოდების ჯაჭვის რისკის მართვის პროცესების ეფექტურობა - ეს ის საკითხებია, რომლებზეც შიდა აუდიტორებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება.

ფინანსური თაღლითობის რისკი - ფინანსური თაღლითობის შესაძლებლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ეპიდემიით გამოწვეული ფინანსური პრობლემების გამო. ონლაინ და ციფრული ტრანზაქციების ზრდასთან ერთად, ბიზნესი უფრო დაუცველი ხდება თაღლითობის მიმართ, რაც შეიძლება დამლუპველი იყოს ბიზნესისა და ბრენდის იმიჯისთვის. შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ კომპანიის რისკის მართვის პროცედურების ეფექტურობა და ფინანსური თაღლითობის ალბათობა. როგორც ამ პროცესის ნაწილი, შეიძლება შემომხედეს ფინანსური კონტროლი და სისტემები, მომხმარებელთა იდენტიფიკაციის სტრატეგიები და ფინანსური მონიტორინგის აქტივობა.

შესაბამისობის რისკი - პანდემიამ ასევე გამოიწვია ბიზნესსექტორში შეუსაბამობის ალბათობის ზრდა. შეიძლება შეიცვალოს კანონები და რეგულაციები, მომხმარებლის მოლოდინები და დაირღვეს კონტრაქტები. შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ, თუ რამდენად კარგად მართავს კომპანია რისკებს და არღვევს თუ არა ის რომელიმე კანონს. ეს შეიძლება მოიცავდეს კომპანიის შიდა კონტროლის, სისტემების, აუდიტისა და მონიტორინგის პროცესების, შესაბამისობის პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვას.

Covid 19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც შიდა აუდიტორებს ნაკლებად ჰქონდათ საშუალება ჩაეტარებინათ კომპანიის შიდა აუდიტი უშუალოდ ადგილზე, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა ხელოვნური ინტელექტის (Artificial intelligence AI) გამოყენებას უშუალოდ აუდიტის პროცესში. ამისათვის აუდიტორის უნარი და კვალიფიკაცია უნდა განვითარდეს და არ ჩამორჩეს ციფრული რევოლუციის ტენდენციებს. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის უზარმაზარი პოტენციალის გათვალისწინებით, შიდა აუდიტორებისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ გამოიყენება AI აუდიტში და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან შიდა აუდიტის პროცესზე. ქვემოთ განვიხილავთ არაერთ მიღწევას და გამოწვევას, რაც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიამ მოუტანა შიდა აუდიტს.

მონაცემთა ანალიზის ეფექტურობის გაზრდა - ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შესაძლებლობა, მნიშვნელოვნად გაზარდოს მონაცემთა დამუშავების ეფექტურობა, ერთ-ერთი ყველაზე აშკარა უპირატესობაა შიდა აუდიტისთვის. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია უზარმაზარი რაოდენობის მონაცემების გაანალიზება წარმოუდგენელი სი-

ზუსტი და ეფექტურობით. მას ასევე შეუძლია სხვადასხვა ამოცანის ავტომატიზაცია, შრომატევადი და რთული პროცესების გამარტივება, რითაც შემცირდება მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დრო და ხარჯები. ხელოვნური ინტელექტი ასევე სთავაზობს აუდიტორებს „ნიეტ-რალურ“ პერსპექტივას, რადგან მასზე გავლენას არ ახდენს ადამიანური გრძნობები ან ცრურწმენები. ის შეიძლება დაპროგრამირდეს იმგვარად, რომ ფოკუსირდეს ერთ საკითხზე და სწრაფად მოიძიოს მონაცემები ისე, როგორც ვერცერთი ადამიანი ვერასოდეს შეძლებს. მის გაუმჯობესებულ ეფექტურობასა და სიზუსტეს შიდა აუდიტის პროცესის შეცვლის პოტენციალი აქვს.

რისკის გამოვლენის გაუმჯობესებული შესაძლებლობები - აუდიტის ინდუსტრია მზად უნდა იყოს, გამოავლინოს და უპასუხოს იმ მოვლენებს, რომლებიც ადრე არ იყო აღმოჩენილი, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება მონაცემთა დიდი რაოდენობის შესაფასებლად თაღლითური ქმედებების აღმოსაჩენად, რასაც ადგილი აქვს რთულ ფინანსურ სისტემებში. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მონაცემების დიდი რაოდენობის ანალიზი ტენდენციებისა და კავშირების მოსაძიებლად, რაც შეიძლება მიუთითებდეს თაღლითურ ქცევაზე. თაღლითური სქემების სწრაფი იდენტიფიცირება აუდიტორებს საშუალებას აძლევს, გააუმჯობესონ აუდიტის ანგარიშების ეფექტურობა და სიზუსტე.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შესაძლოა გააუმჯობესოს აუდიტის ანგარიშები და შედეგები. შიდა აუდიტის პროცესის დროს შესაძლებელია უზარმაზარი რაოდენობის მონაცემების იდენტიფიცირება, რაც ადრე შეუძლებელი იყო მხოლოდ ადამიანური რესურსების გამოყენებით (ვილი 2021). შედეგად, აუდიტორებს საშუალება ექნებათ, შეამოწმონ უფრო მეტი ტრანზაქცია და შესაძლოა დაადგინონ ან გააფართოვონ რისკის არეალი. ამან შეიძლება გააუმჯობესოს შიდა აუდიტის შედეგები და, შესაბამისად, უფრო ეფექტური გახდეს კომპანიის მენეჯმენტისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია.

რამდენადაც იზრდება ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება აუდიტში, შიდა აუდიტის განყოფილებებმა უნდა გადახედონ თავიანთ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას. აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ საფუძვლიანი ცოდნა აუდიტის პროცესისა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების შესახებ, რათა თავიანთი ამოცანები ეფექტურად შეასრულონ. ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნება დასაქმების ახალი კატეგორიები. ხელოვნური

ინტელექტის სისტემების გავრცელებასთან ერთად გაიზრდება მოთხოვნა ამ საკითხებში გათვითცნობიერებულ აუდიტორებზე.

რისკის მართვა - ხელოვნური ინტელექტის განვითარებასა და გავრცელებასთან ერთად, შეიცვლება რისკის გარემო, რაც აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ. ადამიანებისგან განსხვავებით, ხელოვნური ინტელექტის სისტემას შეუძლია როგორც ავტონომიური მოქმედება, ასევე კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება და ანალიზი. შედეგად, შიდა აუდიტორებს მოუწევთ, დაეუფლონ კიბერრისკის იდენტიფიცირების, შეფასების და რაოდენობრივი აღწერისთვის საჭირო უნარებს, ინსტრუმენტებსა და მეთოდოლოგიას.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გაჩენამ და სწრაფმა ზრდამ გარდაქმნა შიდა აუდიტის სექტორი. შიდა აუდიტის პროცესი აწყდება ახალ და უჩვეულო გამოწვევებს, როგორცაა აუდიტორის პასუხისმგებლობის ცვლილება და რისკის შემცველი დინამიკური გარემო. თანამედროვე ციფრულ ეპოქაში გადარჩენის და განვითარების მიზნით შიდა აუდიტის სექტორმა უნდა გააცნობიეროს ეს ცვლილებები და გამოწვევები და მოემზადოს მათ დასაძლევად. თუ შიდა აუდიტის სექტორს სურს, წარმატებით მართოს წარმოქმნილი რისკი, შესაძლებლობები და გამოწვევები, ის უნდა მოერგოს ცვლილებების სწრაფ ტემპს, რაც გამოწვეულია მიღწევებით ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიაში.

დასკვნა

შიდა აუდიტი პროგრესირდა მარტივი ფინანსური ჩანაწერების შემოწმებიდან და დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია კომპანიისთვის თაღლითობის და რისკის აღმოჩენის პროცესში. თანამედროვე ეტაპზე შიდა აუდიტის დახმარებით იზოგება კომპანიის რესურსები, იმართება სხვადასხვა რისკი, უზრუნველყოფილია მონაცემთა შესაბამისობა და ანალიზი.

შიდა აუდიტორის პროფესია უფრო გავლენიანი და დაფასებული ამერიკის შეერთებულ შტატებში სარბენის-ოქსლის (SOX) 2002 წლის აქტის ამოქმედების შემდგომ გახდა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შიდა აუდიტის სფეროს წარმატებისთვის. ბოლო პერიოდში მსოფლიოში განვითარებულმა ბიზნესმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, ასევე კოვიდ 19-ის პანდემიამ, გავლენა მოახდინა კომპანიების საქმიანობაზე, რამაც ამავე დროს სათავე დაუდო მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდს.

მუდმივად განვითარებად ბაზარზე, სხვადასხვა სექტორის ბიზნესს უწევს საქმიანობის მართვის ან რესტრუქტურისაციის კომპლექსურ გამოწვევებთან გამკლავება. ეს დიდ გავლენას ახდენს შიდა აუდიტზეც, რადგან მას ახალ პირობებთან ადაპტირება უწევს.

შიდა აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ როგორ შეცვალა მსოფლიო კრიზისებმა შიდა აუდიტის პრინციპები და საოპერაციო პროცედურები. მათ ასევე უნდა განიხილონ კრიზისებით გამოწვეული უამრავი სხვა საფრთხე, როგორცაა, მაგალითად, პირადობის მონაცემების გამჟღავნების და კიბერსაფრთხეები.

შიდა აუდიტორებმა უნდა გააცნობიერონ ისეთი მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გამოწვევები, როგორცაა AI. ხელოვნური ინტელექტს აქვს პოტენციალი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს აუდიტის პროცესები და გაზარდოს ნდობა კორპორატიული მმართველობის მიმართ. კომპანიის დასაცავად შიდა აუდიტის განყოფილებამ უნდა გაითვალისწინოს მონაცემების კონფიდენციალურობის პრობლემები, რაც გამოწვეულია ახალი ტექნოლოგიის დანერგვით. შიდა აუდიტორებმა უნდა გააცნობიერონ გარემოს ცვალებადობა და მოახდინონ თავიანთი პროცესების ადაპტირება ახალი საფრთხეების გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

- საბაური ლ. (2018). აუდიტორიული ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.
- <https://bit.ly/43pWuU4> (ბოლო ნახვა 06/08/2023).
- საბაური ლ. (2021). შიდა აუდიტის შეცვლილი როლი COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული გვ.306-312
- <https://bit.ly/42wuGMB> (ბოლო ნახვა 06/08/2023).
- სრესელი ნ. (2017) Значение внутреннего аудита и перспективы развития. „International Scientific and Practical Conference“, „World Science“ # 8 (24) Vol.2, გვ. 4-6 SSN 2413-1032 <http://ws-conference.com/>.
- სრესელი რ. (2018). შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობის შეფასების მეთოდის ზოგიერთი საკითხი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

“გლობალიზაციის გამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, თბილისი, გვ.374-378 .

- საქართველოს კანონი (2011). სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ.
- საქართველოს კანონი (2016). ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (2016). ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე, №223.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება (2016). შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, №593.
- საქართველოს მთავრობის განკარგულება (2010). შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ, №1013.
- საქართველოს მთავრობის განკარგულება (2010). შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, №1014.
- საქართველოს მთავრობის განკარგულება (2010). შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, №1014.
- Al-Okaily, M. Alqudah, H. M. Al-Qudah, A. A. & Alkhwaldi A. F. (2022) Examining the Critical Factors of Computer-Assisted Audit Tools and Techniques Adop in the Post-COVID-19 Period: Internal Auditors Perspective. VINE Journal of Information and Knowledge Management Systems, (ahead-of-print).
- Bajary A. R., Shafie R. & Ali A. (2023). COVID-19 Pandemic, Internal Audit Function and Audit Report Lag: Evidence from Emerging Economy. Cogent Business & Management, 10(1), 2178360.
- Willy S. (2021). The Effect of Remote Audit and Agility on the Performance of the Internal Audit (SPI) During the Covid-19 Pandemic to Realize Good Corporate Governance (GCG). Asian Journal of Law and Governance, 3(3), 19-24.
- Eulerich M., Wagener M. & Wood D. A (2021). Evidence on Internal Audit Effectiveness From Transitioning to Remote Audits because of COVID-19. Available at SSRN 3774050.
- Eulerich M., Wagener M. & Wood D. A. (2022) Evidence on Internal Audit Quality from Transitioning to Remote Audits because of COVID-19. Journal of Information Systems.
- Kljajić M., Mizdraković V. & Hadrović-Zekić B. (2022) Internal Audit in the COVID-19 Environment: Key Aspects and Perspectives of Remote Auditing. The European Journal of Applied Economics, 19(1), 30-41.
- Martinelli M.O., Friedman A. E. & Lanz J. (2020). The Impact of COVID-19 on Internal Audit. The CPA Journal, 90(6), 60-63.
- Pazarskis M., Koutoupis A., Kyriakou M. & Galanis S. (2021). Corporate Governance & Internal Audit at Greek Municipal Enterprises in the COVID-19 era. Corporate Governance: A Search for Emerging Trends in the Pandemic Times, 119-125.

- Putra D. G. (2021). Pendekatan Remote Auditing Untuk Internal Audit Dalam Mendeteksi Kecurangan (Fraud) Pada Masa Pandemi Covid-19. *Jurnal Ecogen*, 4(1), 1-9.
- Serag A. A. E. M., & Daoud M. M. (2021). Remote Auditing: An Alternative Approach to Face the Internal Audit Challenges During the COVID-19 Pandemic. , 25(2), 228-259.
- https://saras.gov.ge/Content/files/ISQC_1_2018.pdf (ბოლო ნახვა 06/08/2022)

References:

- Sabauri L. (2018). auditoriuli organizatsiis sakmianobis shida kontrolis aktualuri sakitkhebi. [Active Issues of Internal Control of Audit Company. III International Scientific Conference: "Challenges of Globalization in Economics and Business".] in Georgian
- <https://bit.ly/43pWuU4> . (last seen 06/08/2023).
- Sabauri L. (2021). shida auditis shetsvlili roli COVID-19-it gamotsveuli pandemiis pirobebshi. [The Modified Role of Internal Audit in COVID-19 Pandemic Conditions. VI International Scientific Conference: "Challenges of Globalization in Economics and Business". pp.306-312.] in Georgian
- <https://bit.ly/42wuGMB> (last seen: 06/08/2023).
- Sreseli N. (2017). Znachenije vnutrennego audita i perspektivy razvitiya. [Importance and Development of Internal Audit. „International Scientific and Practical Conference“, „World Science“ # 8 (24) Vol.2, pp. 4-6.] in Russian
- <http://ws-conference.com/> SSN 2413-1032
- Sreseli R. (2018). shida auditis sistemis epektianobis shepasebis metodikis zogierti sakitxi, [Methods of Evaluating the Efficiency of Internal Audit System. - III International Scientific Conference: "Challenges of Globalization in Economics and Business", Tbilisi, 2018, pp. 374-378.] in Georgian
- Georgian law (2011). About State Internal Control.
- Georgian law (2016) – Accounting, Reporting, and Financial Audit.
- Order of the Minister of Finance of Georgia (2016). On Approval of the Regulations of the Accounting, Reporting and Audit Supervision Service, No. 223.
- Resolution of the Government of Georgia (2016). On Approval of Internal Audit Methodology, No. 593.
- Decree of the Government of Georgia (2010). On the Approval of Guidelines for Internal Auditors, No. 1013.
- Decree of the Government of Georgia (2010). On Approval of Internal Audit Methodology, No. 1014.
- Al-Okaily M., Alqudah H. M., Al-Qudah A. A. & Alkhwaldi A. F. (2022). Examining the Critical Factors of Computer-Assisted Audit Tools and Techniques Adopt in the Post-COVID-19 Period: Internal Auditors Perspective. *VINE Journal of Information and Knowledge Management Systems*, (ahead-of-print).

- Bajary A. R., Shafie R. & Ali A. (2023). COVID-19 Pandemic, Internal Audit Function and Audit Report Lag: Evidence from Emerging Economy. *Cogent Business & Management*, 10(1), 2178360.
- Willy S. (2021). The Effect of Remote Audit and Agility on the Performance of the Internal Audit (SPI) During the Covid-19 Pandemic to Realize Good Corporate Governance (GCG). *Asian Journal of Law and Governance*, 3(3), pp.19-24.
- Eulerich M., Wagener M. & Wood D. A (2021). Evidence on Internal Audit Effectiveness From Transitioning to Remote Audits because of COVID-19. Available at SSRN 3774050.
- Eulerich M., Wagener M. & Wood D. A. (2022) Evidence on Internal Audit Quality from Transitioning to Remote Audits because of COVID-19. *Journal of Information Systems*.
- Kljajić M., Mizdraković V. & Hadrović-Zekić B. (2022) Internal Audit in the COVID-19 Environment: Key Aspects and Perspectives of Remote Auditing. *The European Journal of Applied Economics*, 19(1), pp.30-41.
- Martinelli M.O., Friedman A. E. & Lanz J. (2020). The Impact of COVID-19 on Internal Audit. *The CPA Journal*, 90(6), pp.60-63.
- Pazarskis M., Koutoupis A., Kyriakou M. & Galanis S. (2021). Corporate Governance & Internal Audit at Greek Municipal Enterprises in the COVID-19 era. *Corporate Governance: A Search for Emerging Trends in the Pandemic Times*, pp.119-125.
- Putra D. G. (2021). Pendekatan Remote Auditing Untuk Internal Audit Dalam Mendeteksi Kecurangan (Fraud) Pada Masa Pandemi Covid-19. *Jurnal Ecogen*, 4(1), pp.1-9.
- Serag A. A. E. M., & Daoud M. M. (2021). Remote Auditing: An Alternative Approach to Face the Internal Audit Challenges During the COVID-19 Pandemic. , 25(2), pp.228-259
- https://saras.gov.ge/Content/fi/es/ISQC_1_2018.pdf (last seen: 06/08/2023).

Important Issues of Internal Audit Development

Rusudan Sreseli

PhD student

Iv. Javakhishvili, Tbilisi State University
rusamate@gmail.com

The stability and long-term development of growing companies is unthinkable if risk management does not take a proper role in the management system, even at the informal level. This has long been reflected in the corporate law of a number of countries, in the code of corporate governance and in the international and national regulatory documents of specific fields of activity (e.g., banking, public sector).

Interest in risk management as a company's strategic tool has increased particularly in light of recent corporate scandals that commenced at the end of the last century and demonstrated the consequences of inadequate risk management.

Risk management, as one of the main links, was formed at the initial stage of internal audit development and established to meet management requirements. For successful internal auditors, the management objectives of a company are the guidelines for their operational activities and planning. Audit objectives should be aligned with management objectives so that auditors can add value in areas that management considers critical to success (Sreseli N, 2017).

Recently, specialists working in the field of internal audit have encountered difficulties caused by corporate scandals and the Covid-19 pandemic. They had to rethink the methods developed so far and become more flexible to adapt to the new environment (Sabauri L., 2021).

In particular, the pandemic revealed that most company management and internal audits were not prepared to mitigate the negative consequences of the pandemic. Managers blamed an external factor, in this case the pandemic, for failing to fulfil their responsibilities, although the pandemic revealed a lack of management training, although this has not been empirically proven. On the other hand, the internal auditors were not ready to conduct audit procedures in the conditions of disruption caused by the pandemic.

The COVID-19 pandemic has revealed weakness of management in administering financial and operational risks as well as its readiness to meet its legal obligations during the pandemic. Because of the potentially significant impact on company operations, internal auditors have to make some adjustments of their practices. In particular, the company's risks during the pandemic and the important factors that the internal auditor should focus is outlined in article. Internal auditors shall take into consideration how the global crises have changed internal audit practices and procedures. It was necessary to assess the effectiveness of the company's internal controls and procedures in overcoming the obstacles caused by the pandemic. It has also become particularly important for internal audit to address many other threats posed by crises, such as identity disclosure and cyber threats.

In the context of the COVID-19 pandemic, when internal auditors had less opportunity to conduct internal audits of the company directly on site, even more importance was attached to the use of artificial intelligence (AI) directly in the

audit process. To this end, it is necessary to strengthen the auditor's ability and skills in order to keep up with the trends of the digital revolution. Given the enormous potential of AI technology, it is essential for internal auditors to understand how AI is used in auditing and how it can influence the internal audit process.

Internal auditors shall acknowledge the changing environment and adapt their processes taking into consideration new threats.

Keywords: *internal audit, risk control, Covid-19, financial and operational risks, crisis management risk.*

JEL Codes: G32, H83, M42

ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა MISCELLANEOUS

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გრაცის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ახალი მიმართულება

ქალთა სამენარმეო შესაძლებლობების კვლევა

მიმდინაჲე წლის დასაწყისიდან ცნობილი გახდა, რომ პირობებმა „ქალთა მენარმეობა - ქალ სტუდენტთა გაძლიერება სამენარმეო კარიერისთვის“ (Female entrepreneurship – Empowering female students to pursue an entrepreneurial career (FEEN) გაიმარჯვა უმაღლესი განათლების და კვლევის მიმართულებით ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის (APPEAR) ფარგლებში.

პროექტის კოორდინატორი გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის პროფესორი საბინე ბერგერი ფსიქოლოგიის დოქტორია და მიღებული აქვს ჰაბილიტაცია ბიზნესის ადმინისტრირებაში. მისი აკადემიური პოზიცია ერთმანეთთან აკავშირებს ლიდერობის, მენარმეობის და ფსიქოლოგიის დეპარტამენტებს. მას აქვს მენარმეობის და ლიდერობის სფეროში კვლევის, სწავლებისა და ტრენინგის მდიდარი გამოცდილება. არის ძალიან აქტიური მეცნიერი სოლიდური საერთაშორისო გამოცდილებით. იგი იყო მინვეული მკვლევარი სლოვენიაში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში.

პროექტის ფაზებში გრაცის უნივერსიტეტის პატივითი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მასში მონაწილეობენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები - ეკა დეკაშვილი (პროექტის კოორდინატორი) და ნაცვლიშვილი (პარტნიორი). პროგრამის ხანგრძლივობა 8 თვეა და მისი მიზანია ახალი საერთაშორისო კვლევითი და სასწავლო საპროექტო განაცხადის შემუ-

შავება, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს კონკურსში APPEAR-ის აკადემიური პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში.

პროექტი ემსახურება აკადემიური პარტნიორობის შექმნას ავსტრია-სა და საქართველოს შორის, რაც დაეხმარება ახალგაზრდა ქალების გაძლიერებას სამენარმეო საქმიანობის დაწყებაში. შესაბამისად, პროექტის მთავარი თემა ქალთა მენარმეობაა. პროექტის საერთო მიზანი სრულდება ორმხრივად და კონკრეტული ამოცანების შესრულებით მიიღწევა:

- გენდერული გამოწვევები მენარმეობაში - კვლევა იმის გასარკვევად, თუ რა უშლის ხელს ქალებს სამენარმეო კარიერის არჩევაში.

- სამენარმეო ტრენინგი, რომელიც სპეციალურად შექმნილია ქალი სტუდენტებისთვის, და, თავის მხრივ, მოწოდებულია გაზარდოს აკადემიური განათლების მატარებელი ქალი მენარმეების რაოდენობა საქართველოში.

პროექტი ასევე მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინიციატივას, რაც აძლევს ქალ სტუდენტებს სამენარმეო პოზიციების დაკავების შესაძლებლობას.

პროექტი, მენარმეობის და მისი სწავლების საკითხს ახლებური ჭრილით წარმოაჩენს, კერძოდ, სტუდენტი ქალების მომზადებას სამენარმეო კარიერული ზრდისთვის, რაც, თავის მხრივ, ემსახურება მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანს:

- გენდერულ თანასწორობას
- ღირსეულ შრომას და ეკონომიკურ ზრდას
- ინდუსტრიას, ინოვაციასა და ინფრასტრუქტურას.

ამასთან, მთავარი მიზანი ივ. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრაცის უნივერსიტეტს (ავსტრია) შორის თანამშრომლობის განვითარებაა, რაც მიიღწევა აღნიშნული პროექტის ფარგლებში კვლევების ჩატარებით, სწავლების მეთოდების გაზიარებით, კვლევის შედეგების აღიარებულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით და უფრო მასშტაბური პროექტის შემუშავებაში მხარეების მონაწილეობით. სწორედ ამ მიზნით განხორციელდა მიმდინარე წლის 23 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების - ეკა ლეკაშვილისა და ია ნაცვლიშვილის - მივლინება ავსტრიის რესპუბლიკაში, ქალაქ გრაცში. ამასთან, დაგეგმილია პროფ. საბინე ბერგნერის ვიზიტი საქართველოში. მოსამზადებელი პროექტის მთავარი მიზანი მიღწეულია - მომზადებულია ახალი პროექტის განაცხადი, ქალთა მენარმეობის შესახებ, აკადემიური პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს რეალობის უკეთ აღსაქმელად ჩატარდა ქალ მენარმეთა გამოკითხვა სამენარმეო შესაძლებლობების თვითშეფასების კონტექსტით. გამოკითხვის შედეგები გამოყენებული იქნა ახალი პროექტის მიზნებისა და აქტივობის დასაგეგმად.

ზოგადად, მენარმეობის თემა აქტუალურია, რადგან ის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორია - მენარმეები ქმნიან სამუშაო ადგილებს (Kollmann et al. 2016), მუშაობენ ინოვაციებზე (Sáez-Martínez et al., 2014) და ეს ზრდის მშპ-ს (Van Stel et al., 2005). შესაბამისად, მენარმეობა განიხილება, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების ფაქტორი.

მიუხედავად იმისა, რომ სამენარმეო კარიერა ნებისმიერს შეუძლია აირჩიოს, ამ გზას უფრო მეტი მამაკაცი ირჩევს, ვიდრე ქალი, რის შედეგადაც მსოფლიოში 1,5-ჯერ მეტი მამაკაცი მენარმეა, ვიდრე ქალი (Elam et al., 2021). გენდერული სხვაობა კიდევ უფრო მაღალია საქართველოში (Shneor et al., 2013).

რაც შეეხება გრაცის უნივერსიტეტს, ის 1585 წელს დაფუძნდა. ამჟამად უნივერსიტეტის 6 ფაკულტეტზე 40 000 სტუდენტი სწავლობს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წიაღში აღიზარდნენ შედგომში ნობელის პრემიის ლაურეატები, მათ შორის თვალსაჩინო ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი - ჯოზეფ შუმპეტერი. მენარმეობაზე აქცენტირებაც შესაძლებელია სწორედ ამ ფაქტს დაუკავშირდეს, რადგან იგი დინამიკური კონკურენციის თეორიის ფუძემდებელია, რომლის თანახმადაც მენარმეთა პერმანენტული ბრძოლა ბაზრის წილისთვის მუდმივად საჭიროებს ახალი პროდუქტებისა და წარმოების მეთოდების დანერგვის აუცილებლობას, ხოლო პიონერი მენარმეები, რომლებიც ხარისხობრივ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს ნერგავენ, დიდ მოგებას იღებენ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არის პირველი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, სადაც დაინერგა მენარმეობის კურსები ჯერ კიდევ 2007 წელს პირეუსის უნივერსიტეტთან (საბერძნეთი) განხორციელებული პროექტის - „მენარმეობის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფარგლებში. ამ პროექტის განხორციელების პროცესში შემუშავდა ადაპტირებული ქართულენოვანი სახელმძღვანელო; ჩატარდა ინტენსიური ტრენინგები, წარიმართა სასწავლო პროცესი შეფასების კომპონენტის ჩათვლით; ჩამოყალიბდა სამენარმეო განათლების ქართულ-ბერძნული ცენტრი. ცენტრის ფარგლებში მრავალი ინი-

ციატივა დამუშავდა, მათ შორის განათლების ყველა საფეხურზე (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) სამეწარმეო განათლების საჭიროების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს, ჩვენს ინიციატივებს მხარდაჭერა არ ჰქონდა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ განათლების პოლიტიკის მესვეურებმა გაითავისეს სამეწარმეო განათლების საჭიროება. სამეწარმეო ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით ვითანამშრომლეთ საქართველოს სხვა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან. სემინარებსა და კონფერენციებში მათი აქტიური მონაწილობით განვიხილავდით სამეწარმეო განათლების საკითხებს. პარალელურად, მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა სოციალური მეწარმეობის, მცირე და საშუალო მეწარმეობის, სამეწარმეო უნივერსიტეტების ადეკვატური საკითხების კვლევაზე და კვლევის შედეგები ჩართული იყო სასწავლო პროცესში. შესაბამისად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს აქვს საკმარისი გამოცდილება სამეწარმეო სწავლებასთან დაკავშირებით.

თსუ-ში სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესი ვითარდება და თუ ადრე დასავლეთ ევროპული მოწინავე უნივერსიტეტები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი თსუ-ის შესაძლებლობებით, დღეს განსხვავებული მდგომარეობაა: უნივერსიტეტები აყალიბებენ კონსორციუმებს, ალიანსებს და ერთიანი მიზნით გამოდიან საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. ინტერესების თანხვედრა გრაფის უნივერსიტეტთან ადასტურებს, რომ თსუ საინტერესოა უცხოური მოწინავე უნივერსიტეტებისათვის. ჩვენ გვაქვს თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებული მიზნები და განვითარების პერსპექტივა და მიზანზე ორიენტირებულ შრომას ყოველთვის მოაქვს შედეგი. ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატება ევროპის საგანმანათლებლო და კვლევით სივრცესთან ეფექტიან ინტეგრირებაზე გადის.

ეკა ლეკაშვილი

ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციებული პროფესორი, სამხეურველო პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი
Eka.lekashvili@tsu.ge

ია ნაცვლიშვილი

თსუ ასოციებული პროფესორი
Ia.nacvlisvili@tsu.ge

New Direction for Cooperation Between Iv. Javakhishvili Tbilisi State University and University of Graz

Researching Women Entrepreneurial Opportunities

Since the beginning of this year, it became known that the project “Female Entrepreneurship – Empowering Female Students to Pursue an Entrepreneurial Career (FEEN)” was selected for the implementation by Austrian Agency for Development within the framework of Austrian Partnership Program in Higher Education and Research for Development (APPEAR).

The project is coordinated by the professor Sabine Bergner from University of Graz (Austria).

Prof. Bergner holds a PhD in Psychology and a *venia docendi* in Business Administration. She is an Associate Professor at the University Graz and fulfills a bridging position between the Department of Psychology and the Department of Leadership & Entrepreneurship. She has ample research, teaching and training experience in the field of entrepreneurship and leadership – inside as well as outside academia. She is a highly active scholar with rich international experience for instance as a researcher and project leader in Great Britain, Slovenia, Malaysia or Germany.

Partner of the project is Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU). From TSU side in the project are participating two academic personnel from TSU Faculty of Economics and Business: associate professor Eka Lekashvili (coordinator) and associate professor IaNatsvlshvili (partner). Duration of the project is 8 months and the project goal is to develop of research and educational project proposal, that will be submitted for academic partnership projects call by (APPEAR).

The overall aim of this Austrian-Georgian Academic Partnership is to empower young women to become entrepreneurs and profit from the benefits tied to entrepreneurship. The main topic of the project is female entrepreneurship. Based on the benefits tied to and the gender gap reported in entrepreneurship, the partnership’s goal is two folded. The first goal is to reveal in-depth

knowledge on the gender gap in entrepreneurship by conducting quantitative research. The second goal is to reduce the gender gap by providing training/teaching activities specifically designed for female students and young female academics in Georgia. Therefore, the partnership's activities, outputs and short-term results are oriented towards training/teaching AND research. Research activities will contribute to the first goal while teaching/training activities will address the second one.

The project also aims to promote an initiative that gives female students the opportunity to take up entrepreneurial positions. Furthermore the project makes contribution to the following Sustainable Development Goals (SDGs): Quality Education; Gender Equality; Decent Work & Economic Growth; To certain extent the project contributes to SDGs like Industry Innovation & Infrastructure; Reduce Inequality.

In addition, the main goal of the project is development of cooperation between TSU and the University of Graz. It will be achieved by conducting research within the framework of the mentioned project, sharing teaching methods, publishing the research results in recognized peer-reviewed journals, and participating in the development of a larger project by both parties. For this purpose from April 23 to May 7 of this year, the business trip of associate professors Eka Lekashvili and Ia Natsvlshvili of the Faculty of Economics and Business to the city of Graz took place. Professor Sabine Bergner visited Georgia with the same purpose.

The main goal of the preparatory project has been achieved - within the framework of the academic partnership program a new project application has been prepared on women's entrepreneurship. In order to better understand the reality of Georgia, a survey of female entrepreneurs was conducted in the context of self-assessment of entrepreneurial abilities. The results of the survey were used to plan the goals and activities of the new project.

As for the University of Graz, it was founded in 1585. Currently, 40,000 students study at 6 faculties of the university. It is worth noting that the Nobel Prize laureates were educated in the classrooms of the university. Among them, prominent Austro-American economist, Harvard University professor - Joseph Schumpeter.

The process of internationalization of teaching and research at TSU is developing, and if earlier Western European advanced universities were less interested in the possibilities of TSU, today the situation is different: Universities

form consortia, alliances and enter the international educational market with a single goal. The convergence of interests with the University of Graz proves that TSU is interesting for advanced foreign universities.

Eka Lekashvili

*Associate professor in Iv.Javakhishvili Tbilisi State University,
Head of Industry Policy Research Center
Eka.lekashvili@tsu.ge*

Ia Natsvlishvili

*Associate professor in Iv.Javakhishvili Tbilisi State University
ia.nacvlishvili@tsu.ge*

მეტაეკონომიკა - მეცნიერულ-ფილოსოფიური და ეკონომიკური აზრის ახალი მიმართულება

ეკონომიკის, როგორც საზოგადოებრივი განვითარების შესახებ მეცნიერებისა და პრაქტიკის, თანამედროვე ევოლუციურ მიდგომასთან დაკავშირებული თეორიული კვლევების შემცველი ნაშრომების ინერენტ ძიებამ მოულოდნელად მიგვიყვანა ორ მეცნიერამდე, რომლებმაც პირველებმა დააფუძნეს სათაურში მითითებული მიმართულება.

ვიდრე მკითხველებს წარვუდგენთ ავტორისეული კვლევების ახალ შედეგებს, სიახლეებს, აუცილებელია საზოგადოებას მივანოდოთ მეტაეკონომიკის ირგვლივ, ზოგიერთი შინაარსობრივი მონაცემი თანამედროვე ინერენტ წყაროებიდან, რომლებიც მოძიებულია აღნიშნული მეცნიერებისა და მათი პუბლიკაციების შესახებ. მოპოვებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ამ მიმართულების ფუძემდებელი არის ქართველი მეცნიერი გიორგი მალაშხია, რომელსაც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული მრავალი პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა ქვეყანაში. მონაცემები მის შესახებ შეიძლება მოვიპოვოთ ვიკიპედიიდან (იხ. მეტაეკონომიკა). მართალია, მისი ძირითადი ნაშრომი „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“ (1995, თბილისი), გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე, მაგრამ ვიკიპედიის ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საორიენტაციოდ, შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი ფუძემდებლური დებულებები და მიმართულება, რომლებიც, პირველ რიგში, არსებული ეკონომიკის ჰუმანიზაციის პრობლემებს უკავშირდება.

ავტორმა გადმოსცა მოხმარებასა და დაგროვებაში ზომიერების პრინციპი - მოხმარებლის რაციონალური ქცევის დეტერმინანტი, როგორც საყოველთაო კეთილდღეობისა და მოხმარების მაღალი კულტურის ფაქტორი. შემოიტანა ახალი ელემენტები ადამიანთა მოთხოვნილებების კლასიფიკაციაში - დაამატა სოციალური და სულიერი მოთხოვნილებები. ორიგინალურად გადმოსცა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ნეგატივები, გლობალური ისტორიული მეტამორფოზის, მომავალ - კაპიტალიზმისა და სოციალიზმისაგან განსხვავებულ საზოგადოებაზე გადასვლის სავარაუდო პროცესი; უარყო ისტორიული მატერიალიზმის მთავარი იდეა ეკონომიკის განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ საზოგადოების ცხო-

ვრებაში; დაამტკიცა ადამიანისეული ფაქტორის - (იდებების, ცნობიერების) და მათი განვითარების როლი ისტორიულ პროცესში და ა.შ. ასევე გვიჩვენა საზოგადოების სიმდიდრის მეგასტრუქტურის არამატერიალური (სულიერი და სოციალური) და მატერიალური ნაწილების ცვლილებები, რის შედეგადაც შეფარდებით მცირდება შექმნილი დოვლათის მასალატევადობა, ენერგოტევადობა, ღირებულება, ფიზიკური მოცულობა და ა.შ ახლებურად განმარტა გადასახადების არსი და ხასიათი.

გ. მაღაშხიამ წარმოაჩინა ეპოქის ხასიათის სამომავლო ცვლილებები- ამჟამინდელი ეგოიზმის ეპოქის ადგილზე ახალი ალტრუისტული ეპოქის დადგომის სახით, რაც ნამდვილად სამართლიანი, ეთიკური, ადამიანური და საყოველთაო ბედნიერი საზოგადოების დადგომის წინაპირობა იქნება. მან მოგვცა ამგვარი გადასვლის ლოგიკურობისა და მოსალოდნელობის არგუმენტაცია მისი ქეშმარიტი სახიათისა და ყველასათვის მიზანშეწონილობის საფუძველზე.

ალექსანდრე ვასილიევი

ინფორმაციის საზოგადოებრივი ცენტრი

Metaeconomics - a New Direction of Economic Thought Metaeconomics - A New Direction of Scientific, Philosophical and Economic Thought

The author's Internet search for scientific papers related to the evolutionary approach in modern theoretical studies of the economics as a science and practice of social development, unexpectedly led us to two scientists who proactively established the new direction indicated in the title.

Therefore, before presenting to the readers new research results, it is necessary to briefly present modern Internet sources and some substantial information that have been found about the mentioned scientists and their publications. Historically, the first - judging by the received information, the founder of this direction is the Georgian scientist George Malashkhia (Doctor of Economic Sciences, who has many publications in different countries since the 70s of the last century). Information about him is available on Wikipedia (see Metaeconom-

ics). Unfortunately, his main paper “Metaeconomics - Philosophy of Economics” (Tbilisi, 1995) was published in Georgian language, but if we make a judgment based on the text of Wikipedia, we one can roughly imagine his fundamental provisions and directions, which are primarily related, first of all, to the problems of humanization of society in the existing economy.

The author outlined the concept of moderation in consumption and accumulation - the determinant of rational consumer behavior as a factor of general welfare, and a high culture of consumption. Furthermore, he introduced new elements into the classification of people’s needs, adding social and spiritual ones. He explained the essence of taxes and their nature in a new way. In an original way he outlined the negatives of capitalism and socialism, the process of global historical metamorphoses, the upcoming transition to a new society from capitalism and socialism; he rejected the basic idea of historical materialism about the determining factor of the economy in the life of society; He proved the role of the human factor - ideas, consciousness and their development in the historical process, etc. He also showed us fundamental changes in the mega structure of the wealth of society, in particular, changes in the intangible (spiritual and social) and material parts, as a result of which the interrelation of material capacity, energy intensity, cost, physical volume and other decreases. He gave a new definition of the essence and nature of taxes.

G. Malashkhia presented fundamental future changes in the nature of the era in the form of the arrival of a new altruistic era in place of the former era of egoism, which will definitely be precondition for the establishment of fair, ethical, human, general society and general happiness. He argued the logic and probability of such a vector of development due to its true nature and profitability for everyone.”

The second scientist is G.D. Lynne, who can also be considered the founder of metaeconomics, but based on different moral, ethical and economical basis in America, he is an emeritus professor (links of his publications and sources can be found in the blog <https://www.metaeconomics.info>).

Alexander Vasiliev
Public Information Center

ჩვენი იუბილარი ANNIVERSARIES

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორი, დოქტორი სერგო მელაძე იუბილარია



სერგო მელაძე დაიბადა 1948 წლის 31 მარტს ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში. სწავლობდა ვარლამ ძიძიგურის სახელობის საშუალო სკოლაში, რომელიც ვერცხლის მედალზე დაასრულა.

1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და 1976 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახე-

ლმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

1980 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1970-1981 წლებში მუშაობდა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფაკულტეტის უფროს ლაბორანტად, ხოლო 1981-1987 წლებში უფროს მასწავლებლად. 1987 წელს ფაკულტეტი ცეკავშირის ინიციატივით გადაეცა ლვოვის სავაჭრო-ეკონომიკურ ინსტიტუტს, სადაც მუშაობა განაგრძო დოცენტის თანამდებობაზე.

1993 წელს აღნიშნული სასწავლებელის მიზანმიმართულად გაუქმების, შემდეგ სერგო მელაძე დაინიშნა ცეკავშირის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური კურსების დირექტორად.

1995 წელს მისი ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, **ალდგა „ცეკავშირის კოოპერაციული ინსტიტუტი“**, რომელსაც 2000 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი და ეწოდა „საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტი“. 2009 წელს განხორციელდა მისი რეორგანიზაცია და ეწოდა „საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი“, სადაც 1995-2010 წლებში დოქტ. სერგო მელაძემ მუშაობა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის რექტორად.

2010 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი სერგო მელაძის ინიციატივით და ძალისხმევით, შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

2011 წლიდან დღემდე იგი მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ტურიზმის სკოლის დირექტორად**. ტურიზმის სკოლა ახორციელებს ტურიზმის საბაკალავრო-საგანამანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებას, რომელზეც ამჟამად ირიცხება 1500-მდე სტუდენტი.

მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 48 სამეცნიერო ნაშრომი, 3 საავტორო უფლებით.

1997 წელს **სერგო მელაძე** გახდა **ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი**.

2000 წელს დოქტორი სერგო მელაძე პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა **ღირსების ორდენით**, ხოლო 2023 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოვდა **უნივერსიტეტის ოქროს მედალით**. სერგო მელაძეს ჰყავს ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგია ულოცავს ბატონ სერგო მელაძეს სახელოვან იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგია**

ხსოვნა ნათელი BRIGHT MEMORY

პროფესორი პარმენ ლემონჯავა



გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პარმენ ბეგის ძე ლემონჯავა.

პარმენ ლემონჯავა დაიბადა 1936 წელს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და მიენიჭა დოცენტის წოდება. იმავდროულად იგი მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, მათ შორის 1967-1972 წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი. 1972-1978 წლებში პარმენ ლემონჯავა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი, 1978 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი. 1979-80 წლებში - ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა. მან 1990 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მიიღო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1992 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 2009 წლიდან პროფესორი პარმენ ლემონჯავა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე-

ტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორია. 2015 წლიდან კი, სიცოცხლის ბოლო პერიოდამდე იყო ემერიტუსი.

პროფესორი პარმენ ლემონჯავა საქართველოს ორივე წამყვან უმაღლეს სასწავლებელსა და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი სტუდენტებისთვის ერთ-ერთი გამორჩეული ლექტორი იყო, რომელთა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებად აღზრდის საქმეს დაულალავად და უანგაროდ ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ პროფესორ პარმენ ლემონჯავას სამეცნიერო ხელმძღვანელობით ოცდაათზე მეტმა ასპირანტმა და დოქტორანტმა დაიცვა სამეცნიერო და აკადემიური ხარისხი. ბევრი მათგანი დღეს ცნობილი მეცნიერი და უმაღლესი სასწავლებლის აღიარებული ლექტორია.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, პროფესორი პარმენ ლემონჯავა ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. მას გამოქვეყნებული აქვს 80-მდე ნაშრომი, მიძღვნილი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და ეკოლოგიის აქტუალური საკითხებისადმი. მათ შორისაა მონოგრაფიები - „ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემები“, „ბუნების გამოყენების ეკონომიკა“, „ეკონომიკური განვითარების პრობლემები“ და სხვა. ამასთან, იგი რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორია.

ნაყოფიერი პედაგოგიურ-სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის პროფესორი პარმენ ლემონჯავა დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და სხვადასხვა მედლით.

ბატონი პარმენი იყო ჩინებული ადამიანი, არაჩვეულებრივი მეგობარი, სიკეთით აღსავსე პიროვნება, მზრუნველი მეუღლე, მამა, ბაბუა, ადამიანებისათვის სიკეთის მსურველი და საიმედო პიროვნება.

პროფესორ პარმენ ლემონჯავას ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილ სტუდენტ-სპეციალისტთა გულში.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტი
ჟურნალების - „ეკონომიკა და ბიზნესი“, „სოციალური ეკონომიკა -
XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“ სარედაქციო კოლეგიის წევრები**

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე

Prepared for publication by Natia Dvali and Nino Ebralidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>